ეროვნული ბიბლიოთეკა

№295 (12 365) 18 დეკემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

# კაკა და მარტა კვარცხლბეკზე

## ბრაზილიამ, ფეხბურთში ქალიც მე ვარ და კაციცო...

გუშინ ციურიხის "ოპერა ჰაუსში" ფიფას გალა-წარმოდგენაზე წლის საუკეთესო ფეხბურთელი გამოვლინდა. ისევე, როგორც "ოქროს ბურთის" შემთხვევაში, მოლოდინისამებრ, აქაც **რიკარდო იზეკსონ ლეიტემ**, იგივე **კაკამ** იპირველა. ბრაზილიის ნაკრებისა და "მილანის" 25 წლის ფლეიმეიქერმა გამოკითხვაში 1047 ხმა დააგროვა. მეორე ადგილზე გავიდა არგენტინის ნაკრებისა და "ბარსელონის" ფორვარდი, 20 წლის **ლიონელ მესი**, რომლის ყულაბაშიც 504 მხარდამჭერის ხმა აღმოჩნდა, წლის მესამე ფეხბურთელი კი პორტუგალიის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" გარემარბი, 22 წლის **კრისტიანო რონალდო** გახდა 426 ხმით. თუკი ლაურეატთა ასაკს გადავხედავთ, დავასკვნით, რომ წლევანდელი დაჯილდოება ამ მხრივ უდავოდ განსაკუთრებულია. თავის მცირე კომენტარში ამაზე კაკამაც გაამახვილა ყურადღება:

*"დღევანდელი საღამო კიდევ ერთი დაუვიწყარი მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში. როცა ჭაბუკი ვიყავი, ვოცნებობდი, მეთამაშა "სან პაულოში" და თუნდაც ერთი მატჩი ჩამეტარებინა ბრაზილიის ნაკრებში. მაგრამ როგორც ბიბლია ამბობს, ღმერთს შენთვის იმაზე მეტის მოცემა შეუძლია, ვიდრე მას სთხოვ. და ის, რომ აქ სამი ახალგაზრდა ფეხბურთელი დგას, ნიშნავს იმას, რომ მსოფლიო ფეხბურთში ახალი ერა, ახალი ციკლი იწყება. დღემდე, მესიც და კრისტიანო რონალდოც უბრალოდ დიდი ფეხბურთელები იყვნენ, დღეის შემდეგ კი, ისინი უკვე ახალი ისტორიის შემოქმედნიც არიან".*

ბრაზილიელი იყო პირველი ქალებს შორისაც. წლის საუკეთესო ფეხბურთელი მანდილოსნის ტიტული ზედიზედ მეორედ მოიგო **მარტამ**, რომელმაც მანამდე სამგზის გამარჯვებული, გერმანიის ნაკრების კაპიტანი **ბირგიტ პრინცი** დაამარცხა. მესამე ადგილიც ბრაზილიელს, **კრისტიანეს** ხვდა წილად.



კაკა, მესი და კრისტიანო რონალდო



...ესეც მარტა

### ყველა ლაურეატი

**1991**

1. ლოთარ მათეუსი (გერმანია)
2. ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი)
3. გარი ლინეკერი (ინგლისი)

**1992**

1. მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)
2. ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი)
3. თომას ჰესლერი (გერმანია)

**1993**

1. რობერტო ბაჯო (იტალია)
2. რომარიო (ბრაზილია)
3. დენის ბერგკამპი (ჰოლანდია)

**1994**

1. რომარიო (ბრაზილია)
2. ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი)
3. რობერტო ბაჯო (იტალია)

**1995**

1. ჯორჯ ვეა (ლიბერია)
2. პაოლო მალდინი (იტალია)
3. იურგენ კლინსმანი (გერმანია)

**1996**

1. რონალდო (ბრაზილია)
2. ჯორჯ ვეა (ლიბერია)
3. ალან შირერი (ინგლისი)

**1997**

1. რონალდო (ბრაზილია)
2. რობერტო კარლოსი (ბრაზილია)
3. დენის ბერგკამპი (ჰოლანდია), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)

**1998**

1. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)
2. რონალდო (ბრაზილია)
3. დავორ შუკერი (ხორვატია)

**1999**

1. რივალდო (ბრაზილია)
2. დევიდ ბექჰემი (ინგლისი)
3. გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)

**2000**

1. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)
2. ლუიშ ფიგუ (პორტუგალია)
3. რივალდო (ბრაზილია)

**2001**

1. ლუიშ ფიგუ (პორტუგალია)
2. დევიდ ბექჰემი (ინგლისი)
3. რაული (ესპანეთი)

**2002**

1. რონალდო (ბრაზილია)
2. ოლივერ კანი (გერმანია)
3. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)

**2003**

1. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)
2. ტიერი ანრი (საფრანგეთი)
3. რონალდო (ბრაზილია)

**2004**

1. რონალდინიო (ბრაზილია)
2. ტიერი ანრი (საფრანგეთი)
3. ანდრეი შევჩენკო (უკრაინა)

**2005**

1. რონალდინიო (ბრაზილია)
2. ფრენკ ლემპარდი (ინგლისი)
3. სამუელ ეტო'ო (კამერუნი)

**2006**

1. ფაბიო კანავარო (იტალია)
2. ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)
3. რონალდინიო (ბრაზილია)

**2007**

1. კაკა (ბრაზილია)
2. ლიონელ მესი (არგენტინა)
3. კრისტიანო რონალდო (პორტუგალია)

## ინგლისი ჩემი ბოლო სამუშაო ადგილია



ფაბიო კაპელოს პრეზენტაცია

6

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ლომაია დაქორწინდა

## ...და მალე ჩერვიჩენკოსგან გათავისუფლდება



საქმეს ისეთი პირი უჩანს **გიორგი ლომაია** სულ მალე გათავისუფლდება ანდრეი ჩერვიჩენკოს "ტყვეობისაგან".

რამდენიმე დღის წინათ გიორგი მოსკოვში იმყოფებოდა, პირადად შეხვდა და ესაუბრა ჩერვიჩენკოს, რომელიც მის ტრანსფერებს განაგებს. საქმე ის გახლავთ, რომ მიმდინარე წლის ბოლოს ჩერვიჩენკოსთან კონტრაქტს ვადა გასდის და გიორგის რუსული ვოიაჟის მიზანიც სწორედ ამ ხელშეკრულებას უკავშირდებოდა.

გიორგი ლომაიასთან დაკავშირებით ერთსაც გამცნობთ, ის ახლახანს დაქორწინდა. გიორგის მეუღლე **თამარ გენაძე** გახლავთ. ლომაიას გუშინ თბილისში დავუკავშირდით და რაღა თქმა უნდა საუბარი მილოცვებით დავიწყეთ.

"მილოცვებისთვის მადლობელი ვარ. ორიოდე დღის წინათ დავიწერეთ ჯვარი და ხელიც მოვაწერეთ.

რაც შეეხება ანდრეი ჩერვიჩენკოსთან შეხვედრას, წლის ბოლოს კონტრაქტი მიმთავრდება და ამ საკითხზე ვესაუბრე. ისიცაა დაინტერესებული, რომ შინ არ ვიჯდე და გუნდი მოვნახო. ამას გარდა, ჩემს ტრანსფერზე აგენტებიც მუშაობენ. ერთი სიტყვით, დიდი იმედი მაქვს, რომ იანვარში უკვე უგუნდოდ აღარ ვიქნები. რომელ ქვეყანაში გავაგრძელებ კარიერას ჯერ არ ვიცი. იანვრამდე მოვიცადოთ", - აღნიშნა ფეხბურთელმა "ლელოსთან" საუბარში.

**დავით ცაბაძე**

# მარცვალაძე და ალადაშვილი უკან დინამოში?

უკრაინაში მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი უჟგოროდის "ზაკარპატიესთვის" წარმატებულად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. ამ გუნდს "ნეფტიანიკის" დარად 14 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილის ფსკერზეა. მოგეხსენებათ სეზონის დაწყებამდე კიევის "დინამოს" ორი ქართველი ფეხბურთელი **ოთარ მარცვალაძე** და **კახა ალადაშვილი** კიეველებმა სწორედ "ზაკარპატიეში" გაანათხოვრეს. ჩემპიონატის პირველი ნახევრის დასრულებასთან ერთად კი ქართველების საიჯარო ხელშეკრულების ვადაც ამოიწურა.

მარცვალაძესა და ალადაშვილს "ზაკარპატიეს" ხელმძღვანელობა ემადლიერება. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ უჟგოროდელთა კლუბის ბოსები კიევის "დინამოსთან" მოლაპარაკებას აწარმოებენ, მარცვალაძისა და ალადაშვილის მეორე წრეში დატოვებაზე. თუმცა, ჩვენს მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, კიეველებს ქართველების დაბრუნება სურთ. მით უმეტეს, "დინამოს" მწვრთნელი **იური სიომინი** გახდა, რომელმაც კარგად იცის ქართველი ფეხბურთელების ფასი.

**დავით ცაბაძე**



ოთარ მარცვალაძე

# ხიზანეიშვილი მაისში ფრაიბურგიდან მიდის

## ვარიანტები: თურქეთი, ინგლისი

საქართველოს ნაკრებისა და მეორე ბუნდესლიგის "ფრაიბურგის" მცველი **ოთარ ხიზანეიშვილისთვის** 2007 წელი იღბლიანი ვერ გამოდგა. ცალკე ტრავმიანობამ შეუშალა ხელი, "ფრაიბურგში" ხშირად ვერ თამაშობდა, რასაც ეროვნულ ნაკრებში გამოუძახებლობა დაემატა.

როგორც შევიტყვეთ, 26 წლის მცველმა კლუბის და გარემოს შეცვლა გადაწყვიტა. ჩვენი ინფორმაციით, მას დღეს თურქეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი კლუბი ყოველგვარი გასინჯვის გარეშე, სამწლიან კონტრაქტს და სარფიან პირობებს სთავაზობს.

ამას გარდა, ოთარით ინგლისის პრემიერლიგის კლუბია დაინტერესებული. მთავარია, როცა ტრანსფერზე მიდგება საქმე, ხიზანეიშვილს ბრიტანეთში შრომის ვიზის მისაღებად საჭირო სანაკრებო პროცენტები დაუგროვდეს.

ინფორმაცია გადამოწმებულია, მაგრამ ჯერ მხოლოდ ზოგადი ამბავი გახდა ჩვენთვის ცნობილი. კონკრეტულად რომელი კლუბი ცდილობს მის გადაბირებას, ამაზე ვერაფერი გვითხრეს.

ოთარ ხიზანეიშვილს "ფრაიბურგთან" კონტრაქტი 2008 წლის მაისში უმთავრდება და ისიც ვადის დასრულებას ელის, ახალ კლუბთან კონტრაქტი თავისუფალი აგენტს სტატუსით რომ გააფორმოს. მანამდე თავად არ სურს წამოსვლა, რადგან ასეთ შემთხვევაში, გერმანელები დაინტერესებულ მხარეს ფულს მოსთხოვენ.

**მერაბ მამულაშვილი**



ოთარ ხიზანეიშვილი




საქართველოს ნაკრების რეიტინგი წლების მიხედვით

რეიტინგი

# წელიწადი 77-ე ადგილზე დავასრულეთ

გუშინ ფიფამ წლეულს ბოლო სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს წინა თვესთან შედარებით ცვლილება არ განუცდია, გუნდს 414 ქულა აქვს და მსოფლიო კლასიფიკაციაში კვლავ 77-ე ადგილზეა. ზუსტად ამდენივე ქულა აქვს სამხრეთი აფრიკის ნაკრებს, ორივე გუნდი 77-ე ადგილს იყოფს. მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით საქართველოს ნაკრებმა შესამჩნევად გაიუმჯობესა მდგომარეობა, მაინც ძალიან ბევრი საფეხბურთო ტრადიციების არმქონე გუნდი უსწრებს, მაგალითისთვის, მოზამბიკი, უგანდა, კუბა, პანამა, უზბეკეთი და სხვა. ევროპის ნაკრებთა შორის საქართველო 37-ე ადგილზეა. აქვე გაგაცნობთ მსოფლიოს 2010 ჩემპიონატის მერვე საკვალიფიკაციო ჯგუფში ჩვენი მეტოქეების მდგომარეობას: 3. იტალია - 1498 ქულა, 18. ბულგარეთი - 881 ქულა, 35. ირლანდია - 731 ქულა, 66. კვიპროსი - 493 ქულა და 172. ჩერნოგორია - 65 ქულა.

ფიფას რეიტინგის წლის გუნდად არგენტინის ნაკრები დასახელდა, რომელმაც 1523 ქულით პირველ ადგილზე დაასრულა რეიტინგ-ლისტი. სხვათა შორის, 2002-2006 წლებში წლის გუნდი მუდმივად ბრაზილია ხდებოდა. წლის ყველაზე დიდი პროგრესი მოზამბიკის ნაკრებს ჰქონდა, აფრიკულმა გუნდმა წელიწადი 128-ე პოზიციაზე დაიწყო და 75-ეზე დაასრულა. საქართველოს ნაკრები იანვრის რეიტინგში 95-ე პოზიციაზე იყო, აპრილში გუნდი 10 ადგილით ზევით ალმოჩმდა, თუმცა შემდეგ ისევ დაღმასვლა დაიწყო, სექტემბრის რეიტინგში გუნდი 104-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა, საუკეთესო შედეგი კი **კლაუს ტოპმიოლერის** ნაკრებს ოქტომბერში ჰქონდა - 71-ე ადგილი. შეგახსენებთ, ნაკრების საუკეთესო მიღწევა - 1998 წლის სექტემბრის რეიტინგში 42-ე ადგილი იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
● უწყვეტი მომსახურება ● ტექნიკური მხარდაჭერა
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge


გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ქართული გოლი ბუნდესლიგაში

## მინის კიონინგი, რომელმაც კიოლნს დინამო ანაცვალა




**რუბრიკის** მეორე სტუმარი რევაზ არველაძე გახლავთ. ის ქართველთაგან პირველი იყო, ვინც ბუნდესლიგაში გოლი გაიტანა და ახლა სწორედ ამ ამბავს იგონებს.

ოდნავ აწონილი, არც თუ სხარტი და სწრაფი, მაგრამ ჭკვიანი, მოქნილი და ტექნიკური შემტევი - ასეთი ფეხბურთელი იყო ძმათაგან უფროსი არველაძე.

ის არ იყო პირველი ქართველი ბუნდესლიგაში - გერმანიის უმაღლესი ლიგა პირველად კახა ცხადაძემ დააგემოვნა.

ბუნდესლიგაში გატანილი გოლი არ იყო პატარა ამბავი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნდესლიგა არ არის პატარა ლიგა. მაშინ სხვა დრო იყო, ქართველი ფეხბურთელები პირველ ფანჯრებს ჭრიდნენ ევროპაში.

რევაზ არველაძე ახლა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, სახელი კი ფეხბურთელობით შეიქმნა, თუნდაც იმ პირველი ქართული გოლით დოიჩლანდში...

**დავით თავართქილაძე**

1993 წელს თბილისის "დინამომ" დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად ითამაშა ევროტურნირზე და ჩრდილოეთირლანდიური "ლინფილდიც" დაამარცხა, მაგრამ უეფამ "დინამოს" დისკვალიფიკაცია მისცა და მომდევნო ეტაპზე ვერ ვითამაშეთ.

ყველანაირად ვცდილობით, როგორმე მაინც გავრეულიყავით ევროპულ ფეხბურთში. 1994 წლის იანვარში გერმანიაში წავედით მინიფეხბურთის ორ ტურნირში სათამაშოდ - კიოლნში და ზოლინგენში.

კიოლნის ტურნირი ზოლინგენისაზე გაცილებით სერიოზული იყო. ფინალამდე კიოლნის "ფორტუნა", "ვიტენშაიდი" და "მიონხენგლადბახი" ჩამოვიცილეთ, ფინალში კი "კიოლნს" 8:3 მოვუგეთ. ტურნირის ბომბარდირი გავხდი და საუკეთესო ფეხბურთელადაც დამასახელეს. თამაშები ხუთიი-ხუთზე იყო. "დინამოს", ასე ვთქვათ, დამრტყმელი ხუთეული ასეთი იყო: ზოიძე, ნემსაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი და მე.

ზოლინგენის ტურნირამდე "კიოლნს" სტანდარტულ მოედანზეც გავეჯიბრეთ. ამხანაგური მატჩი "კიოლნის" ბაზაზე გაიმართა. გოჩა ჯამარაულის გოლით დავწინაურდით, საბოლოოდ 1:1. ამ შეხვედრაშიც ნორმალურად ვითამაშეთ, მოგებაც შეგვეძლო, რამდენიმე საგოლე მომენტი გვქონდა.

ზოლინგენის ტურნირზე შედარებით სუსტი გუნდები იყო. იქაც გავიმარჯვეთ და იქაც გავიტანე გოლები. ყოველივე ამის შემდეგ "კიოლნმა" კონტრაქტი შემომთავაზა. ნახევარწლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი, რომელიც ითვალისწინებდა ოპციას - სეზონის შემდეგ კონტრაქტის ორი წლით გაგრძელება უნდა განგვეხილა.

ბუნდესლიგურ დებიუტამდე ''კიოლნში'' პირველად მინიფეხბურთის კიდევ ერთ ტურნირში ვითამაშე, რომელსაც "ჰალემასტერსი" ერქვა. ფინალში "ლევერკუზენან" წავაგეთ 1:4. მე ბომბარდირი და "ჰალენკიონინგი" გავხდი - ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი.

''კიოლნის'' მწვრთნელი ამ გუნდის დანიის ნაკრების ყოფილი მცველი მორტენ ოლსენი გახლდათ. სწორედ მაშინ დაინტერესდა პირველად ის ქართველი ფეხბურთელით. შოთა და გიორგი ქინქლაძეც მისი მწვრთნელობისას მიიწვიეს ამსტერდამის "აიაქსში".

"კიოლნი" კი მოგეხსენებათ საკმაოდ დიდი ტრადიციების მქონე გუნდია გერმანიაში. მანამდე ამ გუნდს რინუს მიხელსიც კი წვრთნიდა. "კიოლნი" ორჯერ იყო გერმანიის ჩემპიონი. ამ გუნდში უთამაშიათ კარლ-ჰაინც შნელინგერს,რაინერ ბონჰოფს,ბერნდ კულმანს, ტონი შუმახერს, პიერ ლიტბარსკის, ბერნდ შუსტერს,კლაუს ლოფსს, უვე ბაინს...

"კიოლნი" იმითაცაა სპეციფიკური კლუბი, რომ კიოლნშია RTL-ის და "დოიჩე ველეს" ცენტრალური ოფისები და გუნდის მიმართ მასმედიის ინტერესი განსაკუთრებულია. "კიოლნს" გულშემატკივრობის კულტურაც განსაკუთრებული აქვს. ქომაგები სამსახურივით დადიან გუნდის ვარჯიშებზე, მერე კი "კიოლნის" რესტორანში იკრიბებიან.

ოლსენი არაჩვეულებრივი პიროვნებაა, რა თქმა უნდა, მაღალი დონის მწვრთნელიც, რომელიც სულ შეტევაზეა ორიენტირებული, მას ძალიან დახვეწილი გემოვნება აქვს, გაწონასწორებულია, თუმცა ხანდახან ჯიუტიც - დაეყრდნობა შემტევ ტაქტიკას და არ ცვლის მას.

ბუნდესლიგის პირველი 18 ტური ჩავლილი იყო, სეზონის მეორე ეტაპზე 14 ტური იყო ჩასატარებელი. ოლსენმა თავისთან დამიბარა და მითხრა, თუ თოთხმეტ ტურიდან ათ თამაშს მაინც ითამაშებ, ამ ეტაპზე ეს შენთვის ნორმალური შედეგი იქნებაო.

საერთოდ, ოლსენი არასდროს უქმნიდა სხვას იმის ილუზიას, რომ საქმე მალე გაკეთდებოდა - უცბად არაფერი მოხდება, ყველაფერს თავის დრო უნდა - ამბობდა ის.

ათი თამაში ვერ ვითამაშე. მიკროტრავმა მივიღე დ ათი დღე უქმად ვიყავი, რის გამოც რამდენიმე მატჩი გამოვტოვე, სულ "კიოლნში" რვა შეხვედრა ვითამაშე, აქედან სამი სასტარტოში.

"კიოლნი" მაშინ არ იყო ურიგო გუნდი. ბოდო ილგინერი, ანუე რუდი, კიმ კრისტოფტე, ჰენრიკ ანდერესენი, ტონი პოლსტერი... "კიოლნი" მომდევნო სეზონისთვის მოლაპარაკებას აწარმოებდა მუნტიანუსთან და სანდი ოლისესთან.

გოლი კი "შტუტგარტს" გავუტანე. 2:1-ს ვიგებდით, მატჩის დასრულებას ათი წუთიღა აკლდა, როცა ოლსენმა შეცვლაზე შემიშვა. ალფონს ჰაგელმა, ვინც ახლა "შტუტგარტის" მეორე მწვრთნელია, ფლანგური შეტევა წამოიწყო, არ იყო ძნელი მისახვედრი, რომ იერიშს ფლანგური ჩაწოდებით დაასრულებდა და მეც იქითკენ წავედი, სადაც მის პასს ველოდი - ჰაგელის ჩაწოდებულს კარიდან თხუთმეტიოდე მეტრში დავუხვდი და "ბაჩოკით" საპირისპირო სვლაზე გამოვიჭირე გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე აიკე იმელი. "შტუტგარტის" დაცვამაც ვერაფრით შემიშალა ხელი. შვაბიელთა დაცვის ცენტრს მაშინ თომას ბერთოლდი და გვიდო ბუხვილდი ამაგრებდნენ.

სეზონის დასრულების შემდეგ თავისუფლად შემეძლო "კიოლნთან" კონტრაქტის გაგრძელება, მაგრამ უეფამ "დინამოს" დისკვალიფიკაცია მოუხსნა და საქართველოში დავბრუნდი. "დინამოს" ხელმძღვანელობასთან ფეხბურთელებს ჯენტლმენური შეთანხმება გვქონდა - თუ "დინამო" ევროსარბიელს დაუბრუნდებოდა, ჩვენც დავბრუნდებოდით გუნდში.

მაშინ სხვა დრო, სხვა მუხტი იყო, მთელი საქართველო სულმოუთქმელად ელოდა "დინამოს" ხელმეორე გამოსვლას უეფას თასზე. იმ დროს, იმ ვითარებაში "დინამოში" თამაში იმდენად სასიამოვნო და ძვირფასი იყო, რომ ბუნდესლიგაზე და "კიოლნზე" უარი ვთქვი. "დინამო" ავსტრიულ "ტიროლთან" დამარცხდა (1:0, 1:5) და ჩვენი ოცნება - Dream team ამით დასრულდა.

მერე უკვე გვიანი იყო "კიოლნში" დაბრუნება. "კიოლნში" თამაში შანსი იყო, რომელიც არ გამოვიყენე - ასეთი შანსი ყოველთვის არ გეძლევა.

# ლოკომოტივში დიდი წმენდა დაიწყო

თბილისის "ლოკომოტივის" გენერალურმა დირექტორმა, **დიმიტრი ობოლაძემ** ერთი თვის წინათ კლუბის ხელმძღვანელთა ჩანაფიქრი გაგვიმხილა - მეორე წრეში სერიოზული გაძლიერება გვსურსო. "ლოკომოტივის" ხელმძღვანელები ამბიციური კლუბის ჩამოყალიბებას აპირებენ, რომლის მიზანიც შემდეგ ჩემპიონატში ჩემპიონობისთვის ბრძოლა იქნება.

ამას ემსახურებოდა გუნდისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფეხბურთელებთან, **ირაკლი სამხარაძესთან** და **ნიკა გუშარაშვილთან** ხანგრძლივი კონტრაქტების გაფორმება. ორივე მათგანი "ლოკომოტივმა" 2010 წლამდე თამაშზე დაითანხმა.

ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ, გუნდში სერიოზული საკადრო წმენდა დაიწყო. სპორტული დირექტორის, **ირაკლი ჩოთალიშვილის** თქმით, ნახევარი გუნდი ტრანსფერზეა დაყენებული.

"ლოკომოტივი" დატოვა თავდამსხმელმა **მიხეილ ბობოხიძემ**, რომელიც თავიდანვე შეუთანხმდა კლუბის მეპატრონეებს, რომ ნახევარი წელი დაეხმარებოდა. მას ფორმის აღდგენა და შემდეგ წასვლა წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი.

მის გარდა ორი ფორვარდი გაუშვეს გუნდიდან, **გია იმედაძე** და **გიორგი მიქაძე**. ახალი კლუბის მოძებნა დასჭირდებათ მცველ **ლერი ხოხონიშვილს**, ნახევარმცველ **ირაკლი მალიჩავას, უჩა მამულაშვილს, ალეკო ლალაძეს**, აგრეთვე **ცინცაძეს**. სულ გუნდი თერთმეტ მოთამაშეს დაემშვიდობა.

"ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა ამჟამად მოლაპარაკებას ეწევს ფეხბურთელთან აწარმოებს, ორი მათგანის დამატება თითქმის გადაწყვეტილი აქვთ, მაგრამ ჩოთალიშვილის თქმით, კონტრაქტზე ხელის მოწერამდე, გვარების დასახელებას ერიდებიან.

ჯერ უცნობია, ახალი ფორმაციის "ლოკომოტივი" როდის განაახლებს ვარჯიშს. სხვათა შორის, გავრცელდა ჭორები, თითქოს მთავარი მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** გუნდიდან წავიდა.

ჩოთალიშვილმა ინფორმაცია უარყო, გიორგი გერმანიიდან დღეს ჩამოვა. თუმცა მწვრთნელთა შტაბში მართლა ყოფილა დანაკლისი - კიკნაძის მუდმივმა მარჯვენა ხელმა **ზაზა ზამთარაძემ** კლუბში მუშაობა აღარ ისურვა და მათი გზები გაიყარა.

**მერაბ მამულაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, პროფესიული ლიგა და იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ქუთაისში დატრიალებული ტრაგედიის გამო, რომელმაც ცნობილი საფეხბურთო მწვრთნელის თემურ ნადირაძის და მისი ოჯახის სამი წევრის სიცოცხლე შეიწირა.**

# კაცი, რომელიც მადლს თესავდა

ყველა სტატია თავისთავად რთულად დასაწერია, მაგრამ არის განსაკუთრებული ვითარება, როდესაც ბევრი გინდა თქვა, მაგრამ სათქმელს თავს ვერ უყრი.

ეს სწორედ ასეთი შემთხვევაა, რადგან წერა ისეთ ადამიანზე მიწევს, რომელზეც, სამწუხაროდ, ხალხმა ბევრი არაფერი იცოდა, მაგრამ ჩრდილში დგომას არ იმსახურებდა.

ჩრდილში დგომას კი არა, აღიარებას, პატივისცემას და ხელის გულზე ტარება ეკუთვნოდა.

სამწუხაროდ, თემურ ნადირაძე ისე გარდაიცვალა, საზოგადოება მხოლოდ მისი გარდაიცვალების შემდეგ შეიტყობს მის რეალურ ფასს.

კაცი მთელი ცხოვრება ქართულ ფეხბურთს ემსახურებოდა, ფუტკარივით შრომობდა და სიკეთეს თესავდა.

მისი დამსახურებაა, დღეს საქართველოს ნაკრებს მალხაზ ასათიანის რომ ეიმედება. მერწმუნეთ, ბატონი თემურთან შეხება რომ არ ჰქონოდა, დიდი იყო ალბათობა, ასათიანი ფეხბურთს ჩამოშორებოდა.

დასამალი არაა, მალხაზი განებივრებული ოჯახიდან არ გახლდათ. მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველს ფეხბურთიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, რადგან ბუცები არ ჰქონდა.

ნადირაძესთან საუბარმა მისი ცხოვრება შეცვალა. 15 წლის ბიჭს პირველი ბუცები სწორედ ნადირაძემ აჩუქა და ფეხბურთისკენ გული მოუბრუნა.

ეს კაცი გაჭირვებულ ბავშვებს მომავლის იმედს აძლევდა და ხშირად უმეორებდა, რომ მთავარი არა ფული, არამედ ღირსებით ცხოვრება და თავის გატანაა. ის თავად ეხმარებოდა ბავშვებს ფინანსურად, ბურთებით, ფორმებით.

მალხაზ ასათიანის სიტყვებია:"*ბატონ თემურს შვილებივით ვუყვარდით, ჩვენში გასაყიდ ფეხბურთელებს და მოგებას კი არ ეძებდა. მისი სიხარული ჩვენი გაზრდა და წარმატება იყო.*"

დამეთანხმებით, ძალიან კარგი მწვრთნელი და პიროვნება თუ არაა, უკვე გაზრდილი და ჩამოყალიბებული ფეხბურთელი ასე კარგად არ დაახასიათებს.

ასათიანმა მადლიერება მრავალგზის გამოხატა. ბავშვობის მწვრთნელს სიყვარულით და თანადგომით ამაგი დაუფასა. ლამის ყველა ინტერვიუში თემურ ნადირაძეს ახსენებდა და მწვრთნელს სხვა რა უხარია?

ბავშვობის მწვრთნელზე ყაზანის "რუბინის" მეკარე ნუკრი რევიშვილი გვესაუბრება: "*მამაჩემმა ქუთაისის "ტორპედოს" ბავშვთა სკოლაში მიმიყვანა და პირადად თემურ ნადირაძეს უთხრა, ბავშვს გაბარებო.*

*ჩემთვის ის მამობილივით იყო და არა მარტო ჩემთვის. ასეთი წესიერი, პატიოსანი ადამიანი იშვიათად მინახავს. როგორი მწვრთნელი იყო, ეს ყველამ იცის. 1981 წელს დაბადებულებისგან ისეთი გუნდი ჩამოაყალიბა, ყველა ფიქრობდა, რომ მარტო ამ ბიჭებს შეეძლოთ საქართველოს სახელის გატანა. სამწუხაროდ, უმრავლესობა ფეხბურთს ნაადრევად შეეშვა. მაგალითად, გოგოლაძე, რომელიც ბოლო წლებში აზერბაჯანში გამოდიოდა, დღეს აღარ თამაშობს. გუნდიდან მხოლოდ მახო ასათიანი და რეზო კვერნაძე შემორჩნენ.*

*ჩემზე ბატონ თემურს იმხელა ამაგი აქვს, მიჭირს კიდეც, რომელიმე ერთის გახსენება. ყველაზე გაჭირვებულ ბავშვებს ყველაზე მეტად ეხმარებოდა, თავად ყიდულობდა ბუცებს, ფორმებს, ოღონდ ნიჭიერს თავი დაჩაგრულად არ ეგრძნო. ამ დროს, თავად ბევრი არაფერი ჰქონდა. ჩვეულებრივი მაცხოვრებელი იყო, მაგრამ დიდი გული და ადამიანების სიყვარული გააჩნდა.*

*როდესაც მისი მკვლელობის ამბავი შევიტყვე, არც ვიცოდი, რა მეფიქრა, მტერი არც მას ჰყავდა და არც მის ოჯახს. მასზე ნაწყენ კაცს ქუთაისში ვერ ნახავთ. ბატონი თემური, მისი მეუღლე, მოკლული შვილი და რძალი ერთმანეთზე პატიოსანი ადამიანები იყვნენ და მთელი ქალაქი პატივს სცემდა, მათი ოჯახი ყველას უყვარდა. თუკი რაიმე კარგის თქმა შეიძება, მათზე ალალად ვიტყოდი.*

*ცხონებულ რობიკოს ორი კვირის წინ ჰქონდა ქორწილი და მისი მეჯვარე ვიყავი. რას წარმოვიდგენდით...*"

მე კი პირადად გული იმაზე მწყდება, რომ ჩვენი ინტერვიუ ვერ შედგა. შეთანხმებულები ვიყავით, მსურდა ოდნავ მაინც გაეცნო ხალხს ადამიანი, რომელიც მოყვასის სიყვარულით ცხოვრობდა და სიკეთეს თესდა.

მას ბევრი სათქმელი ჰქონდა, მაგრამ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ჯარისკაცი მუდამ ჩრდილში იდგა.

სიკვდილის შემდეგ იმ ქვეყანაში მადლობით გავაცილოთ. თემურ ნადირაძემ ეს დაიმსახურა.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. ბორჯომი

www.pfl.ge

# გამარჯვებაზე დაგეშილი

უკვე მერამდენე წელია, "ბორჯომი" უმაღლესი ლიგის განუყოფელი და რაც მთავარია, ანგარიშგასაწევი ბინადარია. ფეხბურთელები მოდიან და მიდიან, სამაგიეროდ, გუნდში რჩება ვლადიმერ ხაჩიძე, რომლის ხელმძღვანელობითაც "ბორჯომი" მუდამ მაღალი მიზნებისთვის იბრძვის.

ასეა ამ სეზონშიც, "ბორჯომის" ფეხბურთელთა დიდი ნაწილი იჯარითაა აყვანილი, მაგრამ ეს ბიჭები ამტკიცებენ, რომ არათუ ბორჯომულ, უფრო მაღალ დონეზეც შეუძლიათ წარმატებით თამაში. ძნელი სათქმელია, რა მოხდება სეზონის მეორე ნახევარში, თუმცა იმის თქმა უკვე შეიძლება: თუ ვინმემ ამ ჩემპიონატს ხიბლი და ლაზათი შეჰმატა, მათ რიცხვში "ბორჯომიცაა". დანარჩენი კი 2008 წელს გამოჩნდება, სამცხელთა მომავალი ჯერ გაურკვეველია, მაგრამ უდავოა, რომ მათთან ბრძოლა თითქმის ყველას გაუჭირდება.

## ვლადიმერ ხაჩიძე
მთავარი მწვრთნელი

"სეზონის დაწყებამდე ვთქვით, რომ მთავარი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო. ეს მიზანი ფაქტობრივად, უკვე შესრულებულია, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. პირველ წრეს, ბუნებრივია, ცალსახად დადებითად ვაფასებ".

### საუკეთესო მატჩი
"პირველ წრეში რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი ჩავატარეთ, "ამერთან", "ვიტ ჯორჯიასა" და "სიონთან" განსაკუთრებით მაღალი დონის ფეხბურთი ვითამაშეთ".

### ყველაზე ცუდი მატჩი
"ყველაზე მეტად უკმაყოფილო გორში, "დილასთან" გამართული შეხვედრით დავრჩი".

### პლუსი
"გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული, ბიჭები მოედანზე თავს არ ზოგავენ და საერთო წარმატებისთვის ბოლომდე იხარჯებიან".

### მინუსი
"მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს, მთელმა პირველმა წრემ 12-13 კაცის მხრებზე გადაიარა. კიდევ 2-3 ძლიერი მოთამაშე რომ გვყოლოდა, უკეთეს შედეგსაც ვაჩვენებდით".

### პროგრამა მინიმუმი
"როგორც უკვე ვთქვი, უმაღლეს ლიგაში დარჩენა ჩვენი მინიმალური ამოცანაა".

### პროგრამა მაქსიმუმი
"ევროთასების საგზურისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. ამის შანსი ჩემპიონატშიც გვაქვს და თასის გათამაშებაშიც. ინტერტოტოზეც რომ გავიდეთ, ჩვენთვის ესეც წარმატება იქნება".

### მზადება
"როგორც ყველა გუნდი, ჩვენც ნაახალწლევს, 5 იანვრის შემდეგ შევიკრიბებით. შეკრების დეტალებზე საუბარი მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება".

### საკადრო პოლიტიკა
"როგორც იცით, "ბორჯომს" თითქმის ყველა ფეხბურთელი იჯარით ჰყავს აყვანილი, ჩვენთან კონტრაქტი მხოლოდ ადგილობრივ მოთამაშეებს და შოთა ჯიქიას აქვთ გაფორმებული. ვნახოთ, რა იქნება, დარჩენა ყველას სურს და იმედია, ძირითად ბირთვს შევინარჩუნებთ".

### რჩეული შეგირდები
"აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელით კმაყოფილი ვარ, საქმეს ყველა პროფესიონალურად უდგება".

### პირველი წრის რჩეულნი
მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
დავით დევდარიანი (ოლიმპი)

### ფინანსური მდგომარეობა
"პირველი წრის მსვლელობისას კლუბში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო, იმედია, ასე გაგრძელდება".

### ბორჯომი და ქომაგი
"ბორჯომი პატარა ქალაქია და შესაბამისად, ბევრი გულშემატკივარი ვერ გვეყოლება, თუმცა ამის მიუხედავად, აქაურებზე აუგს ვერ ვიტყვი – ჩვენს გუნდს ერთგულად ქომაგობენ. ჩვენც ჩვენის მხრივ, მათ კარგი შედეგებით ვახარებთ".

### ორი ჩემპიონატის შედარება
"წინა ჩემპიონატში რამდენიმე უსუსური გუნდი თამაშობდა, მიმდინარე სეზონში კი უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა ბინადარი ბრძოლისუნარიანია. უეჭველ გამარჯვებას თუნდაც აუტსაიდერებთან ვერავინ დაგეგმავს. ასე რომ, ჩემი აზრით, მიმდინარე ჩემპიონატი უფრო მაღალი დონისაა".

### მსაჯობა
"ჩემი კოლეგების ნააზრევს გავეცანი. ისინი ამბობენ, რომ მსაჯობ ის დონე ამაღლდა, მე კი ამ მოსაზრებას კატეგორიულად ვერ დავეთანხმები. Gვყავს რამდენიმე ნორმალური მსაჯი, დანარჩენების კვალიფიკაცია კი საკმაოდ დაბალია".

### სკანდალები
"ფეხბურთელები, მწვრთნელები და კლუბების ხელმძღვანელები აგრესიაზე მაშინ გადადიან, როცა მოედანზე არაფერი გამოსდით. სჯობს, საქმეს უფრო სერიოზულად მივუდგეთ და საკუთარი ძალა მოედანზე, ნაღდ ბრძოლაში დავამტკიცოთ".

### პროგნოზები
"ჩემპიონობას "დინამოს" ვუწინასწარმეტყველებ, "ზესტაფონი" მას ალბათ, სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. თასი კი ისეთი ტურნირია, წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია".

**ლევან ჯანეზაშვილი**



ვლადიმერ ხაჩიძე

## ბორჯომი I წრეში




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| 2. ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 13 | 10 | 1 | 2 | 25:8 | 31 |
| 4. ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| 5. ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| 6. ამერი | 13 | 7 | 0 | 6 | 21:16 | 21 |
| 7. მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| 8. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| 9. სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| 10. სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| 11. მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| 12. ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| 13. დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| 14. ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

### ბორჯომი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ლ. მერებაშვილი | 13 | 13 | - | 5 | - |
| ლ. ძელიძე | 13 | 13 | - | 2 | - |
| შეყრილაძე (მეკ.) | 12 | 12 | -4 | 1 | - |
| ნერგაძე | 12 | 12 | 1 | 3 | - |
| მემარნიშვილი | 12 | 12 | 1 | 5 | - |
| შ. ჯიქია | 12 | 10 | 6 | 3 | - |
| ყველაშვილი | 12 | 7 | 2 | 2 | - |
| ბაბუნაშვილი | 11 | 11 | - | 3 | 1 |
| კ. ხანიშვილი | 11 | 10 | 1 | 2 | - |
| შ. გრიგალაშვილი | 11 | 10 | 4 | 4 | - |
| თ. ღონღაძე | 10 | 10 | - | 2 | - |
| აკობია | 10 | 10 | - | 2 | - |
| ქარქოზაშვილი | 10 | 7 | 1 | 1 | - |
| თედიაშვილი | 7 | 1 | 1 | - | - |
| გოგიჩაიშვილი | 7 | 1 | - | - | - |
| დევიძე | 4 | 1 | - | 1 | - |
| ნასყიდაშვილი | 4 | - | - | - | - |
| ნ. ლომიძე | 2 | 1 | - | - | - |
| გლუნჩაძე (მეკ.) | 1 | 1 | -3 | - | - |

**I ტური**
12.08 შ მერანი 1:0
გოლი: შ. ჯიქია

**II ტური**
17.08 ს სპარტაკი 0:0

**III ტური**
25.08 შ დინამო 1:2
გოლი: მემარნიშვილი

**IV ტური**
1.09 ს ბათუმი 1:1
გოლი: შ. ჯიქია

**V ტური**
15.09 შ ამერი 3:0
გოლები: შ. ჯიქია, კ. ხანიშვილი, შ. გრიგალაშვილი

**VI ტური**
23.09 ს ვიტ ჯორჯია 2:1
გოლები: შ. ჯიქია, შ. გრიგალაშვილი

**VII ტური**
28.09 შ მესხეთი 2:0
გოლები: შ. გრიგალაშვილი, ყველაშვილი

**VIII ტური**
7.10 ს ზესტაფონი 0:1

**IX ტური**
19.10 შ ლოკომოტივი 2:1
გოლები: შ. გრიგალაშვილი, შ. ჯიქია

**X ტური**
27.10 ს დილა 0:0

**XII ტური**
24.11 ს სიონი 1:0
გოლი: ნერგაძე

**XIII ტური**
2.12 შ მგლები 4:3
გოლები: შ. ჯიქია, ქარქოზაშვილი, ყველაშვილი, თედიაშვილი

**XI ტური**
5.12 შ ოლიმპი 0:0

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# შეუდრეკელი ვოვა

ბრწყინვალე ქართველი ფეხბურთელების კოჰორტაში, რომელიც თბილისის "დინამოს" პირველი კაპიტნის **შოთა შავგულიძის** (1912-1963) სახელით იხსნება, ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი უკავია **ვლადიმერ (ვოვა) სერგოს ძე ელოშვილს**, რომელსაც დღეს 80 წელი შეუსრულდა.

ჩვენ ცნობიერებაში ვოვა ელოშვილი დარჩა, როგორც შეუდრეკელი მებრძოლი, ერთდროულად ხისტი და ძალზე კორექტული ფეხბურთელი. მისთვის თამაში უშელავათო პაექრობასა და ამავე დროს სახალისო პროცესსაც წარმოადგენდა, რომელსაც იგი მთელი არსებითა და გატაცებით ეძლეოდა. ინდივიდუალური მეურვეობის შესანიშნავი ოსტატი (რუსებმა „ნეაპრხრლმსძლ ჟორშვმომ" უწოდეს), იგი, ამავე დროს, გააზრებული შეტევების წამომწყები და ზოგჯერ – დამაგვირგვინებელიც იყო!

პირველად ელოშვილი გულშემატკივრებმა 1949 წლის შემოდგომით დავაფიქსირეთ. ძირითად შემადგენლობაში სულ ოთხჯერ გამოჩნდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მატჩი მოსკოვის "ლოკომოტივთან" (7 ოქტომბერს), რომელიც ჩვენების საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად უშედეგოდ წარიმართა, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როდესაც მსაჯმა მოედნიდან გააძევა ერთ-ერთი ჩვენი ფეხბურთელი. თამაში დასასრულს უახლოვდება. ამ დროს, თავისი კარის სიახლოვეს ელოშვილმა მიიღო ბურთი, ფორვარდივით დაიძრა წინ და მეტოქის საჯარიმოში შესულს სარმით გაუმასპინძლდნენ. 11-მეტრიანი გუნდის კაპიტანმა, დაუვიწყარმა **ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძემ** გამოიყენა.

მომდევნო სეზონში ელოშვილმა შეხვედრათა თითქმის ნახევარი ჩაატარა და კიდევ უფრო აიმაღლა თავისი ფიზიკური და სათამაშო კონდიციები. ერთი წლის შემდეგ კი მტკიცედ დამკვიდრდა ძირითად შემადგენლობაში. მარჯვენა მცველის ადგილზე მან ღირსეულად შეცვალა ცნობილი ვეტერანი **არჩილ კიკნაძე** და დაცვის ბურჯად იქცა.

1951 წლის ჩემპიონატი ერთ-ერთი საუკეთესო იყო თბილისის "დინამოს" ისტორიაში. გუნდმა დაიკავა მე-2 ადგილი (პირველი იყო მოსკოვის ცდსა) და გაიტანა ყველაზე მეტი გოლი (59)!

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ბრწყინვალე გამარჯვებები მოსკოვის გუნდებთან: "ტორპედოსთან" 7:1 (15 აპრილი), "სპარტაკთან" 3:1 (27 მაისი) და ცდსა-თან 2:0 (1 ივნისი).

ჩვენი გუნდი ამ თამაშებში და, საზოგადოდ, მთელ ჩემპიონატში ყველა რგოლში დაბალანსებულად წარმოჩინდა: მეკარე **ვლადიმერ მარღანია**, მცველები ელოშვილი, **ძიაპშიპა, სარჯველაძე, რუსაძე**, ნახევარმცველები **ანთაძე, პანიუკოვი, კილაძე**, თავდამსხმელები **ჯოჯუა, გაგნიძე, ვარდიმიადი, ღოღობერიძე, თოდრია ზაზროევი, ჭკუასელი, მახარაძე**. მწვრთნელი ცნობილი **მიხაილ იაკუშინი** იყო.

კერძოდ (ჩვენი თემის შესაბამისად), აღვნიშნავ, რომ დაცვის ხაზი ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდის ისტორიაში. მომყავს ციტატა გაზეთიდან «Ურვეიყკმლ ყარპი» (1951. 14 მაისი), რომელიც ეხება თბილისელი მცველების თამაშს ლენინგრადში წარმატებით ჩატარებულ შეხვედრებში "ზენიტთან" (2:1) და "დინამოსთან" (3:1): "*ისინი მოძრავნი არიან, გამოირჩევიან სიმკვირცხლით, მარჯვედ თამაშობენ თავით, გვიჩვენებენ შესაშურ შეუპოვრობას ბურთისათვის ბრძოლაში*".

მეხსიერებაში სამუდამოD ჩაგვრჩა ბრწყინვალე თამაში სსრკ ჩემპიონთან – მოსკოვის ცდსა-თან (2:0 ზაზროევისა და გაგნიძის გოლები), რომელშიც ჩვენმა დაცვამ, რომ იტყვიან, ფეხი არ გაანძრევინა მრისხანე ფორვარდებს. ვოვა ელოშვილმა საიმედოდ ჩაკეტა ცნობილი **ვლადიმირ დიომინი**. ასე იყო მომდევნო თამაშშიც მოსკოვის "სპარტაკთან" (3:1), სადაც იგივე ბედი ეწია არანაკლებ ცნობილ **ანატოლი ილინს**. პატარა ამონარიდი რუსული საფეხბურთო ენციკლოპედიიდან (მოსკოვი 1997): „ძქყიპძლ მ ორვკმლ, რიომჩნრ ყრჩეითო აეპყრნთოტნუბ რაეკუ ყრაეპნმკთ ყ მგპრლ ვ ზრნე, თკიმვნრ არლკობჩთოყჭ კ თითკთს". ასეთი იყო ელოშვილი თავისი სპორტული კარიერის ზეობის წლებში.

1953 წლის ჩემპიონატი ქართული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე დრამატული, იმ აღმაშფოთებელი უსამართლობის გამო, რომელიც თავს დაატეხა ჩვენ გუნდსა და, შეიძლება ითქვას, ქართველ ხალხს ყბადაღებულმა "იმპერიულმა ცენტრმა" – სსრკ სპორტკომიტეტის სახით. თუმცა მანამდე კი სასიამოვნო ამბების შესახებ გეტყვით.

პირველი წრე ჩვენმა გუნდმა ჩინებულად წარმართა - პირველი ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო გამარჯვება 4:0 (14 ივნისი) მოსკოვის "ტორპედოსთან". სწორედ ამ თამაშში გაიტანა თავისი პირველი გოლი ელოშვილმა. ამის მერე ვოვამ კიდევ ორჯერ აიღო მეტოქეთა კარი, ზოგჯერ კი მისი გამჭოლი გადაცემებით, რომლებსაც პანიკა შეჰქონდათ მოწინააღმდეგეთა რიგებში, მწვავე მომენტები იქმნებოდა. ბოლოს ელოშვილს პერსონალური მეურვე მიუჩინეს.

ახლა კი იმ უსამართლობისა და ძალმომრეობის შესახებ, რომელსაც ემსხვერპლა ჩვენი გუნდი სეზონის მიწურულს. სუფთად მოგებული ბოლო მატჩი მოსკოვის "ტორპედოსთან" (2:1), რაც, როგორც მინიმუმ, I-II ადგილის გარანტიას გვაძლევდა, სსრკ სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით გადაგვათამაშებინეს და წაგვაგებინეს (1:4), რითაც ჩემპიონობისაკენ გზა გაუხსნეს მოსკოვის "სპარტაკს".

იმ წელს სსრკ ჩემპიონატში სულ 11 გუნდი მონაწილეობდა და ამიტომ იგი ადრე – სექტემბრის პირველ ნახევარში დამთავრდა. ბოლო ტურების წინ ჩემპიონატს ლიდერობდნენ მოსკოვის "სპარტაკი" და თბილისის "დინამო" ქულათა ერთნაირი რაოდენობით – 27, იმ არსებითი განსხვავებით, რომ "სპარტაკს" დარჩენილი ჰქონდა 2 თამაში (ლენინგრადის "ზენიტთან" და კუიბიშევის გუნდთან), ხოლო "დინამოს" – 1 (მოსკოვის "ტორპედოსთან").

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, თუ როგორ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ფონზე იმართებოდა ეს თამაში. 1953 წლის შემოდგომის დასაწყისი. ისის იყო საქვეყნოდ ამხილეს "ხალხის მტერი" **ლავრენტი ბერია**, იწყებოდა "პიროვნების კულტის" კრიტიკის გააფთრებული კამპანია, რომელიც მკვეთრად გამოხატულ ანტიქართულ ხასიათს ატარებდა.

რაც შეეხება წმინდა სპორტულ ფონს, იგი თბილისელთათვის ფრიად მომგებიანი იყო. 1951-54 წლებში "დინამო" სისტემატურად ჯაბნიდა "ტორპედოს". და, აი, დადგა მათი მორიგი შეხვედრის დღეც. თბილისელები ასეთი შემადგენლობით გავიდნენ მოედანზე: მარღანია, ელოშვილი, გოგლიძე, გაგნიძე, ანთაძე, მახარაძე, კოტრიკაძე, გაგნიძე, ვარდიმიადი, ღოღობერიძე, ჭკუასელი.

„*თამაშის პირველი ნახევარი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა, იური ვარდიმიადიმ და გოგი ანთაძემ ორი ბურთი გაიტანეს, რაც ტორპედოელებმაც და მაყურებლებმაც სავსებით ნორმალურად აღიქვეს.*

*მეორე ნახევარი ურთიერთშეტევებში მიმდინარეობდა და ვალენტინ ივანოვმა გაქვითა ერთი ბურთი. მანვე თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე, ლამის 5-მეტრიანი "ოფსაიდიდან" გაიტანა კიდევ ერთი ბურთი, რომელიც, ბუნებრივია, ლენინგრადელმა მსაჯმა ბელოვმა არ ჩათვალა.*

*და, უცებ, დგება საბედისწერო მომენტი, სტადიონის რადიოთი დიქტორი აცხადებს, რომ "სპარტაკი" ლენინგრადში დამარცხდა 0:1! ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისელები გამარჯვების შემთხვევაში ორი ქულით გაუსწრებენ "სპარტაკს", რომელსაც ელის კიდევ ერთი, ძალიან მძიმე მატჩი კუიბიშევში. აი, აქ კი დაიწყო, რაც დაიწყო, ტრიბუნები შემაშფოთებლად აგუგუნდნენ, გაისმა შეძახილები: ჰკა, მაგათ... ე.ი. თბილისელებსა და, განსაკუთრებით, მსაჯს. მოედანზე გადმოცვივდა ხულიგანთა ჯგუფი.*

*ბელოვმა დიდი გაჭირვებით დაამთავრა თამაში და შემდეგ ორივე გუნდის მოთამაშეებით გარშემორტყმულმა, სწრაფად უშველა თავს, მიეფარა მიწისქვეშა გვირაბს. ის ჩაიკეტა მსაჯთა ოთახში და იმის თქმაღა მოასწრო, მოდი, და ამის შემდეგ იმსაჯე ობიექტურადო!*

*ამასობაში ბრბო შემოვარდა გასახდელში. ცოტაც და ჩვენკენ გამოიწევდნენ. მილიცია ამ დროს სად იყო, ღმერთმა უწყის. კიდევ კარგი, რომ გაშმაგებულ "გულშემატკივართა" დაშოშმინება მოახერხეს სტადიონის მუშაკებმა, ბელოვი კი ჩუმად გააპარეს აეროდრომზე "ზის-110"-ით. ნელ-ნელა ჩვენც გონს მოვედით. მთავარი კი, თურმე წინ გველოდა.*

*გვიან ღამით სსრკ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, რომანოვის დაჟინებული მოთხოვნით "ცხვება" დადგენილება მატჩის გადათამაშების შესახებ: "სოვეტსკი სპორტში" (8. სექტემბერი) იბეჭდება ამ გადაწყვეტილების ჭკუისშემშლელი დასაბუთება: "ცენტრალურ სტადიონ "დინამოს" დირექციის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება შეჯიბრების ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც ვერ უზრუნველყო ელემენტარული წესრიგი სტადიონზე". გაგიჟდები კაცი! გეგონება, თამაში მოსკოვში კი არა, თბილისში ჩატარდა!*

*იმის შესახებ, რომ გველოდა გადათამაშება, მეორე დილით ჩვენმა მწვრთნელმა ბორის პაიჭაძემ შეგვატყობინა. გაოგნებულები დავრჩით. თანაც წინადღეს გამარჯვების შემდეგ, საგრძნობლად მოვეშვით, ზოგიერთებმა "რეჟიმიც დავარღვიეთ".*

*მეორე დღეს, ბაზაზე მოულოდნელად გამოგვეცხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ალექსანდრე მირცხულავა. საოცრად შეშინებული ჩანდა, სახეზე ცუდი ფერი ედო. იგი გვეხვეწებოდა, წინააღმდეგობა არ გაგვეწია მოსკოველებისათვის (?!). მახსოვს, როგორ შეეჭმუხნა სახე ბატონ ბორის პაიჭაძეს, ამის გამგონეს...*

*გადათამაშება დაევალა "სანდოზე სანდო" მსაჯს ნიკოლაი ლატიშევს. პირდაპირ გავოგნდი, როდესაც მოედანზე გასვლის წინ გავიგონე, როგორ მიმართა ლატიშევმა პაიჭაძეს: "ბორია, წინასწარ ვიხდი ბოდიშს იმისათვის, რაც მოედანზე მოხდება". ყველაფერი ნათელი იყო! ჩვენ განწირულები ვიყავით. და მაინც, პირველ ტაიმში შეუპოვრად ვიბრძოლეთ. მართალია, თამაშის დასაწყისში მოსკოველებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ მალე ჩვენმა კაპიტანმა ავთანდილ ღოღობერიძემ გაათანაბრა. ამ მონაკვეთში ვაჩვენეთ, მართლაცდა, მაღალი კლასის თამაში. მთელი სტადიონი გაისუსა – მეორე ასეთი შემთხვევა არც მახსოვს. მიმდინარეობდა 25-ე წუთი, როდესაც ლატიშევმა აბსოლუტურად უმიზეზოდ მინდვრიდან გააძევა იმ დღეს ძალან აქტიური რეზო მახარაძე. ავნერვიულდით, ხასიათი გაგვიფუჭდა. გულმოსულმა, საკუთარ კარში გავაგზავნე ბურთი. კიდევ კარგი, ვოვა მარღანიამ მოიგერია. ლატიშევმა კი შენიშვნა მომცა "საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელი საქციელისათვის"! მსაჯის მიერ გათამამებული მოსკოველები უხეშობენ და მწყობრიდან გამოჰყავთ კარლო გაგნიძე. მოთამაშის შეცვლა მაშინ აკრძალული იყო. ფაქტობრივად, ცხრანი დავრჩით და, როგორც ლოგიკური შედეგი, მეორე ბურთიც გავუშვით. მეორე ტაიმში თამაში აღარ იყო. დავმარცხდით 1:4.*

*თამაშის შემდეგ გასახდელში შემოვიდა ჩვენი ყოფილი მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი (იგი ჩემპიონატის დასასრულამდე ორი კვირით წაგვართვეს და მოსკოვში გადაიყვანეს!). ყველას მაგრად გადაგვეხვია და ბოდიში მოგვიხადა იმ უსინდისობისათვის, რაც მოედანზე იყო*" – იხსენებს ელოშვილი.

...საბოლოოდ, 1953 წლის ჩემპიონი გახდა მოსკოვის "სპარტაკი", რომელმაც მოიგო კუიბიშევში თავისი ბოლო შეხვედრა 1:0 და დააგროვა 29 ქულა. თბილისის "დინამო" 27 ქულით მეორე ადგილზე დარჩა, მესამეზე კი – თბილისელთა "დამმარცხებელი" მოსკოვის "ტორპედო" – 25 ქულით.

რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ თბილისელებს ჩაეთვლებოდათ დამსახურებული გამარჯვება. ამ შემთხვევაში ისინი დააგროვებდნენ 29 ქულას. "სპარტაკსაც" უგროვდებოდა ამდენივე. ოღონდ "სპარტაკს" ბურთების უკეთესი შეფარდება ექნებოდა 45:15, თბილისელებს კი — 40:21.

როგორ გადაწყდებოდა ამ შემთხვევაში ჩემპიონობის ბედი? ამის შესახებ ახლა მხოლოდ მკითხაობა შეიძლება. სავარაუდოა, რომ მოსკოველი ფუნქციონერები "სპარტაკის" სასარგებლოდ გადაწყვეტდნენ საკითხს ანუ ბურთების შეფარდებას მიანიჭებდნენ უპირატესობას. თუმცა, ვინ იცის? იქნებ გადათამაშება დაენიშნათ და ჩემპიონებიც გავმხდარიყავით...

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ ძვირფას იუბილარს. მით უმეტეს, რომ მომდევნო წლებში იგი კვლავ შესანიშნავად თამაშობდა და 1956 და 1957 წლებში საბჭოთა კავშირის "33 საუკეთესოს" სიაშიც შეჰყავდათ.

1954-1958 წლები წარუმატებლობის ხანა იყო თბილისის "დინამოს" ისტორიაში და მაინც არ შემიძლია არ მოვიყვანო ამ წლებთან დაკავშირებული რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი: გამარჯვებები საერთაშორისო შეხვედრებში – ბორდოს "ჟირონდასთან" (4:0), ბერლინის "ფორვერსტთან" (4:1), ვარშავის ნაკრებთან (4:2) — 1954 წელს, გამარჯვება ბულგარეთში (!) სოფიის "დინამოსთან", 3:2 – 1956 წელს. იმავე წელს "დინამომ" (საქართველოს ნაკრების ეგიდით) მეორე ადგილი მოიპოვა სსრკ ხალხთა სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირში (გამარჯვებები მოლდავეთის, სომხეთის, უკრაინის ნაკრებებთან). 1959 წელს "დინამოს" შემადგენლობაში ელოშვილმა მონაწილეობა მიიღო ტრიუმფულ საგასტროლო თამაშებში, როცა დაამარცხეს საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი გუნდები.

აქტიური ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ (1959), იგი შეუდგა საწვრთნელ საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით თბილისის ფეხბურთის ახალგაზრდული სკოლის გუნდი სისტემატურად იმარჯვებდა საკავშირო შეჯიბრებებში, რისთვისაც მას დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. მან მოამზადა დიდი ფეხბურთისათვის **ალექსანდრე ჩივაძე, ფირუზ კანთელაძე, ვლადიმერ გუცაევი, ვახტანგ კოპალეიშვილი, მანუჩარ მაჩაიძე!**

ბატონი ვოვა, ღვთის წყალობით, დღესაც მხნედ და ყოჩაღად არის. დამსახურებულ ვეტერანს, ქართული ფეხბურთის შესანიშნავ წარმომადგენელს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და, საზოგადოდ, ყოველივე კარგს ვუსურვებთ

**გულბათ ტორაძე**

## გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

### დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. ფაბიო კაპელოს პრეზენტაცია

# ინგლისი ჩემი ბოლო სამუშაო ადგილია და ძალიან მინდა, ფეხბურთიდან გამარჯვებული წავიდე

## კაპელოს ახდენილი სიზმარი და მარტივი სენტენცია: დიდი წარმატებები დიდი წვალების გარეშე არ მოდის



ფაბიო კაპელო ინგლისის ნაკრების მაისურით

**გუშინ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ფაბიო კაპელო ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად წარადგინა. პრეზენტაციას უამრავი ჟურნალისტი დაესწრო, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური მედიასაშუალებებიდან. მოკლედ შეგახსენებთ, რომ პარასკევს იტალიელმა სპეციალისტმა ინგლისელებთან 4-წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. რაც შეეხება ანაზღაურებას, ასოციაციის ჩინოსნებმა ხელშეკრულების ეს ნაწილი ბოლომდე მკაცრად გაასაიდუმლოეს. ადრე გავრცელებული ცნობით, კაპელოს წლიურად 6 მილიონი გირვანქა უნდა მიეღო, მაგრამ როგორც კარგად ინფორმირებული წყარო აცხადებს, ფაბიოს ხელფასი წელიწადში, არც მეტი, არც ნაკლები, 13 მილიონი დოლარით განისაზღვრა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად სანაკრებო მწვრთნელად იქცა. ახლა კი დიდი მაესტროს პრესკონფერენცია, რომელიც ოფიციალური ცერემონიალის დასრულების შემდეგ გაიმართა...**

### დანიშვნაზე...

- ახლა პირველად ვამბობ, რომ ორჯერ ვიყავი ახლოს ინგლისის ნაკრებში დანიშვნასთან. ბოლოს და ბოლოს, ესეც მოხდა. ვიცი, რომ ფანტასტიკური თავგადასავალი მელოდება, უამრავი სირთულითა და წინააღმდეგობებით, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია. დიდი გამარჯვებები წვალების გარეშე არ მოდის...

### პირველ ნაბიჯებზე...

- პირველ რიგში, ვთხოვდი ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს, იყვნენ ეროვნული გუნდის ერთგულები. მინდა, მათში სიამაყის გრძნობა გავაღვივო. ნაკრების მაისურა ეს სულ სხვა განზომილებაა და ფეხბურთელების მხრიდან განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს. მათ ოსტატობა არა მარტო კლუბებში, არამედ ნაკრებშიც უნდა დაამტკიცონ. გულწრფელად ვამბობ, არ მეგულება გუნდი, რომელიც არ ისურვებდა მის რიგებში ინგლისის ნაკრების დღევანდელ მოთამაშეთა უდიდეს ნაწილს. ვერც იმ მიზეზს ვხედავ, რომ მათ ნაკრებში ძალები დაზოგონ. ინგლისი ერთ-ერთი მძლავრი საფეხბურთო სახელმწიფოა და ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონატზე ვერმოხვედრამ დიდი იმედგაცრუება მოიტანა. ახლა ჩვენ დიდი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი, რათა სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე ღირსეულად გამოვიდეთ.



ფაბიო კაპელო და ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ბრაიან ბერვიკი პრეზენტაციაზე

### შთაბე□დილებებზე...

- ამაყი ვარ იმით, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე. ეს ყველაზე პრესტიჟული თანამდებობაა საფეხბურთო სამყაროში. სიმართლე გითხრათ, ამ პოსტზე დიდხანს ვოცნებობდი. ეს სიზმარს ჰგავს. იმედი მაქვს, ინგლისის ნაკრების გამოღვიძება არ იქნება მტკივნეული პროცესი და ჩვენ შევძლებთ ფასეული შედეგების მიღწევას.

### ნაკრებში მუშაობის სპეციფიკაზე...

- რაც შეეხება ჩემს პირად გეგმებს, ბევრ რამეს უნდა გადავხედო, რადგან ნაკრებში მუშაობას თავისი სპეციფიკა აქვს. კლუბში ფეხბურთელებთან ყოველდღიური კონტაქტი გაქვს, ნაკრებში კი... თანაც ინგლისის ეროვნული გუნდი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი სადღაც რელიგიის დონეზეა, ყოველთვის სვამენ კითხვას: რატომ ვერაფერს აღწევს მთავარი გუნდი? კლუბები ბრწყინვალედ გამოდიან ევროტურნირებში. ეს სულისკვეთება ნაკრებსაც უნდა გადაედოს.

### ფსიქოლოგიაზე...

- ფსიქოლოგიური ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. ბოლოს რამდენჯერმე ვნახე ინგლისის ნაკრები თამაში და მომეჩვენა, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი შებოჭილი იყო. პირველ რიგში, ჩვენი მიზანია, ეს ბარიერები მოვხსნათ. მოთამაშეები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ საკუთარ ძალებში და არ უნდა ეშინოდეთ გადამწყვეტი მატჩების... თუმც ამგვარი რამ სხვებსაც სჭირთ.

### საკადრო პოლიტიკაზე...

- ახალი მწვრთნელის მოსვლა იმას ნიშნავს, რომ ყველა მოთამაშე თანაბარ სასტარტო პირობებშია, ანუ ეს არის ახალი სტარტი ყველასთვის. დღეს კონკრეტულ ფეხბურთელებზე არაფერს ვიტყვი. ვიცი, რომ მოლოდინი დიდია და მე მზად ვარ ამისთვის.

### უახლოეს გეგმებზე...

- შემიძლია გითხრათ, რომ შვეიცარიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის მზადება პირადად მე უკვე დაწყებული მაქვს. თამაში თებერვალშია დანიშნული. ინგლისში იანვრის დასაწყისისთვის ჩამოვალ. თქვენს ენაზე საუბარი ცოტა მიჭირს, მაგრამ არა უშავს, ამ საქმეს შუვედექი. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რათა ინგლისის ნაკრებმა წარმატებებს მიაღწიოს. ანალოგიურ თავდადებას ველოდები ფეხბურთელებისგანაც და მათგანაც, ვისაც ნაკრებთან თუნდაც მცირეს სახის შეხება აქვს. აქვე ვამბობ, რომ ინგლისი ჩემს კარიერაში ბოლო სამუშაო ადგილი იქნება. ამიტომაც, ძალიან მინდა, რომ საყვარელ საქმეს გამარჯვებული დავემშვიდობო.

### სამწვრთნელო შტაბზე...

- ასისტენტებად იტალიელი სპეციალისტები, ჩემი თანამოაზრეები მოვიწვიე. თუმცა უახლოეს მომავალში დაველაპარაკები სერ ტრევორ ბრუკინგს (წარსულში, ქართველებისთვის კარგად ნაცნობი "ვესტ ჰემის" გამთამაშებელი, დღეს კი საფეხბურთო ასოციაციის დირექტორი განვითარების დარგში - რედ) და ინგლისელ თანაშემწეთა კანდიდატურებსაც განვიხილავთ. აუცილებელია, რომ გუნდში ინგლისელი სპეციალისტებიც მუშაობდნენ...

### რას ამბობენ კაპელოზე?

**ინგლისის ნაკრების ახალი მწვრთნელის დანიშვნასთან დაკავშირებით, აზრი გამოთქვეს ცნობილმა სპეციალისტებმაც...**

### რაფა ბენიტესი
#### ლივერპულის მწვრთნელი

"მე ვიცნობ მას. თუ მკითხავთ მის პროფესიულ თვისებებზე, უბრალოდ გეტყვით, რომ კარგი სპეციალისტია. თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ ყველას სჭირდება გარკვეული დრო იმისთვის, რომ თავისი პოტენციალი გამოავლინოს. ნებისმიერი ნაკრების მწვრთნელად მუშაობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, მით უმეტეს ინგლისის დღევანდელ ნაკრებში, რომელმაც სერიოზული ფიასკო განიცადა და რომლისგანაც დღეიდან მხოლოდ გამარჯვებებს ელიან. აქედან გამომდინარე, კაპელოს ამოცანა ორმაგად რთულია. რაც შეეხება იმას, რომ ის ინგლისელი არ არის, ამაზე ბევრს არაფერს ვიტყვი, დავძენ მხოლოდ იმას, რომ... უბრალოდ, ის ძალიან კარგი მწვრთნელია".

### სტივ კოპელი
#### რედინგის მთავარი მწვრთნელი

"გულახდილად გითხრათ, გაწბილებული ვარ. გაწბილებული ვარ იმიტომ, რომ ინგლისის ნაკრების საჭესთან მხოლოდ ინგლისელი მინდოდა. რა თქმა უნდა, კაპელოს სავიზიტო ბარათი მეტად მდიდარი და შთამბეჭდავია, მასზე წარმატებული მწვრთნელის მოძებნა ძალიან ძნელია, მაგრამ მან ამ წარმატებებს საკლუბო დონეზე მიაღწია, მოიგო ყველა იმ ქვეყნის ჩემპიონატი, სადაც კი იმუშავა, მაგრამ ვიმეორებ - ეს მხოლოდ საკლუბო დონეზე, ნაკრები კი სულ სხვაა. და რაც მთავარია, კაპელოს არ მოუგია პრემიერლიგა".

### სვენ გორან ერიქსონი
#### მანჩესტერ სიტის მწვრთნელი და ინგლისის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი

"უდავოდ, კაპელო ჩინებული არჩევანია. მას დიდი ხანია, ვიცნობ. მთელი 10 წლის განმავლობაში ჩვენ სერია A-ში ვმეტოქეობდით. ის მარტო კარგი მწვრთნელი კი არა, კარგი ადამიანიცაა. ფაბიოზე ყველაზე კარგად მისი მიღწევები ლაპარაკობენ: ბევრჯერ მოიგო იტალიაში, ორჯერ ესპანეთში, "რეალთან" ერთად... მეტი რაღა გნებავთ? რაც შეეხება იმათ, ვინც ასევე მოიაზრებოდა ნაკრების სათავეში, მაგალითად, ჟოზე მოურინიო, მარჩელო ლიპი, ალექს ფერგიუსონი, არსენ ვენგერი... შეიძლებოდა, საფეხბურთო ასოციაცია შემცდარიყო კიდეც, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სწორი არჩევანი გაკეთდა. დარწმუნებული ვარ, კაპელო თავს გაართმევს საქმეს და საერთო ენას გამონახავს თითოეულ ფეხბურთელთან, რა დონის ფეხბურთელიც არ უნდა იყოს ეს. იმ მწვრთნელებს, რომლებიც ზემოთ დავასახელე, მოთამაშეებთან ანალოგიური პრობლემები არ ექნებოდათ. ვნახოთ, როგორ მოახერხებს ამას კაპელო. ვიმეორებ, იმედი მაქვს, მოახერხებს".

### ჰარი რედნაპი
#### პორტსმუთის მწვრთნელი

"ნუთუ მართლა სუპერმწვრთნელი უნდა იყო, რომ ინგლისის ნაკრებს ჩაუდგე სათავეში? ნუთუ სტივ ჯერარდს კიდევ რაიმეს სწავლა სჭირდება? რა თქმა უნდა, არა... ან ეშლი კოულს, ჯორ ტერის, რიო ფერდინანდს, მიკა რიჩარდსს, ფრენკ ლემპარდს, უეინ რუნის... ნაკრების მწვრთნელი მათ მატჩამდე სამი დღით ადრე ხვდება და რა უნდა ასწავლოს ამ მოკლე ხანში? რა, ჯერარდს უნდა ასწავლო, ვის და როგორც გადააწოდოს პასი, ან ლემპარდს უთხრა რამდენი უნდა ირბინოს, რომ მერე 30 მეტრიდან დაარტყას? აქ მწვრთნელობაზე ნაკლებად უნდა იყოს ლაპარაკი. უბრალოდ, მნიშვნელოვანია საჭირო მოთამაშეების მონახვა, თამაშის ორგანიზება, ფეხბურთელების დარწმუნება საკუთარ ძალებში, შიშის მოხსნა და თამაშში ასი პროცენტით დახარჯვა... რა საჭიროა ამისთვის სუპერმწვრთნელი? ინგლისს არ სჭირდებოდა იურგენ კლინსმანი და არ სჭირდება ფაბიო კაპელოც. ტოპ-მწვრთნელი? არა, ეს შეცდომაა. ასეთ მწვრთნელებს ცხოვრებაში ორ-სამს თუ შევხვედრივარ, მეტს არა. მოკლედ, გაწბილებული ვარ საფეხბურთო ასოციაციის არჩევანით. ვთვლი, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ინგლისელი უნდა ყოფილიყო. და კიდევ, მინდა მივმართო ბრაიანს (ბრაიან ბერვიკი, საფეხბურთო ასოციაციის აღმასრულებული დირექტორი - რედ). დიახ, ვიცი, რომ ვიდრე მწვრთნელს დანიშნავდნენ, ალექს ფერგიუსონს ჰკითხეს აზრი, სხვებსაც ელაპარაკნენ... ძალიანაც კარგი, მაგრამ მე რატომ არაფერი მკითხეს? არადა, მქონდა რაღაც სათქმელი"...

### ალექს ფერგიუსონი
#### მანჩესტერი იუნაიტედის მწვრთნელი

"ინგლისის ნაკრების ყველა მწვრთნელი იყო და იქნება დიდი წნეხის ქვეშ. ფაბიოს მხოლოდ რამდენიმე დღე დასჭირდება იმისთვის, რათა ეს თავის თავზე გამოსცადოს. მას ძალიან ბევრი სამუშაო ექნება. ამოცანა, რომ ინგლისის ნაკრები მისთვის საკადრის დონეზე აიყვანო, მეტად რთული და მჯერა, კაპელოს შესაფერისი მხარდაჭერა ექნება. მას უდიდესი გამოცდილება აქვს, რაც ეროვნული გუნდის მწვრთნელისთვის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია. გასათვალისწინებელია მისი წარმატებებიც, და არა მარტო წარსულში, არამედ სულ ახლახან, "რეალში" მუშაობის დროს. ამას გარდა, ასაკიც ისეთი აქვს, რომ ნაკრებში მუშაობისთვის მომწიფებულია".

### ტერი ვენეიბლზი
#### ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი და სტივ მაკლარენის ექსასისტენტი

"ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა ნებისმიერისთვის ძნელი ამოცანაა. არ ვიცი, შეძლებს თუ არა კაპელო ამ სიძნელეებთან გამკლავებას. ნაწყენი ვარ, რომ საფეხბურთო ასოციაციამ არჩევანი მაინცდამაინც არაინგლისელზე შეაჩერა. დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვყავს შესაფერისი სპეციალისტები და თან, არა ორი და სამი, მეტიც. თუმცა იმას კი ვერავინ უარყოფს, რომ კაპელო მსოფლიო მასშტაბის სპეციალისტია. მაგრამ ის წნეხი, რომელშიც ინგლისელი მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერმოხვედრის გამო აღმოჩნდა, მაფიქრებინებდა, რომ ასოციაცია არც ალან კერბიშლის ანდობდა პოსტს და არც სემ ელერდაისს. პრემიერლიგის დიდი ოთხეული, "არსენალის", "ჩელსის", "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" სახით,უკვე დიდი ხანია არავის უთმობს მედლებს და აქედან გამომდინარე, ინგლისელ მწვრთნელებს თავის გამოჩენა ძალიან უჭირთ".

### მარჩელო ლიპი
#### იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი

"კაპელო ინგლისელებისთვის საუკეთესო ვარიანტია. არავის არ სჭირდება იმის კითხვა, თუ რას მიაღწია ფაბიომ, შეხედეთ მის ტიტულებს... ამაზე ხომ მთელმა მსოფლიომ იცის. დიახ, ის იტალიელია. მაგრამ რაკი საფეხბურთო ასოციაციამ დახმარებისთვის მაინცდამაინც იტალიელს მიმართა, ეს ნიშნავს იმას, რომ მისი სჯერათ, იციან, რომ სამუშაოს გაუმკლავდება. რაც შეეხება ჩემს შესაძლო დანიშვნას, ამაზე მხოლოდ პრესაში ვკითხულობდი, პირადად ჩემთვის კი არავის დაურეკავს და ახლა ამაზე საუბარი აღარ ღირს".

### კარლო ანჩელოტი
#### მილანის მწვრთნელი

"ინგლისელებს ნამდვილად არ აქვთ კარგი ფეხბურთელების დეფიციტი. ამიტომ, კაპელოს მოვალეობაა, ეს ფეხბურთელები ერთ მუშტად შეკრას, თამაშის სწორ ორგანიზაციას მიაგნოს. ვფიქრობ, ის თავს გაართმევს ინგლისის ნაკრების მწვრთნელის მეტად რთულ მისიას. ფაბიოს წარმატებებს ვუსურვებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი. მოსალოდნელი დანიშვნა

# რაიკაარდი ლონდონში?

## დეილი მეილი: გრანტის ოთხწლიანი კონტრაქტი მხოლოდ მადლიერების გამოხატულება იყო...

**ფრანკ რაიკაარდს** "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტს შესთავაზებენ. ეს ინფორმაცია გუშინდელ "დეილი მეილში" ამოვიკითხეთ. "ბარსელონის" დამრიგებელმა **რომან აბრამოვიჩის** ყურადღება მიიპყრო. რუს ოლიგარქს სურს, მისმა კლუბმა ახალ წარმატებებს ჰოლანდიელ სპეციალისტთან ერთად მიაღწიოს. რაიკაარდთან დაახლოებული წყაროები იუწყებიან, რომ ის სეზონის ბოლოს ბარსელონიდან აბარგებას აპირებს. ფრანკმა მეგობრებს განუცხადა, ზაფხულში სამი სარფიანი შეთავაზება მექნებაო. სავარაუდოდ, ეს სამი ვარიანტი იქნება: ჰოლანდიის ნაკრები, "ბაიერნი" და "ჩელსი". ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჰოლანდიელები **მარკო ვან ბასტენს** გამოეთხოვებიან. მიუნხენურ გიგანტში არასახარბიელო ვითარებაა. **ოტმარ ჰიტცფელდს** პრობლემები აქვს. კლუბის ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელზე ფიქრობს. რაც შეეხება "ჩელსის", რაიკაარდთან დაკავშირებული სპეკულაციები მოულოდნელი იყო. ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც ინგლისურმა სააგენტოებმა დიდი ამბით გვაუწყეს, "არისტოკრატებმა" მთავარი მწვრთნელ **ავრამ გრანტს** ოთხწლიანი კონტრაქტი შესთავაზესო. კონტრაქტი სარფიანია. ისრაელი სპეციალისტი ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 10 მილიონ დოლარს გააკეთებს. ახლა კი მოულოდნელად ვიგებთ, რომ სეზონის ბოლოს ჩელსიში შეიძლება რაიკაარდი დაინიშნოს. მაშ, გრანტის ხელშეკრულება რაღას ნიშნავდა? "დეილი მეილს" ამ კითხვაზეც მზად აქვს პასუხი: ეს მადლიერების გამოხატულება იყო. მისტერ ავრამმა გუნდი კრიზისის დროს ჩაიბარა. მან პრობლემები დაძლია, ამიტომ მადლობას იმსახურებდა. მაგრამ ერთი კრიზისის დაძლევა და მეორე მაღალი მიზნებისათვის ბრძოლა. "დეილი მეილის" ცნობით, "ჩელსის" ხელმძღვანელობას უმაღლესი მიზნებისათვის ბრძოლა სურს. საამისოდ კი ავტორიტეტული სპეციალისტი სჭირდება. გრანტი დიდი



ფრანკ რიიკაარდი

სახელით არ სარგებლობს. სხვა საქმეა რაიკაარდი, რომელმაც საუცხოო საფეხბურთო კარიერა შთამბეჭდავი სამწვრთნელო კარიერით გააგრძელა და ბარსელონაში გატარებული ოთხი წლის განმავლობაში ორჯერ ესპანეთის ჩემპიონატი და ერთხელ ჩემპიონთა ლიგა მოიგო. "დეილი მეილის" წყაროს ცნობით, რაიკაარდი სამომავლო გეგმებს დეკემბრის მიწურულს გაახმოვანებს. ვარაუდობენ, რომ მწვრთნელი სეზონის დასრულებისთანავე გამოეთხოვება "ბარსელონას".

ტრავმა

# ტერის სამი თვე

"არისტოკრატებს" საკადრო პრობლემები აქვთ. **ჯონ ტერი** სამი თვე ვერ ითამაშებს. "ჩელსის" კაპიტანმა ტერფის ძვალი გაიტეხა. მას უსიამოვნება "არსენალთან" დერბისას (0:1) შეემთხვა. ტერი **ემანუელ ებუესთან** შეჯახებისას დაშავდა. "მეთოფეების" მცველმა მის მოქნეულ ფეხს ფეხი შეუშვირა. ტერიმ საშინელი ტკივილი იგრძნო. ექიმებმა დახმარების აღმოჩენა სცადეს, მაგრამ ამაოდ. 38-ე წუთზე ტერი ტალ ბენ ჰაიმმა შეცვალა. ჯონი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. რენტგენმა აჩვენა, რომ ძვალი გატეხილია. ფეხბურთელმა ინტენსიურად უნდა იმკურნალოს. ხანგრძლივი იძულებივი შვებულება იმის მაუწყებელია, რომ მცველი **ფაბიო კაპელოს** სადებიუტო შეხვედრასაც გამოაკლდება. კაპელოს დებიუტი ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე 2008 წლის 6 თებერვალს შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში შედგება.

"არსენალთან" თამაშის შემდეგ "ჩელსის" თავდამსხმელმა **სალომონ კალუმ** ჟურნალისტებს აუწყა, რომ ებუე მომხდარის გამო ძალიან წუხდა. კალუ და ებუე თანამემამულეები არიან. ისინი კოტ დივუარის ნაკრებში თამაშობენ. "არსენალის" მცველმა ჩელსელ კოლეგას სწორედ კალუს პირით შეუთვალა ბოდიში. ებუე ირწმუნება, რომ მეტოქის ძალით დაშავება არ სურდა. მან თქვა, ბურთის დაუფლება მსურდა, ტერის კი შემთხვევით შევეხეო.

"ჩელსის" კაპიტნის ტრავმა ანალოგიურია იმისა, რაც თავის დროზე **დევიდ ბექჰემსა** და **უეინ რუნის** ჰქონდათ. ორივე ვარსკვლავის გამოჯანმრთელებას დიდი ხანი დასჭირდება. ასე რომ "არისტოკრატები" წამყვანი მცველის გარეშე თამაშს უნდა შეეგუონ.




ჯონ ტერი შვებულებაში გავიდა



ჟოზე მოურინიო

მოსალოდნელი დანიშვნა

# მოურინიოს ბარსელონაც გამოუჩნდა?

## თუ ჟოზე ზაფხულამდე გააფორმებს კონტრაქტს, ჩელსის კომპენსაციის სოლიდურ ნაწილს დაკარგავს...

ინგლისური სააგენტოები ჯიუტად გვარწმუნებენ, რომ **ჟოზე მოურინიო** კარიერას მილანში გააგრძელებს. "სანდი მირორმა" ამ თემას მორიგი სტატია მიუძღვნა. ტაბლოიდის მტკიცებით, პორტუგალიელი მწვრთნელი ორივე მილანურ გრანდს სურს. მათი წინადადებებიც იდენტურია. "ინტერი" და "მილანი" მზად არიან, წელიწადში 10 მილიონი ევრო გადაიხადონ, თუკი ჟოზე რომელიმე მათგანთან გააფორმებს კონტრაქტს. ეს ინფორმაცია ერთი კვირის წინაც გვქონდა. თავისუფლად შეიძლებოდა, მისი გადმობეჭდვისაგან თავი შეგვეკავებინა, მაგრამ "სანდი მირორმა" ცნობა ახალი ამბით შეალამაზა - მილანელთა გარდა, მოურინიო "ბარსელონასაც" მოუნდაო. ამ სპეკულაციასაც საკმაო საფუძველი აქვს. სეზონის ამბობენ, რომ სეზონის ბოლოს **ფრანკ რაიკაარდი** თანამდებობას დატოვებს. მის ერთ-ერთ შესაძლო ნავსაყუდელად მოურინიოს ყოფილი კლუბი "ჩელსი" სახელდება. საინტერესო იქნება, თუ მწვრთნელები ერთმანეთის ყოფილ კლუბებში ერთდროულად დაინიშნებიან.

"სანდი მირორი" ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუკი მოურინიო ახალ სამსახურში მომავალ სეზონამდე დაინიშნება, ჩელსისაგან კომპენსაციის 40 პროცენტს ვერ მიიღებს. "არისტოკრატებმა" ჟოზეს 20 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადონ. იანვრის ტრანსფერებისას კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, მოურინიო 8 მილიონ გირვანქას დაკარგავს. ამიტომ უფრო სავარაუდოა, რომ ის ზაფხულამდე დაისვენებს და სასურველ სამსახურს მხოლოდ ამის შემდეგ მონახავს. მოსალოდნელ დანიშვნასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. შეგვიძლია, მოვიშველიოთ ინტერის პრეზიდენტის, **მასიმო მორატის** ერთი კვირის წინანდელი განცხადება, სადაც მოურინიოს მიწვევის სურვილი კატეგორიულად იყო უარყოფილი. არცაა გასაკვირი: "ინტერს" მწვრთნელის დათხოვნის არავითარი საფუძველი არ გააჩნია, განსხვავებით ამ ინფორმაციაში ნახსენები სხვა ევროპული გრანდებისაგან.

### მანჩესტერმა ბენზემა გადაწყვიტა

სერ ალექს ფერგიუსონი თავდასხმის გაძლიერებას აპირებს. მისი უპირველესი სამიზნე "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების 19 წლის ფორვარდი ქარიმ ბენზემაა. ეს ბიჭი ასაკთან შედარებით ძალიან ძვირი, 21 მილიონშ გირვანქა ღირს. მაგრამ ფერგი ფულის დაზოგვას არ აპირებს. მან უკვე მიმართა თხოვნით დირექტორებს, რათა ყველაფერი იღონონ გარიგების დასაფინანსებლად. სერ ალექსი დროის დაკარგვას არ აპირებს. მას არ სურს, ბენზემაში ვინმე შეეცილოს. მანჩესტერელები მზად არიან, "ლიონს" თანხის გარდა, ლუის სააც შესთავაზონ. ლიონიდან "იუნაიტედის" ინიციატივას ჯერ არავინ გამოხმაურებია.

### ჯონსონი, რამოსის პირველი შენაძენი

"ტოტენჰემში" ხუანდე რამოსის პირველი შენაძენი "მიდლსბროსა" და ინგლისის ნაკრების გარემარბი ადამ ჯონსონი იქნება. ის 20 წლისაა და 5.5 მილიონი გირვანქა ღირს. ჯონსონს რივერსაიდელთა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს. მის პოზიციაზე სტიუარტ დაუნინგი თამაშობს. "ბორომ" ამიტომაც გადაწყვიტა ფეხბურთელის გაყიდვა, რათა მიღებული ფულით სხვა პოზიციები გააძლიეროს. "ტოტენჰემი" ალბათ ცენტრალურ მცველსაც შეიძენს. მამლებს გარეთ ბეილი დაუშავდათ. ახალგაზრდა ფეხბურთელი ხანგრძლივ შვებულებაში იმყოფება.

ლივერპული

# ბენიტესი რჩება

## მწვრთნელსა და დირექტორებს ტრანსფერები ჯერაც არ განუხილავთ

"მანჩესტერ იუნაიტედთან" დამარცხების შემდეგ (0:1) "ლივერპულის" თავკაცი **რაფაელ ბენიტესი** კლუბის ამერიკელ მფლობელებს, **ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჯილეტს** შეხვდა. მერსისაიდელთა პრესსამსახური იწუყება, რომ შეხვედრამ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. მხარეებმა მიმდინარე მოვლენები განიხილეს. მათ აგრეთვე სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. საუბრის დასრულების შემდეგ ბენიტესმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ "მანჩესტერთან" მარცხი დღის წესრიგში არ ყოფილა: *"საუბარი ბევრად უფრო ზოგადი იყო. შევეცადეთ, მთელი რიგი უთანხმოებები მოგვეგვარებინა. გამოვთქვით საკუთარი მოსაზრებები კლუბის მომავალთან დაკავშირებით."* კითხვაზე, გაირკვა თუ არა იანვრის სამოქმედო გეგმა და დამტკიცდა თუ არა სატრანსფერო ბიუჯეტი, ბენიტესმა მოუგო: *"არც ტრანსფერებზე და არც თანხაზე, რომელსაც ახალ ფეხბურთელებში დავხარჯავთ, არ გვისაუბრია."*

თუ ასეა, ცოტა გაუგებარია, რა მიზანს ემსახურებოდა მწვრთნელისა და დირექტორების შეხვედრა. ინგლისური გაზეთები ამ მოლაპარაკებებს დიდი ხნით წინ აანონსებდნენ და ამბობდნენ, ყველაფერი ამერიკელების ინგლისში სტუმრობისას გადაწყდებაო. "სანის" ცნობით, ჯერჯერობით მხოლოდ ის გადაწყდა, რომ ბენიტესი "ლივერპულში" რჩება. ესპანელ სპეციალისტს დათხოვნა არ ემუქრება. ამგვარად, სპეკულაციები "ენფილდ როუდზე" ახალი დამრიგებლის მისვლის თაობაზა, მინიმუმ სეზონის ბოლომდე არააქტუალურია. ბენიტესმა დათხოვნა თავიდან აიცილა. ეს კი, მიმომხილველთა ერთი ნაწილის აზრით, სწორედ რომ დიდი მიღწევაა. დანარჩენი საკითხების გადაწყვეტა დროის საქმეა. მაგრამ დროც არ ითმენს. სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე ორი კვირა რჩება.

და მაინც, ვის შეიძენს "ლივერპული"? "სანის" ცნობით, ერთ-ერთი კანდიდატი "პორტსმუთის" განელი ნახევარმცველი **სული მუნტარია**, მაგრამო, წერს "სანი", ამ ბიჭის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება აქტუალური, თუ დირექტორები ხავიერ მასკერანოს ტრანსფერისათვის საჭირო 17 მილიონ გირვანქას არ გამოყოფენ, ბენიტესს კი ნახევარდაცვის ცენტრში ვაკანსია გაუჩნდება. მუნტარი "პორტსმუთში" გასულ ზაფხულს, "უდინეზედან" გადავიდა. მის სანაცვლოდ კლუბისათვის სარეკორდო 7 მილიონი გირვანქას გადაიხადეს. "პორტსმუთს" პრემიერლიგის სატურნირო ცხრილში საკმაოდ მაღალი საფეხური უკავია. კლუბის შთამბეჭდავ ასპარეზობას წარმატებულ ტრანსფერებს, მათ შორის, მუნტარის ეფექტურ ასპარეზობას უკავშირებენ.



რაფაელ ბენიტესი

ტრანსფერები

# შევჩენკო, ვერონი, რებროვი

## ინგლისელმა გულშემატკივრებმა ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში სამი ყველაზე წარუმატებელი ტრანსფერი დაასახელეს...

"დეილი მეილმა" ინგლისელი გულშემატკივრების გამოკითხვა მოაწყო. ფანებს სთხოვეს, დაესახელებინათ ტრანსფერი, რომელსაც ისინი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარუმატებლად თვლიდნენ. გამოკითხულთა თითქმის მესამედმა ასეთად **ანდრეი შევჩენკოს** "ჩელსიში" ტრანსფერი მიიჩნია. უკრაინელი თავდამსხმელი ლონდონურ გრანდში 2006 წლის ზაფხულში, "მილანიდან" გადავიდა. იტალიელებმა სანაცვლოდ 28.1 მილიონი გირვანქა მიიღეს. ტრანსფერი იმთავითვე სკანდალური აღმოჩნდა. შევჩენკო "არისტოკრატების" იმჟამინდელი მთავარი მწვრთნელის, **ჟოზე მოურინიოს** სასურველი ფეხბურთელი არ იყო. პორტუგალიელს მისი შეძენა არ მოუთხოვია. შევას ტრანსფერი "ჩელსის" მფლობელის, **რომან აბრამოვიჩის** ახირება გახლდათ. მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობა მაშინ გამწვავდა, როცა მოურინიომ აბრამოვიჩის ფავორიტი სკამზე გაამწესა. დღეისათვის ანდრეის ანგარიშზეა "ჩელსის" შემადგენლობაში ჩატარებული 39 მატჩი და სულ რაღაც 6 გოლი. შედარებისათვის, მისი მილანური აქტივი 208 მატჩსა და 127 გოლს მოიცავდა.

დავუბრუნდეთ წარუმატებელ გარიგებებს. ფანებმა მეორე ადგილზე **ხუან სებასტიან ვერონის** "მანჩესტერ იუნაიტედში" ტრანსფერი დაასახელეს. არგენტინელი ნახევარმცველი ინგლისში 2001 წელს "ლაციოდან" გადავიდა. "მენიუმ" მასში 28.1 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ვერონი "ლაციოსა" და მთლიანად იტალიის ჩემპიონატის გამორჩეული ვარსკვლავი იყო, მაგრამ პრემიერლიგაში საკუთარი შესაძლებლობების ნახევარიც კი ვერ გამოავლინა. მან "იუნაიტედში" ორი სეზონი გაატარა, 51 მატჩში 7 გოლი შეაგდო და "ჩელსის" მიაშურა.

და ბოლოს, ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში მესამე ყველაზე წარუმატებელი ტრანსფერი. უცნაურია, მაგრამ ეს ადგილიც უკრაინელ ფეხბურთელს ერგო. ინგლისელ ფანებს დღემდე არ დავიწყნიათ **სერგეი რებროვის** "ტოტენჰემში" ტრანსფერი. ეს 2000 წელს მოხდა. ლონდონელებმა რებროვი კიევის "დინამოდან" შეიძინეს. მის სანაცვლოდ 11 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ფეხბურთელმა "ტოტენჰემში" ოთხი სეზონი გაატარა, 60 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 10 გოლი შეაგდო.

რეალი. დიდი დაბრუნება

# რაულის რეალობა

## მისი უდიდებულესობის მეორე გაზაფხული

და აი ისიც, ისევ ის ჟესტი – საქორწინო ბეჭედზე კოცნა და მერე ხელის მანევრი. ბურთი კარის ბადეშია, ფეხბურთელი კი მაისურზე თავის გვარს მიანიშნებს. ამ სეზონში ასეთი რამ უკვე 8-ჯერ მოხდა და ეს მხოლოდ და მხოლოდ მე-15 ტურის შემდგომი მონაცემია, წინ კი ნახევარ სეზონზე მეტია დარჩენილი. ახლა გადავხედოთ ბოლო ორი წლის სტატისტიკას: შარშანწინდელ სეზონში სულ 5 გოლი გაიტანა, შარშან კი 7. წელს, მე-15 ტურის შემდეგ უფრო მეტი გოლი აქვს, ვიდრე შარშან და შარშანწინ მთელ სეზონში შეაგდო. მუქი დროება წარსულს ჩაბარდა და მისი აწმყო და რეალობა ისევ იმედისმომცემია: მისი უდიდებულესობა, „რაულ I“ დაბრუნდა!

გოლის გატანის მისეულ ჟესტს, ანუ, ხელის იმ მანევრს ამ ყველაფერთან, რა თქმა უნდა, არანაირი კავშირი არა აქვს - როგორც ადრე, წარმატებულ დროში, ამ ჟესტით ახლაც მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩემი ოჯახი ძალიან მიყვარს და რომ თითოეულ გოლს შვილებს ვუძღვნიო. და რას ნიშნავს მინიშნება გვარზე? **რაულ გონსალეს ბლანკოს** ამით იმის შეხსენება სურს, რომ ცოტაც და მას ესპანეთის პრიმერადივიზიონში 200 გოლი ექნება გატანილი და კიდევ იმის, რომ დიდ ოთხეულში (ესპანეთი, ინგლისი, იტალია, გერმანია) მოთამაშე მოქმედ ფეხბურთელებს შორის ჯერ კიდევ საუკეთესო ბომბარდირია და თანაც, დიდი უპირატესობით ლიდერობს – პრიმერაში მას 195 გოლი აქვს გატანილი.

*„მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და მუდამ ვიქნები რაულის უდიდესი ქომაგი! მისი მონდომება და მისი შესაძლებლობები შეუდარებელია,“* – ამბობს მადრიდის „რეალის“ ლეგენდა, დიდი **ემილიო ბუტრაგენიო**. *„ის ისევ ფანტასტიკური და შეუდარებელია. გადახედეთ, მისი სტატისტიკა ყველაფერზე მეტყველებს. რაული იყო, არის და იქნება მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი,“* – ეს კი ლეგენდარული **ხენტოს** სიტყვები გახლავთ, რომელმაც „რეალთან“ ერთად 6-ჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი და რომელიც იქვე დასძენს, - *„რაულის სიდიადეს სიტყვებით ვერ აღვწერ, ეს შეუძლებელია!“*

თუმცა, მადრიდელთა მთავარი მწვრთნელი **ბერნდ შუსტერი** მაინც ცდილობს მისი სიდიადის სიტყვებით ახსნას: *„რაული მებრძოლი ფეხბურთელი და ადამიანია, რომელიც არასდროს ნებდება. მაგრამ იმისათვის, რომ კარგად ითამაშოს, სჭირდება ნდობა,“* – აცხადებს „სამეფო გუნდის“ გერმანელი თავკაცი.

რომ არა შუსტერი, შესაძლოა, რაული დღეს „რეალის“ ფეხბურთელი აღარც კი ყოფილიყო, რადგან ორი ჩაგდებული სეზონის შემდეგ, რის გამოც მადრიდული კლუბის თილისმამ და სავიზიტო ბარათმა ესპანეთის ნაკრებში ადგილი დაკარგა, „რეალიდან“ აბარგებაზე სერიოზულად ფიქრობდა. პირველი, რაც შუსტერმა მადრიდელებთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ მოიმოქმედა, იყო ის, რომ პრეზიდენტ **რამონ კალდერონისა** და ლეგენდარული **ალფრედო დი სტეფანოს** თანდასწრებით განაცხადა: *„რაული ჩემთვის აბსოლუტურად მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომლის დაკარგვაც არაფრისდიდებით არ შეიძლება. ის გუნდში უნდა დარჩეს, რადგან ძალიან მჭირდება. რაული ამ გუნდის განუყოფელი ნაწილია და ის სხვა კლუბში წარმოუდგენელია!“*

მას მერე რამდენიმე თვე გავიდა და დღეს რაული მოედანზე შუსტერის მარჯვენა ხელია. მაგრამ არა მხოლოდ ეს. 14 წლიან აქტიურ კარიერაში რაულს ასეთი კარგი სტარტი ბოლოს 1998/99 წლების სეზონში ჰქონდა და იმ სეზონში სულ 25 გოლის გატანა შეძლო, რაც, ერთ სეზონში ნაჩვენებ შედეგებს თუ გადავხედავთ, მისი პირადი რეკორდია. ვფიქრობთ, დამატაბას ალარ საჭიროებს იმის თქმა, რომ გონსალეს ბლანკო მაშინ ესპანეთის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

დღეს ესპანეთში „რაულის მეორე გაზაფხულზე“ და „სასწაულზე“ საუბრობენ. ასეცაა, 30 წლის ფორვარდი ასეთ ფორმაში დიდი ხანია, აღარ ყოფილა და თანაც ისე მსუბუქად თამაშობს, როგორც 1994 წელს, როცა პრიმერადივიზიონში დებიუტი ჰქონდა. შუსტერს აკრიტიკებენ, კარგი იქნება, თუ დაასვენებო. *„კი მაგრამ, ასე რატომ უნდა მოვიქცე? რატომ დავასვენო იმ დროს, როცა ვან ნისტელროისთან ერთად გუნდის საუკეთესო გოლეადორია?“* – უკვირს გერმანელს. მწვრთნელს რაულის კონდიციების მწვრთნელი **ვალტერ დი სალვოც** ეთანხმება: *„არანაირი პრობლემები არა აქვს, 90 წუთს უპრობლემოდ თამაშობს. ძალიან კარგ ფიზიკურ ფორმაშია.“*

არადა, ბოლო წლებში თითქოს გადამწვარიაო, მატჩის მიწურულს სული ძლივს ედგა ხოლმე და როგორღაც დაძაბუნებული, სულ უკმაყოფილო და წარბშეხრილი იყო. და კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც რაული დღეს ისევ ის რაულია, რომელიც „რეალის“ ფანებმა თავის დროზე გაალმერთეს, არის ის, რომ შუსტერმა ის ისევ იმ პოზიციაზე გაამწესა, სადაც მისი ადგილია: მეტოქის საჯარიმოსთან და საჯარიმოში. ეს სწორედ ის პოზიციაა, სადაც 17 წლის რაული 1994 წელს **ხორხე ვალდანომ** პირველად დააყენა. თუმცა მერე გუნდში **დავორ შუკერი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** მივიდნენ, რის გამოც მადრიდელთა იმჟამინდელმა თავკაცმა **ფაბიო კაპელომ**, რომელსაც „სამეფო გუნდში“ პირველი ხანა ჰქონდა, გონსალეს ბლანკო მარცხენა ფლანგზე გადაწია. მომდევნო წლებში „რეალმა“ **ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, რონალდო** და **დევიდ ბექჰემი** შეიძინა, რის გამოც რაულს მხოლოდ იქ ათამაშებდნენ, სადაც ვაკუუმი გამოჩნდებოდა. ახლა კი, შუსტერმა ის **ვან ნისტელროისთან** ერთად ისევ ყველაზე წინ, თავდასხმაში გაამწესა და იმკის კიდეც – ციფრები ყველაფერზე მეტყველებს.

*„თავს ყველაზე კარგად კარის სიახლოვეს ვგრძნობ. ამიტომაც, შუსტერს დიდ მადლობას ვუხდი,“* – ამბობს რაული და იქვე ამატებს, გერმანელმა მწვრთნელმა ნდობა გამოიცხადა და სწორედ ამიტომ ვარ მისი მადლიერიო.

ესპანეთის ნაკრების თავკაც **ლუის არაგონესს** კი ჯერ-ჯერობით, რაულთან მიმართებაში შუსტერისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს – „რეალის“ სიმბოლოდ ქცეულ ფორვარდს ნაკრებში 2006 წლის მუნდიალის შემდეგ აღარ უთამაშია. ესეც მისი კიდევ ერთი რეალობაა და ყოველი გოლის შემდეგ აღმართული ხელი არაგონესისთვისაც ნიშანია - ჯერ კიდევ ვარსებობ, თანაც კარგ ფორმაში ვარო...

**გოტფრიდ ლენცი**



ისევ ის რაული, რაულ გონსალეს ბლანკო!

**საუკეთესო მოქმედი თავდამსხმელები**

| ქვეყანა | ფეხბურთელი | კლუბი | გოლი |
|---|---|---|---|
| ესპანეთი | რაული | რეალი | 195 |
| ინგლისი | ენდო კოული | სანდერლენდი | 187 |
| იტალია | ფრანჩესკო ტოტი | რომა | 158 |
| საფრანგეთი | პედრო პაულეტა | პსჟ | 136 |
| გერმანია | მიროსლავ კლოზე | ბაიერნი | 106 |
| ------- | აილტონი | დუისბურგი | 106 |

**პრიმერადივიზიონის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირები**

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი |
|---|---|---|
| ტელმო ზარა | ბილბაო | 251 |
| უგო სანჩესი | რეალი | 234 |
| ალფრედო დი სტეფანო | რეალი | 227 |
| სეზარ როდრიგესი | ბარსელონა | 226 |
| ენრიკე კასტრო | ხიხონი | 219 |
| მანუელ პაინო | სელტა | 210 |
| **რაული** | **რეალი** | **195** |
| ედმუნდო სუარეს მუნდო | ვალენსია | 195 |
| კარლოს სანტილანა | რეალი | 186 |
| ხუან არსა | სევილია | 182 |

*P.S. ჩამონათვალში მოცემულია ის კლუბები, სადაც ფეხბურთელებმა კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს. მოქმედი ფეხბურთელი მხოლოდ რაულია.*

კალჩოპოლი. ახალი სკანდალის მოლოდინში

# კაცი, რომელიც არ იძირება

## ლუჩანო მოჯი კვლავ ფეხბურთში საქმიანობს?



ლუჩანო მოჯი რელიგიურობით სპეკულირებს?

**შესაძლოა, ფეხბურთის გულშემატკივრებს უკვე გადაავიწყდათ კიდეც ის მძლავრი ანტი-კორუფციული კამპანია, რამაც 2006 წლის ზაფხულში იტალიური ფეხბურთი მოიცვა და გვარიანადაც შეაზანზარა. პრესაში გამოქვეყნებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, რომელთა მთავარი მოქმედი პირები კალჩოს სამყაროში ფრიად პატივცემული პერსონები იყვნენ, მათი სამართლებრივი დევნის საფუძველი გახდა. აღარაფერს ვამბობთ გრანდ-კლუბებზე, რომლებიც ასევე სერიოზულად დაზარალდნენ...**

ამ კამპანიის არსი იტალიური ფეხბურთის განწმენდა იყო და ამიტომაც ჩაერთო საქმეში პროკურატურა. საქმე დასასრულისკენ მიდის. გასულ შაბათს, მოსამართლე **ედუარდო დე გრეგორიომ** დაიწყო პროცედურა, რომლის ბოლო სტადიაა მასალების განხილვა სამოქალაქო სასამართლოში. თუკი 8 თებერვლამდე ამ პროცედურას მწვანე შუქი აენთო, 37 ეჭვმიტანილი მართლმსაჯულების წინაალმდეგ წარსდგება.

სხვათა შორის, ამ პროცესით შეიძლება ბევრმაც მოითბოს ხელი. მაგალითად, ვინმე **ლუკა მამოლიტი** ითხოვს, აუნაზღაურონ ტელეკომპანია "სქაის" პაკეტის შეძენაში გადახდილი თანხა, რაკი ხსენებულმა კომპანიამ "კალჩოპოლის" შემდეგ მკვეთრად შეზღუდა სერია A-ს მატჩების ტრანსლირება. კომპენსაციის სახით, ის არც მეტი, არც ნაკლები, 10 მილიონ ევროს ითხოვს. ამას გარდა, სასამართლოში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან 18 სარჩელია შეტანილი, მათ შორის, იტალიის ფეხბურთის ფედერაციისგან, ოლიმპიური კომიტეტისგან, პროფესიონალ ფეხბურთელთა ლიგისგან, ასევე 6 კლუბისგან. ადვოკატმა, ვინმე **ორლანდო ნავარამ** მისი ორი კლიენტის სარჩელი წარმოადგინა. ერთ-ერთი მათგანი, **ალბერტო კიაპუსკი**, ამტკიცებს, რომ 2004 წელს "ინტერის" ჩემპიონობაზე 999 ევრო დაუდია და "ნერაძურის" სკუდეტო რომ მოეგო, თავად 2 247 ევროს მოიხვეჭდა. ის სკუდეტო რეალურად "იუვენტუსმა" მოიგო, მაგრამ მერე "ინტერს" გადაეცა. ჰოდა, ეს კიაპუსკი შესაბამის კომპენსაციას ითხოვს. მოკლედ, ასეთი ძალიან ბევრია.

მაგრამ მთავარი სულ სხვაა. საქმე ის გახლავთ, რომ პროკურატურის გამომძიებლებმა **ჯუზეპე ნარდუჩი** და **ფილიპო ბეატრიჩე**, რომლებიც ბოლო ერთი წელიწადია მართლმსაჯულების ვარსკვლავებად იქცნენ და პოპულარობით უკვე ფეხბურთელებსაც არ ჩამოუვარდებიან, საზოგადოებას ახალ მასალებს უმზადებენ. ეს არის სატელეფონო ჩანაწერები 112 გვერდზე, მაგრამ უკვე 2006 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის მარტის ჩათვლით, ანუ, "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ. როგორც ამბობენ, ნარდუჩი-ბეატრიჩეს ტანდემის ბოლო ნამუშევარი, შესაძლოა, ახალი ანტი-კორუფციული კამპანიის საფუძველი გახდეს. გამომძიებლები გვარწმუნებენ, რომ "იუვენტუსის" ყოფილი გენერალური მენეჯერი **ლუჩანო მოჯი**, თურმე, კვლავ ფეხბურთში საქმიანობს. არადა, მას ამ სფეროში მოღვაწეობა ხუთი წლით აუკრძალეს. კერძოდ, კალჩოს "რუხმა კარდინალმა" არცთუ მეორეხარისხოვანი როლი ითამაშა იმ გარიგებაში, რომელიც იტალიურ "სიენასა" და ინგლისურ "ქუინზ პარკ რეინჯერსს" შორის დაიდო. ამას გარდა, მან "ლივორნოს" გარკვეული სამსახური გაუწია მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებაში, ასევე, ეხმარებოდა "მესინას" კორპორატიული პრობლემების მოგვარებაში და ასე შემდეგ...

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. გაირკვა, რომ "იუვენტუსის" ამჟამინდელი სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** თავის ყოფილ შეფთან (სეკო "იუვენტუსში" სწორედ მოჯის მიყვანილია) სატრანსფერო კონსულტაციებს გადიოდა. სხვათა შორის, იტალიურ პრესაში ამასწინათ ასეთი ფრაზაც დაიბეჭდა - "ნოჩერინო ფლორენციაში არ გადადის". და მის ავტორად, თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ მოჯი სახელდება. ამ ზაფხულს მართლა მუსირებდა ხმები ახალგაზრდა ნახევარმცველის "ფიორენტინაში" გადასვლასთან დაკავშირებით. მაგრამ "იუვენტუსის" ბოსებმა მაინც მოახერხეს მისი შენარჩუნება. საინტერესოა, რომ თავად სეკო არასოდეს მალავდა მოჯისთან თბილ ურთიერთობას და ეს გრძელდება ახლაც, როცა თავად მოქმედი ჩინოსანია, "ლუჩანონე" კი მოკვეთილი ფიგურა. მართალია, სეკო ამტკიცებს, რომ ეს ურთიერთობა მის პროფესიულ მოღვაწეობას არ ეხება, მაგრამ სატელეფონო საუბრები, თურმე, საწინააღმდეგოს ამტკიცებს. "იუვენტუსის" ხელმძღვანელობა ცდილობს, ყველანაირად გაემიჯნოს ძველ მენეჯმენტსა და მის საქმიანობას. გასულ ზაფხულს მათ ერთგვარი შინაგანი ეთიკის კოდექსიც შეიმუშავეს. თუკი "სინიორას" უფროსობა ჩათვლის, რომ სეკო არღვევს ამ კოდექსს, სავსებით მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში "იუვეს" ახალი სპორტული დირექტორი მოევლინოს...

კათოლიკურ პორტალ "პეტრუსზე", რომელიც ოფიციალურად ვატიკანთანაა კავშირში, გამოქვეყნდა მოჯის ინტერვიუ, რომელშიც ის კიდევ ერთხელ შეეცადა თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას. მან თქვა, რომ სჯერა მართლმსაჯულების, რადგან რელიგიური განათლება აქვს მიღებული. გამორიცხული არაა, მოჯისა და მისი თანამოსაუბრის ფრაზები კონტექსტიდან იყოს ამოვარდნილი. ასეთი რამ უკვე მოხდა ერთი წლის წინ, რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. შაბათს, ლუჩანოს ადვოკატმა განაცხადა, რომ არავის აქვს უფლება, მის კლიენტს აუკრძალოს ურთიერთობა იმ ხალხთან, ვისთანაც ათწლეულობის განმავლობაში მეგობრობს. ამავე დროს, დიდი ხანია, რაც იტალიაში მწვავედ დგას საკითხი, სამართალდამცავთა მხრიდან ადამიანთა პირად ცხოვრებაში ჩარევასთან მიმართებაში. მოჯისა და მის ადვოკატებს შეუძლიათ, ეს გარემოება სათავისოდ გამოიყენონ...

და მაინც, მოჯი აქტიურად ცდილობს საზოგადოების თვალში რეაბილიტაციას. ზემოხსენებულ ინტერვიუში მან არამარტო თავის რელიგიურ განათლებაზე ისაუბრა, ისიც თქვა, რომ ამასწინათ თურმე ლურდშიც მოილოცა. ძნელი მისახვედრი არ არის, რა გამოხმაურებას ჰპოვებს ეს სიტყვები კათოლიკურ იტალიაში. ისე, "დონ ლუჩანო" მართლაც ჩაუძირავია, მაგრამ დამნაშავეა თუ არა, ამას სასამართლო იტყვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინტერვიუ ფრანკ რიბერისთან

# მე არ ვიცი, რა არის შიში

## ბაიერნის ფრანგი ვარსკვლავი მიუნხენში გატარებულ 6 თვეს აჯამებს

ფრანკ რიბერი ბუნდესლიგამ და მთელმა გერმანიამ უდიდესი იმედებითა და ზარ-ზეიმით მიიღო. ის გერმანიის პირველობის ახალი და უდიდესი ვარსკვლავი უნდა გამხდარიყო და ასეც მოხდა: 24 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა, რომელიც გასულ ზაფხულს „ბაიერნში“ „მარსელიდან“ გადავიდა, იმედები გაამართლა და დღეს ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელთაგან ყველაზე გამორჩეულია. გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ რიბერის „კიკერმა“ დიდი ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ფრანგი სეზონის პირველ ნახევარს აჯამებს. ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

**- ჰერ რიბერი, პირველი წრე დამთავრდა და ზამთრის არდადეგები იწყება. და თქვენც, რამდენიმე დღით სამშობლოში დაბრუნდებით და დაისვენებთ. გიხარიათ?**

- რა თქმა უნდა, თანაც, ძალიან! დამღლელი თამაშების შემდეგ პაუზა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კარგია, რომ ამოსუნთქვის საშუალება მომეცემა, რადგან ბევრი თამაში გვქონდა და ძალიან დაღლილი ვარ.

**- ზედმეტად ბევრი თამაში?**

- არა, არა, ამას როდი ვამბობ. მაგრამ აქ, ბუნდესლიგაში რიტმი ძალიან მაღალია. თანაც, ძალიან აცივდა და ასეთ დროს პაუზა სწორედ რომ ზედგამოჭრილია.

**- თავიდანვე ამბობდით, ერთადერთი, რაც გერმანიაში არ მომწონს არის ის, რომ ძალიან მალე აცივდებაო...**

- სამწუხაროდ ასეა, თუმცა ამინდი ხელს არასდროს მიშლიდა – ცივა თუ თბილა, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ცხადია, რაკი ბოლო ორი სეზონი მარსელში გავატარე, სულ სხვანაირ ჰავას, უფრო თბილ ამინდებს ვიყავი მიჩვეული, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მე ჩრდილოეთ საფრანგეთში გავიზარდე, იქ კი, ზამთარში საკმაოდ ცივა და დაახლოებით ისეთივე ამინდებია ხოლმე, როგორც გერმანიაში. ეს უბრალოდ ამინდია და მეტი არაფერი, ამიტომაც, ყველაფერი უნდა ავიტანო.

**- დიდთოვლიანობაც?**

- რა თქმა უნდა. სხვათა შორის, თოვლის ასე ადრე მოსვლას მიჩვეული არა ვარ და ამასაც ნელ-ნელა ვეგუები. სამაგიეროდ, როცა ჩემმა ქალიშვილმა თოვლი დაინახა, ძალიან ბედნიერი იყო. საბედნიეროდ, გერმანიაში ძალიან მაღალი დონის სტადიონებია და თოვლი მოედნის საფარს თავის კვალს ისე ვერ ამჩნევს, როგორც სხვა ქვეყნებში. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ბუნდესლიგაში ექვსი თვე გაატარეთ, ამ პერიოდს როგორ შეაფასებდით?**

- მინდა გითხრათ, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ, აქაურობას ძალიან მალე შევეგუე და შევეჩვიე – მიუხედავად იმისა, რომ გერმანული ენა იმაზე გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე აქ ჩამოსვლამდე მეგონა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ახალმა თანაგუნდელებმა თბილად მიმიღეს და საერთოდ, მთელმა გერმანიამ ძალიან თბილად მიმიღო. ფანები, ხელმძღვანელები და თანაგუნდელები პირველივე დღიდან შესანიშნავად მექცევიან. ესეც არ იყოს, უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს, რადგან მიმაჩნია, რომ პირველ წრეში საკმაოდ კარგად ვიასპარეზე და ჩემი შესაძლებლობების 100 თუ არა, 90 პროცენტი მაინც გამომავლინე. იმედი მაქვს, რომ ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ არის.

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ის, რომ „ბაიერნმა“ პირველი წრე მოიგო და შემოდგომის ჩემპიონი გახდა?**

- მართალია, ეს არაოფიციალური ტიტულია, მაგრამ მისი მოგება მაინც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სწორ გზას ვადგავართ, რაც თავდაჯერებას შეგვმატებს.

**- სანამ „ბაიერნში“ გადმოხვიდოდით, „კიკერმა“ გამოკითხვა ჩაატარა და გამოკითხულთა 53.7 პროცენტი მიიჩნევდა, რომ ფრანკ რიბერი 2007/08 წლების სეზონში ევროპის სუპერვარსკვლავი გახდება. ამ გზას ადგახართ?**

- ეს ძალიან კარგი იქნებოდა და მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ. გერმანიაში იმიტომ კი არ გადმოვედი, რომ ერთ-ერთი რიგითი ფეხბურთელი ვიყო, არამედ აქ იმიტომ ვარ, რომ მსოფლიოში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო მაინც გავხდე. მინდა, რომ ფანები ჩემით აღფრთოვანდნენ, მინდა, რომ ფეხბურთის თამაშით სიამოვნება მივიღო და ეს დღემდე ასეა. შესაბამისად, მე ბედნიერი ვარ!

**- გაამართლა თუ არა ბუნდესლიგამ თქვენი წარმოდგენები?**

- აქ ძალიან ბევრი კარგი გუნდია, მაგალითად „შალკე“, „ვერდერი“, „ჰამბურგი“, ასევე „შტუტგარტი“ და „ლევერკუზენი“. შემიძლია ვთქვა, რომ ბუნდესლიგა ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორიც მეგონა - არც მეტი, არც ნაკლები.

**- და ფეხბურთელთაგან ვის გამოყოფდით?**

- განსაკუთრებით დიეგოს და რაფაელ ვან დერ ვაარტს, ასევე შალკელებს, კევინ კურანისა და ჯერმეინ ჯონსს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ბუნდესლიგაში ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობს.

**- თქვენს მიერ ჩამოთვლილ ფეხბურთელებს მიუნხენში გადმოსვლამდე იცნობდით?**

- არა! მაგრამ რაც გერმანიაში ვარ, არაერთი საინტერესო და ძალიან კარგი რამ აღმოვაჩინე.

**- მაგალითად?**

- პირველ რიგში, სტადიონებმა მომხიბლა. ტრიბუნები ყოველთვის სავსეა და საერთოდ, გერმანიის სტადიონებზე იდეალური ატმოსფეროა. გერმანელებს ფეხბურთი ძალიან უყვართ - უყვართ მოედანზე დადგმული სპექტაკლები. გერმანული გუნდები შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და რაც შეიძლება, ბევრი გოლის გატანა უნდათ, რაც ძალიან კარგია. თუ დააკვირდებით, საფრანგეთში ტაქტიკაა უმთავრესი – იქ გუნდები თამაშებს ერთმანეთის შეცდომების ხარჯზე იგებენ და მოკლედ, ფრანგული გუნდი უმეტესად მეტოქის შეცდომას ელის. ამიტომაცაა, საფრანგეთის ჩემპიონატში გაცილებით ცოტა გოლი რომ გადის, ვიდრე გერმანიაში. ვფიქრობ, ბუნდესლიგას ასე კარგად იმიტომაც შევეწყვე, რომ მე ყოველთვის შემტევი ფეხბურთის მომხრე ვიყავი.

**- მიუნხენში თავს უკვე ისე გრძნობთ, როგორც საკუთარ ქალაქში?**

- დიახ! მნიშვნელობა არა აქვს, გუნდთან ერთად ვიქნები, მწვრთნელთან, ული ჰიონესთან თუ უბრალოდ ქუჩაში, ხალხთან – მიუნხენში მე და ჩემი ოჯახი თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ. დიახ, აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში, ჩემს ქალაქში, რადგან ყველა მხარში მიდგას, ყველას ვუყვარვარ.

**- ამბობენ, გერმანული ენის სწავლა არც თუ ისე სასიამოვნო პროცესიაო...**

- ჩემი მიზანი იყო, რომ გერმანული ენა რაც შეიძლება სწრაფად მესწავლა, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ნერვები მეშლება, როცა ადამიანს თარჯიმანი სჭირდება.

**- გერმანული ენის გაკვეთილები რამდენად ხშირად გაქვთ?**

- კვირაში ერთხელ ან ორჯერ – გააჩნია, რამდენი თამაში გვაქვს ერთი კვირის განმავლობაში. პარასკევს ორი საათი მქონდა – 13-დან 15 საათამდე. მოკლედ, ვსწავლობ! უკვე ძალიან ბევრი სიტყვა ვიცი და ახლა მთავარია, რომ წინადადებები დავაწყო. ის დროც მალე მოვა, როცა ინტერვიუს გერმანულად ჩაიწერთ.

**- შეიძლება ითქვას, რომ გუნდში 100 პროცენტით ინტეგრირებული ხართ?**

- დიახ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. ჩვენ ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს და გვაქვს მიზანი: გერმანიის ჩემპიონობა! ყველანი ერთმანეთს ვუწევთ სოლიდარობას და ერთმანეთს მხარში ვუდგავართ.

**- თითოეული თანაგუნდელის სათამაშო სტილი ზეპირად იცით?**

- დიახ, რა თქმა უნდა. როცა გუნდში ახალი გადმოსული ვიყავი, თითოეულ მათგანს ვაკვირდებოდი.

**- როცა გადმოხვედით, „ბაიერნში“ თქვენს გარდა ორი ფრანგი ირიცხებოდა. ვალერიან ისმაელი უკვე წავიდა და საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ვილი სანიოლსაც აბარგება სურს. რამდენად იოლად გადაიტანთ ვილის წასვლას?**

- აქ იმის გამოც გადმოვედი, რომ ორი ფრანგი თანაგუნდელი მეყოლებოდა და ამას გარდა, „ბაიერნში“ კიდევ ერთი ისეთი ფეხბურთელი დამხდა, რომელიც ფრანგულად საუბრობს – დანიელ ვან ბუიტენი. ისმაელს ძალიან მძიმე პერიოდი ჰქონდა და „ჰანოვერში“ იმის გამო გადავიდა, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ სურს, თამაში უნდა. მე მესმის მისი. აი, სანიოლის შემთხვევაში კი ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ არ დაგვტოვებს და ჩვენთან დარჩება.

**- ამას იმიტომ ამბობთ, რომ სანიოლი ხშირად გეხმარებათ?**

- არა, ეს არ მადარდებს, რადგან ვან ბუიტენი ხომ ჩვენთან რჩება... დანიელი თავიდანვე მეხმარებოდა, რადგან მაშინ ისმაელი და სანიოლი ტრავმირებულები იყვნენ. სწორედ ამიტომ, ვან ბუიტენთან ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ ჩვენ კარგი მეგობრები გვაკავშირებს.

**- სექტემბერში განაცხადეთ, ამაზე უკეთაც შემიძლია თამაშიო. საერთო ჯამში თქვენი ასპარეზობით კმაყოფილი ხართ?**

- მიმაჩნია, რომ მეტიც შემეძლო, მაგრამ მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ – რაც არ უნდა იყოს, ეს პირველი სეზონია და ჯერ გერმანულიც კი არ ვიცი. თანაც რიტმის შენარჩუნება და ყველა თამაშში უმაღლეს დონეზე ასპარეზობა არც ისე იოლია - ბევრი თამაში და ბევრი მგზავრობა ხომ ძალიან დამღლელია. აქ კიდევ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი და კერძოდ ის, რომ მეტოქეები სულ უფრო და უფრო უხეშად მეთამაშებიან, თანაც, ბევრი ჩემი საიდუმლო ამოხსნეს და ნელ-ნელა უფრო და უფრო უკეთ მიმკლავდებიან, მაგრამ მე ამაზეც ვმუშაობ, საერთოდ ძალიან ბევრს ვმუშაობ და მაქსიმალურად ვცდილობ, რომ თამაში გავაუმჯობესო. მე სწორედ იმისთვის ვვარჯიშობ და იმისთვის ვიბრძვი, რომ „ბაიერნმა“ ყველა თამაში მოიგოს და გულშემატკივრებმა კი ისიამოვნონ. ზემოთ ვთქვი, პირველ წრეში ალბათ ჩემი პოტენციალის 90 პროცენტი გამოვავლინე-მეთქი. შესაძლოა, 95-იც იყო, მაგრამ ფაქტია, რომ 100 პროცენტი ჯერ არ გამომივლენია და მე სწორედ 100 პროცენტის გამოვლენა მინდა!

**- მიმომხილველთა ერთი ნაწილი ამბობს, „ბაიერნის“ შემტევი პოტენციალი ზედმეტადაა რიბერიზე დამოკიდებულიო...**

- მე კი ვფიქრობ, რომ ეს ასე არ არის. მე ის ფეხბურთელი ვარ, რომელიც ყოველთვის ბურთს ითხოვს და დრიბლინგების განხორციელებას ცდილობს, მაგრამ ეს ჩემი პოზიციიდანაა გამომდინარე – მე ყოველთვის ასე ვთამაშობდი.

**- პირველი წრის ბოლო თამაშებში რეკორდმაისტერს ერთობ გაუჭირდა და კრიზისული პერიოდი დაუდგა. შესანიშნავი სტარტის შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პირველი წრის ბოლოს „ბაიერნი“ „ვერდერს“ ან რომელიმე სხვა გუნდს მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობებდა. რა მოხდა?**

- გეთანხმებით, ბოლო პერიოდში ძალიან მძიმე ფაზა დაგვიდგა. სამ-ოთხ შეხვედრაში გუნდმა თავისი რიტმი და თავისი თამაში ვერ იპოვა. ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი „შტუტგარტთან“ წაგება იყო, სწორედ ამ მარცხმა გაგვტეხა წელში. ფაქტია, რომ „შტუტგარტთან“ წაგების შემდეგ ავირიეთ...

**- საერთოდ გერმანული ფეხბურთი როგორ მოგწონთ?**

- ძალიანაც მომწონს. მართალია, საერთაშორისო არენაზე ინგლისური, ესპანური და იტალიური კლუბები გაცილებით წარმატებულები არიან, მაგრამ მე არ განვეკუთვნები იმ კატეგორიას, რომელიც ამბობს, რომ გერმანიაში იმ სამეულთა შედარებით დაბალი დონეა. გუნდების უმრავლესობა შემტევ ფეხბურთს თამაშობს და სწორედ ეს არის უმთავრესი ასპექტი. მეტიც, ეს სწორედ ის არის, რაც მე მიყვარს! სხვათა შორის, სანამ ბუნდესლიგაში გადმოვიდოდი ეს ყველაფერი არ ვიცოდი, რადგან ბუნდესლიგას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი.

**- გერმანიაში უფრო ადვილია თამაში თუ საფრანგეთში?**

- მოდით, ასე ვიტყვი: აქ თავს კარგად, ძალიან კარგად ვგრძნობ. აქ ხშირად მექმნება თავისუფალი დერეფნები, რაც მე ძალიან მჭირდება. და რაც მთავარია, გერმანიაში ბევრი გოლი გადის. თუ დააკვირდით, ბოლო თამაშებში მუდმივად 2 ან სამი ფეხბურთელი მმეურვეობდა. ეს ჩემს მდგომარეობას უფრო ართულებს, მაგრამ მე არაფრის მეშინია – ფრანკ რიბერიმ არ იცის, რა არის შიში! მე მიყვარს ორთაბრძოლები, მიყვარს დრიბლინგი!

**- სეზონის დასაწყისში ჰიონესმა თქვა, ჩვენ მხოლოდ იმის გვეშინია, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელები რიბერის სერიოზულ ტრავმას მიაყენებენო. მართლაც ხშირად გირტყამენ ფეხებში...**

- დიახ და ული აბსოლუტურად მართალი იყო. თუკი ბურთს უმიზნებენ, პრობლემა არ არის, ფეხში შემთხვევითაც რომ მომარტყან, არავის დავადანაშაულებ, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა განგებ მირტყამენ ფეხებში, ეს კი საშინელებაა! აქ ამ მხრივაც დიდი გამოცდილება მივიღე.

**- რომელი ბუნდესლიგელი ფეხბურთელია თქვენთვის ყველაზე არასასიამოვნო მოწინააღმდეგე?**

- ეს არის „ჰანოვერის“ ალბანელი ნახევარმცველი ალტინ ლალა! ის ბურთს არასდროს უმიზნებს – ყოველთვის პირდაპირ ფეხებში მირტყამს!

**- ჰიტცფელდი ამბობს, რიბერი მსოფლიო დონის ფეხბურთელია, მაგრამ ხშირად უფრო მარტივად უნდა ითამაშოსო. ეთანხმებით?**

- ეს კომპლიმენტია, რაც ძალიან მახარებს და რისთვისაც მადლობელი ვარ, მაგრამ ჰიტცფელდი არ არის პირველი მწვრთნელი, რომელიც ამას მეუბნება...

**- მარტივად თამაში შეგიძლიათ?**

- პირველი სანაკრებო მატჩები მახსენდება, მაშინ მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ მარტივად მეთამაშა და ჩვეულებრივი პასები მეკეთებინა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ასეთი სტილი ძალიან არ მომეწონა.

**- ფინტებს სპონტანურად აკეთებთ თუ ყველა მოძრაობა წინასწარ გაქვთ დამუშავებული?**

- ზოგი რამ დამუშავებული მაქვს, ზოგსაც სპონტანურად ვაკეთებ.

**- და ხანდახან დრიბლინგით ისე გაერთობით ხოლმე, რომ კარში დარტყმა გავიწყდებათ, არა?**

- (იცინის) ჰო, ჰო, სულ ამას მეუბნებიან და ალბათ ასეცაა.

**- შეუძლია თუ არა „ბაიერნს“ უეფას თასის მოგება?**

- მე ყველა ტიტულის მოგება მინდა, ჩემს თანაგუნდელებსაც ყველა ტიტულის მოგება სურთ. უეფას თასის მოგება შეგვიძლია და ალბათ მოვიგებთ კიდეც, როგორც გერმანიის ჩემპიონატს და თასს.

**- ანუ, ოთხშაბათს „არისთან“ არ წაიფორხილებთ?**

- ვფიქრობ, რომ ამ გუნდს მოვუგებთ.

**- ჰიტცფელდმა კანი იმის გამო დასაჯა, რომ მან თქვენ გაგაკრიტიკათ...**

- ფანებს ჰკითხეთ და გეტყვიან, როგორ ვითამაშე პირველ წრეში. ოლი ერთადერთია, რომელმაც დაინახა, რომ თითქოს მე ბოლო დროს ბოლომდე აღარ ვიხარჯებოდი. სიმართლე გითხრათ, მისგან ასეთი რამ ძალიან გამიკვირდა. მან თქვა, „ბაიერნი“ არც „მარსელია“ და არც „ფიორენტინაო“. ჰო, „ბაიერნი“ მართლაც დიდი გუნდია, მაგრამ მან (კანმა) „მარსელს“ და „ფიორენტინასაც“ უნდა სცეს პატივი.



ფრანკ რიბერი მიუნხენში თავს იდეალურად გრძნობს

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიევის დინამო

# სიომინს შეცდომის უფლება არ აქვს

## იგორ სურკისს ფეხბურთიდან წასვლა სურდა

**ეს არცთუ დიდი ხნის წინათ იყო. 2003 წლის 17 სექტემბერს, კიევში, გადაჭედილ ოლიმპიურ სტადიონზე იური სიომინის მაშინდელმა გუნდმა "ლოკომოტივმა" და მისმა მეკარე სერგეი ოვჩინიკოვმა დიეგო რინკონისგან ორი გოლი გაუშვეს და სამშობლოში ცარიელი ხელებით გაბრუნდნენ. ოთხი წლის თავზე ეს ორი ადამიანი კიევში დაბრუნდა, მაგრამ არა სამტროდ, არამედ იმისთვის, რომ კიევურ გრანდში წლების განმავლობაში გაწელილი კრიზისი საბოლოოდ დასრულდეს.**

უკრაინელები მაშინდელ "დინამოს" დღესაც გაორებული გრძნობებით იხსენებენ. **მიხაილიჩენკოს** გუნდი კარგად თამაშობდა, მაგრამ ერთ წუთითაც არ ტოვებდა უიღბლობა. იმ შემოდგომაზე "დინამომ" სტუმრად სამივე მატჩი წააგო. ინტერელმა **კრისტიან ვიერიმ** გოლი 90-ე წუთზე გაიტანა და მატჩი 2:1 დასრულდა მილანელთა სასარგებლოდ. **ეშლი კოულმა** 88-ეზე შეაგდო და "არსენალმა" 1:0 გაიმარჯვა. **უინსტონ პარკსმა** კი მოსკოვური მატჩის 89-ე წუთზე ანგარიში 3:2 გახადა. ამ ჯგუფიდან ლიგის 1/8 ფინალში საბოლოოდ "არსენალი" და "ლოკომოტივი" გავიდნენ.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. კიევში მთავარ მწვრთნელად უამრავი ადამიანი მოსინჯეს და შეიძლება ითქვას, რომ მამა-შვილ **სურკისებს** ხანდახან მეტისმეტიც მოსდიოდათ. თავად განსაჯეთ, 2007 წლის მეორე ნახევარში გუნდმა სამი დამრიგებელი გამოიცვალა - **ანატოლი დემიანენკო, იოჟეფ საბო** და **ოლეგ ლუჟნი**. "დინამო" თითქმის ყველა დონის მეტოქესთან აგებდა - სერ **ალექს ფერგიუსონის** "მანჩესტერ იუნაიტედთან", **ლუჩანო სპალეტის** "რომასთან" და თვით ახტირკის "მეტალისტთან". ამ შემოდგომაზე დინამოელთა თამაშის ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ველარ უძლებდა. ყოველთვის, როცა გულშემატკივარი მორიგი წაგებული მატჩის შემდეგ ამოიოხრებდა და იტყოდა, რომ ამაზე ცუდად თამაში შეუძლებელი იყო, კიეველი ფეხბურთელები გამოდიოდნენ მინდორზე და უმტკიცებდნენ მათ, რომ ისინი ცდებოდნენ - რომ სინამდვილეში უფრო ცუდად თამაშიც შეიძლებოდა...

სულისშემძვრელი კრიზისის მიუხედავად ვერავინ წარმოიდგენდა, რომ თითქმის მიცვალებული "დინამოს" რეანიმაციას უცხოელს ანდობდნენ, მით უფრო **იური სიომინს**. დიდი ხნის განმავლობაში პრესაში მუსირებდა აზრი, რომ გუნდს ექსმილანელი **ალბერტო ძაკერონი** ჩაიბარებდა. ეს ხმები განსაკუთრებით მას მერე გაძლიერდა, რაც საკლუბო სისტემაში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე ასევე ექსმილანელი რეზო ჭოხონელიძე დანიშნეს. ბატონმა რეზომ ეს ინფორმაცია მალე უარყო. როგორც ამბობენ, ზარი კიევიდან სიომინისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მაგრამ დინამოს ხელმძღვანელობას რუსი სპეციალისტის დათანხმება არ გასჭირვებია. დაგვეთანხმეთ, ეს მშვენიერი შანსია თავად მწვრთნელისთვისაც, დაუმტკიცოს როგორც საკუთარ თავს, ისე გარშემო მყოფებს, რომ მისი სამწვრთნელო პოტენციალი ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. რუსმა გამოწვევა მიიღო. იური სიომინს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ სასწორზე შეაგდო საკუთარი პროფესიული რეპუტაცია და წარუმატებლობის შემთხვევაში ძნელად თუ მოახერხებს ოდესმე მის გამოსწორებას: მუშაობა ჯერ არ დაწყებულა. შეცდომის დაშვება კი უკვე დაუშვებელია.

გასულ პარასკევს კიეველთა ახალმა დამრიგებელმა პირველად მიაშურა ახალ სამუშაო ადგილს. მას დასაკარგი დრო არ აქვს. პირველი, რაც სიომინმა გააკეთა, ეს სამწვრთნელო შტაბის დაკომპლექტება იყო. საუკეთესო ასისტენტების შერჩევა მშვიდი სამუშაო ატმოსფეროს შესაქმნელად ძალიან მნიშვნელოვანია. სიომინის შტაბში იმუშავებენ მისი წინამორბედი ოლეგ ლუჟნი, ასევე **ოლეგ ზუევი**. მეკარეების მწვრთნელად დანიშნა **სერგეი კრაკოვსკი**. მან ლეგენდარული **ვიქტორ ჩანოვი** შეცვალა. მასთან ერთად იმუშავებს მხოლოდ ერთი რუსი სერგეი ოვჩინიკოვი. საინტერესოა, რომ სამწვრთნელო შტაბში ორი მეკარე, ორი მცველი და ერთი თავდამსხმელი შევიდნენ. ჰო, კინაღამ გამოგვრჩა, ფიზიკური მომზადების მწვრთნელად იტალიელი "ჯადოქარი" **ვინჩენცო პინკოლინი** იმუშავებს. კიევში მისი გადაბარგება ასი პროცენტით ჭოხონელიძის დამსახურებაა.

კიეველმა გულშემატკივარებმა ლუჟნისა ("ბრიგელი") და ოვჩინიკოვის ("ბოსი") დუეტს "ძმები კლიჩკოები" შეარქვეს. ხუმრობა ხუმრობად და ეს მეტსახელი რალაცით მაინც არის გამართლებული. წარმოიდგინეთ, ორივე გაბარიტულია, ცოტა უხეშიც, ფეხბურთელობისას თანაგუნდელებსა თუ მეტოქეებს იშვიათად აძლევდნენ მოშვების უფლებას. საჭიროების შემთხვევაში უსაქმურ ახალგაზრდა ფეხბურთელს კისერშიც დაუფიქრებლად წამოსცხებენ, ხოლო მრისხანე შეძახილით გამოფხიზლება მათთვის ჩვეული რამაა. ერთი სიტყვით, ამ ადამიანების ხათრით თუ შიშით, "დინამოში" დისციპლინის პრობლემა სამუდამოდ უნდა გადაიჭრას. რაც შეეხება ადგილობრივ ვარსკვლავებს, მათ უნდა გაიხსენონ, რომ გოგონების, ღამის კლუბებისა და დისკოტეკების გარდა "ცოტა" ყურადღება ფეხბურთსაც უნდა დაუთმონ. უკვე ზრდასრული ადამიანებში გასაწევი აღმზრდელობითი სამუშაოები, როგორც ჩანს, მთლიანად მათ კისერზე გადავა. წესით, უნდა გამოუვიდეთ კიდეც.

გარდა დისციპლინისა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რისი გადაწყვეტაც სიომინს მოუწევს, ესაა შემადგენლობის გაწმენდა ზედმეტი ფეხბურთელებისგან. სულ რამდენიმე თვის წინათ იყო, ხელმძღვანელობამ თავად რომ დაადასტურა, ბოლო წლების განმავლობაში უამრავ უსარგებლო ფეხბურთელში გადავიხადეთ ფულიო. საქმე იქამდე მივიდა, რომ "დინამოში" ფეხბურთელთა რიცხვმა ანეკდოტურ რიცხვს მიაღწია. ერთ პოზიციაზე ხანდახან 4 ფეხბურთელი მოდიოდა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, ვისაც არ უნდა ეთამაშა ძირითადში, პრობლემა პრობლემად რჩებოდა. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო დაცვის წევრების დაბალი კლასი. გუნდის რადიკალურად გადახალისების დრო, დიდი ხანია, დადგა. სკალპელისა და გამაყუჩებლის დახმარებით ამ საკითხის გადაწყვეტა **ვალერი ლობანოვსკის** შემდეგ ვერავინ გაბედა და როგორც ჩანს, ამ მისიასაც სიომინი იკისრებს. აქა-იქ იმასაც კი ამბობენ, მწვრთნელებს უნდოდათ, მაგრამ ამის უფლებას სურკისები არ იძლეოდნენო.

ზემოთ ხაზი გავუსვით მცველების დაბალ კლასს და როგორც მოსალოდნელი იყო, წმენდა მათით დაიწყო: ფიოდოროვს უკვე აცნობეს, რომ მასთან კონტრაქტი აღარ გახანგრძლივდება. ამას გარდა ტრანსფერზე დააყენეს **კადური, მარკოვიჩი** და **როდრიგო**. მათი გასხვისება პირველივე მისაღები წინადადების შემდეგ მოხდება. ორმხრივი შეთანხმებით, კონტრაქტის ანულირება შესთავაზეს **ვალერი ბელკევიჩს**. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ჯერ კიდევ ზამთრის შეკრებებამდე გაცხადდება ბევრი იმ ფეხბურთელის გვარი, ვისაც "დინამოსთან" გამოთხოვება მოუწევს, ხოლო შეკრებების შემდეგ ტრანსფერზე დაყენებულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება - სიომინი ხომ ვითარებას ახლალა ეცნობა.

ასეთი რადიკალური ზომების გარდა სხვა გზა უბრალოდ აღარ არსებობს. შესაძლოა, ეს ძალიან მტკივნეული პროცესი იყოს, მაგრამ "დინამოს" არსებობისთვის, ის აუცილებელია. "სიომინის რევოლუცია" არ იქნება უმტკივნეულო, მაგრამ საჭირო ნამდვილად იქნება. დარწმუნებული იყავით, რომ კიევის "დინამოს" ფანები მოუთმენლად დაელოდებიან გაზაფხულსა და რევოლუციის შედეგებს.

ყოველივე ამის ფონზე ძალიან საინტერესოა, თუ რას ფიქრობს კიევის "დინამოს" მესაკუთრე იგორ სურკისი. ბოლო კვირის განმავლობაში მან უამრავი ინტერვიუ მისცა მასმედიის სხვადასხვა საშუალებას. მათთვის თვალის გადავლების შემდეგ ერთი რამე ცხადი ხდება: ეს გავლენიანი ადამიანიც კი დეპრესიის ზღვარზე მდგარა მისი გუნდის წარუმატებლობების შემყურე. ის გამოუტყდა პრესას, რომ ფეხბურთიდან წასვლა სურდა, მაგრამ სიომინის დანიშვნის შემდეგ ის ახალი იმედებით აივსო და მზადაა, ენთუზიაზმით სავსე ხელახლა ჩაერთოს ამ ორომტრიალში: *"მსურდა ყველაფერი მიმეტოვებინა. მე შეძლებული და გავლენიანი ადამიანი ვარ და მშვიდ ცხოვრებაში ვერაფერი შემიშლიდა ხელს. თუმცა სიომინის მოსვლის შემდეგ გამიჩნდა იმედი, რომ შევძლებთ პროგრესის გზაზე დადგომას. ბოლო ორი წლის განმავლობაში "დინამო" თითქოს დეგრადაციის შეუქცევად პროცესში იყო ჩაფლული. ამ ყველაფერში ჩემი დიდი წვლილიცაა, რადგან ჩემს თანამშრომლებს ძალიან ბევრის უფლებას ვაძლევდი. რაც შეეხება ახლანდელ ვითარებას, იური პავლოვიჩს ისეთივე უფლებამოსილებას მივანიჭებთ, როგორიც თავის დროზე ვალერი ლობანოვსკის ჰქონდა."*

აქვე ერთი საინტერესო კითხვა: კი მაგრამ, თუკი ორი წელიწადი კლუბი ინგრეოდა და ამას პრეზიდენტიც კი აღარ უარყოფს, რატომაა, რომ სწორედ იგივე ადამიანები დაინიშნენ ახალ "დინამოში" მაღალ პოსტებზე. ან რატომაა, რომ მხოლოდ ახლა, ლობანოვსკის გარდაცვალებიდან ხუთნახევარი წლის შემდეგ, მიენიჭა მწვრთნელს იგივე უფლებები, რითაც ლეგენდარული ვალერი ვასილიჩი სარგებლობდა. კითხვები სურკისებთან დღემდე ძალიან ბევრია, თუმცა ეს ადამიანები უამრავ თემას ჯერ კიდევ გვერდს უვლის. *"ჩვენ პირველად შევეცდებით კლუბის სტრატეგიულ პოლიტიკას. ძალიან მინდა, გავერკვე, თუ რატომ ვყიდულობდით ბოლო წლების განმავლობაში ამდენ არაკვალიფიციურ ლეგიონერს,"* - აღშფოთებული ამბობს ბატონი იგორი.

და ისევ კითხვები: რამ აიძულა პრეზიდენტი, რომ სასალექციო შტაბის მიმართ პოზიცია ასე რადიკალურად შეეცვალა? ნუთუ ის აქამდე ვერ ხედავდა, რომ დიდი ოდენობით პირად ფულს ხარჯავდა ძალიან ცუდ თუ არა, კიევის "დინამოსთვის" აბსოლუტურად გამოუსადეგარ ფეხბურთელებში?

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ "დინამოში" დიდი გარდატეხების პირველი ნიშანი კლუბის გენერალურ დირექტორად რეზო ჭოხონელიძის დანიშვნა იყო. მოგეხსენებათ, ეს ადამიანი წლების განმავლობაში "მილანში" მუშაობდა და არცთუ დაბალ თანამდებობებზე. მას თავისუფლად მოქმედებისათვის სრული კარტბლანში გადაეცა. ამ უკანასკნელმაც, არც აცია, არც აცხელა, და კლუბის მმართველობას უმალ ჩამოაშორა იოჟეფ საბო და ლეონიდ ბურიაკი. ეტყობა, იგორ სურკისი ქართველ ფუნქციონერს 100 პროცენტით ენდობა. მან საკმაოდ ხმამაღალი განცხადება გააკეთა: რეზო დამეხმარება, ისეთივე წარმატებული გუნდი გავაკეთო, როგორიც "მილანიაო".

საინტერესო იქნება გავეცნოთ იმ ადამიანის მიზნებსა და შეხედულებებს, ვინც თითქმის მთლიანად განსაზღვრავს კლუბის სამომავლო პოლიტიკას: *"ჩვენ არ დავუსახავთ სიომინს ისეთ ამოცანას, როგორიც უკრაინის ჩემპიონობის უსიკვდილოდ მოგებაა. მეტიც, მესამე ადგილიც კი არ იქნება ტრაგედია. სამაგიეროდ, ჩვენ ვიმუშავებთ ახალგაზრდებთან და მათგან ვარსკვლავებს გამოვზრდით. განვითარების სწორედ ასეთი გზა იქნება უფრო მომგებიანი, პერსპექტიული და ეფექტური ჩვენთვის,"* - ამბობს ჭოხონელიძე.

მიზანი საკმაოდ ლოგიკურად ჟღერს იმის გათვალისწინებით, რომ ჩემპიონატის პირველ წრეში ძირითად შემადგენლობაში უფრო მეტად ვეტერანები ჩანდნენ, სწორედ ისინი, ვინც გუნდი სატურნირო ცხრილში მესამე ადგილამდე დააქვეითეს. განსხვავება ლიდერ "დნეპრთან" სულ 4 ქულაა და სიომინის ფეხბურთელებს არც ჩემპიონობის შანსი დაუკარგავთ.

დაბოლოს, გთავაზობთ ზამთრის არდადეგებისას "დინამოს" მომზადების განრიგს:

**9 იანვარი. კიევი.** შეკრება და სამედიცინო შემოწმება.

**15 იანვარი.** გაფრენა ისრაელში. იქ გუნდი რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველი არხის თასისათვის იბრძოლებს.

**31 იანვარი.** კიევში დაბრუნება.

რამდენიმე დღეში გუნდი ორი კვირით გაფრინდება მარბელიაში (ტურნირ დებალ ხუტებში).

**21 თებერვალს** ესპანეთში დაგეგმილია ამხანაგური მატჩი მოსკოვის ცსკასთან.



იური სიომინმა კიევისაკენ გასწია



გაზაფხულზე კიევის დინამომ უკრაინის ჩემპიონობა იზეიმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კალათბურთი

ლეგიონერთა მიმოხილვა

# დავითვალოთ ვარსკვლავები



მანუჩარ მარკოიშვილი აზოვმაშთან მატჩში

კვირის მიმოხილვა ბალტიისპირეთით უნდა დავიწყოთ, სადაც ერთ სასიხარულო ამბავი გველის: **გიორგი ცინცაძე** ბალტიის ლიგის „ოლ სტარის" კანდიდატია. ვარსკვლავთა მატჩი 2008 წლის 2 თებერვალს გაიმართება, ქართველ გულშემატკივარს საკმარისი დრო აქვს გიორგისთვის მხარდასაჭერად და ძირითად შემადგენლობაში შესაყვანად. ამისთვის მხოლოდ www.bbl.net-ში უნდა შეხვიდეთ და დანარჩენი თქვენ იცით...

ცინცაძე ლაგიონერთა ნაკრების კანდიდატია და სადღეისოდ უკანახაზელთა შორის მე-5 ადგილზეა. მას 1801 ხმა აქვს. მეოთხეზეა რიტასელი **ჰოლის პრინსი** (1938 ხმა), მესამეზე - რიგელი **კურტის მილაგე** (2012), მეორეზე - ჟალგირისელი **მარკო პოპოვიჩი** (3056), ხოლო პირველია ასევე ჟალგირისელი **მარკუს ბრაუნი** (4184), რომელთანაც გიორგი ცინცაძე მოსკოვის ცსკა-ში თამაშობდა. NBA-ს ვარსკვლავთა მატჩის მსგავსად ბალტიის ლიგაშიც ძირითად ხუთეულს ქომაგი ირჩევს, ხოლო სათადარიგოებს მწვრთნელები იმატებენ. მწვრთნელთა იმედად რომ არ იყოს, ქართველ „ბუს" უკანახაზელთა დუეტში მოხვედრა სჭირდება, რაც უტოპია ნამდვილად არ გახლავთ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ცინცაძე ბალტიისპირეთის „ოლ სტარის" კანდიდატი შარშანაც იყო და მესამე პოზიციას დასჯერდა, თუმცა მეორეადგილოსანმა პოპოვიჩმა ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად წესით გიორგი უნდა ჩაესვათ, მაგრამ ყველასათვის გასაკვირად მწვრთნელმა ქართველზე უარი თქვა.

ცინცაძის „ტარტუ როკმა" ბალტიის ლიგაზე თამაში გამოასწორა და არათუ აუტსაიდერებს, ლიდერებსაც სათანადოდ უმკლავდება. ბოლო მატჩში „როკერებმა" ლატვიურ „ვენტსპილსს" უმასპინძლეს და 90:88 აჯობეს. გამარჯვების მომტანი ორქულიანი „ტარტუს" ამერიკელი მეფარის **ბრაიან კუსვორსის** ანგარიშზეა. მან გადამწყვეტი ტყორცნა სირენამდე 3 წამით ადრე შეასრულა. მანამდე კი ქართველი გამთამაშებელი ყოჩაღობდა, მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე გიორგიმ ზედიზედ ორი შეტევა ორქულიანებით დააგვირგვინა და „როკი" 84:79 დააწინაურა, 34 წამით ადრე **გერტ კუულმიაეს** უპასა - 88:86, მაგრამ 6 წამში ლატვიელმა გაბრანსმა ანგარიში გაათანაბრა. ხოლო, „ტარტუმ" ვისი ორქულიანის წყალობით მოიგო, უკვე გითხარით.

ბრაიან კუსვორსმა მატჩი 24 ქულით დაასრულა. გიორგი ცინცაძე კი სამ „ფრონტზე" იყო შედეგიანი: 35 წუთში 12 ქულა (4-დან 2 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი და 4-დან 2 საჯარიმო), 4 მოხსნა, 6 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

„ტარტუ როკმა" ამ მოგებით ბალტიის ლიგის სატურნირო ცხრილში მეშვიდედან მეექვსე ადგილზე აინაცვლა - 4 მოგება და 7 წაგება აქვს.

### ისევ უნიქსი

მკითხველს ემახსოვრება, რომ ულების თასის ფავორიტი „მონტეპასკი" შარშან ტურნირიდან ყაზანის „უნიქსმა" გამოთიშა. მაშინ სიენელთა ღირსებას **ვლადიმერ ბოისა** იცავდა. ვოვას „უნიქსი" წელსაც გადაეყარა, ოღონდ ამჯერად რუსეთის თასის მეოთხედფინალში. ყაზანში გამართული პირველ მატჩში „უნიქსმა" „სპარტაკ-პრიმორიე" 78:69 დაამარცხა. ცხრაქულიანი სხვაობა თანაბარი ძალის გუნდებში სოლიდური ფორაა და ვნახოთ განმეორებით მატჩში მოახერხებს თუ არა „პრიმორიე" უნიქსის ჩამოტოვებას.

ყაზანში ვლადიმერ ბოისამ მოედანზე 24 წუთი გაატარა და თამაშიდან 10-დან 1 ტყორცნა გამოიყენა. მისი მონაგარი ასეთია: 2 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი.

მატჩის შემდეგ შეწუხებული იყო პრიმორიელთა მწვრთნელი **სერგეი ბობკოვი**: *„პირველი მეოთხედი უყურადღებოდ ჩავატარეთ. მეტოქემ 28:9 გაგვჯობა, მაგრამ ბოლო რაუნდში გამოვფხიზლდით და 6 სამქულიანი ჩავაგდეთ. მეორე შეხვედრას 9-ქულიანი ჩამორჩენით ვხვდებით, შინ რომ ვთამაშობდეთ, მისი აღმოფხვრა რეალური იქნებოდა."*

განმეორებითი თამაში 23 დეკემბერს ისევ ყაზანში შედგება. ამის მიზეზი სპარტაკელების თხოვნაა, რომლებსაც მოსკოვში ჩასასვლელად 8-საათიანი ფრენა უწევთ და ხშირ ფრენას ერიდებიან. თასის მეორე მატჩამდე „უნიქსი" და „სპატრაკ-პრიმორიე" ერთმანეთს 21 დეკემბერსაც დაუპირისპირდებიან. მატჩი რუსეთის ჩემპიონატის ეგიდითაა.

### მგელმა ლომი შეჭამა

ასეთი სათაური ჰქონდა უკრაინის ჩემპიონატის ცენტრალური მატჩის მიმოხილვას, რომელშიც ერთმანეთს „კიევი" და „აზოვმაში" დაუპირისპირდნენ. აქვე განგიმარტავთ, რომ დედაქალაქელთა თილისმა მგელია, ხოლო მარიუპოლელებისა - ლომი.

კიეველებმა პირველივე წუთებზე მოიპოვეს უპირატესობა და შეხვედრა გამარჯვებამდე მშვიდად მიიყვანეს - 87:76. მანუჩარი შეტევაში ჩვეული სიზუსტით ვერ გამოირჩა, ხუთივე ორქულიანი ააცილა, თუმცა 5-5 ქულა-მოხსნას თითო შედეგიანი გადაცემა და დაფარება მიამატა. მატჩის სნაიპერი გახდა „კიევში" მოთამაშე მაკედონიელი **რაიან სტეკი** - 28 ქულა, 8 მოხსნა.

მატჩის წინ მანუჩარ მარკოიშვილი საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვეს გაზეთ „ბოლელშჩიკის" რედაქტორის ავტოგრაფიანი მაისურით. ეს ჯილდო მან ნოემბერში ნაჩვენები ეფექტური თამაშით დაიმსახურა. იგი ზემოთნახსენები გაზეთის გამოკითხვაში ნოემბრის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.

„აზოვმაშის" ძლევით მანუს კლუბმა სატურნირო ცხრილში ლიდერობა გაიმყარა - 11 თამაში, 11 მოგება. „კიევი" მეორეადგილოსან აზოვისპირელებს 2 მოგებით უსწრებს. დღეს „კიევი" ულების თასის მორიგ ტურში ლატვიაში „რიგას" დაუპირისპირდება.

### გამოფხიზლება სჭირდება

იტალიის ჩემპიონატის მე-14 ტურში **ნიკა ცქიტიშვილის** „ტერამომ" ერთპიროვნულ ლიდერ „მონტეპასკის" უმასპინძლა. შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გამარჯვებულის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. როგორც წესი, ბოლოს თამაშს საკუთარ თავზე „სკიტა" იღებს ხოლმე და ქულას-ქულაზე აგდებს. „მონტეპასკთან" მატჩში ასე არ მოხდა, გადამწყვეტ მომენტში ვერც ერთმა ტერამოელმა ვერ ივარგა და სიენელებმა 100:91 გაიმარჯვეს.

ნიკამ 17 წუთში 4-დან 3 ორქულიანი გამოიყენა, სამი საჯარიმოც მიამატა და 9 ქულას 5 მოხსნა შეუფარდა. ქართველს ტყორცნების პროცენტული მაჩვენებელი არ დაეწუნება, მაგრამ ქომაგი მისგან გაცილებით მეტ აქტიურობასა და სროლებს მიეჩვია.

თუკი „მონტეპასკიმ" სატურნირო ცხრილში ლიდერობა განიმტკიცა (14 მატცი, 14 მოგება), „ტერამომ" ერთი საფეხურით უკან დაიწია - 7 მოგებით მეცხრე ადგილზეა.

### კახასოლმა მოიგო!

ესპანეთის ჩემპიონატში თორმეტი მცდელობიდან მეოთხე მატჩი მოიგო **ტაირონ ელისის** „კახასოლმა", რომელმაც „მურსიას" 78:65 აჯობა. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 31 წუთში 9 ქულა (სამი სამქულიანი) ჩააგდო, ზედ 1 მოხსნა და 2 პასი წაამატა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



გიორგი ცინცაძე

## ჩოგბურთი



# ჩიხლაძე ადგილებს კარგავს

გუშინ ATP-ის მორიგი რეიტინგლისტი გამოქვეყნდა. წინა კვირასთან შედარებით ჩვენმა პირველმა ჩოგანმა **ლადო ჩიხლაძემ** 6 ადგილი დაკარგა და მსოფლიო კლასიფიკაციაში 372-ე ადგილზეა. ლადოს 91 სარეიტინგო ქულა აქვს. სხვები: 1212. (-1) **ნოდარ ითონიშვილი** - 4 ქულა, 1478 (+2) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** - 1-1 ქულა. წყვილთა რეიტინგში ლადო ჩიხლაძე 724-ე ჩოგანია.

გამოქვეყნდა ქალ ჩოგბურთელთა WTA-ს რეიტინგ-ლისტიც. **მაკა ჩახნაშვილმა** უთამაშებლად წინ წაიწია, მას 160 ქულა აქვს და მსოფლიოს 183-ე ჩოგანია (+3). 283-ე პოზიციაზეა **ანა ტატიშვილი**, მას 88 ქულა აქვს და წინა კვირის მონაცემთან შედარებით 6 ადგილით დაიხია უკან. ორი ადგილით წინ წავიდა **სოფიო შაფათავა** - 46 ქულით 407-ე (+2) პოზიციაზეა.

სხვა ქართველები: 510 (-1) **თინათინ ყავლაშვილი** - 31 ქულა, 589 (+2) **სალომე დევიძე** - 22, 607 (+1) **მანანა შაფაქიძე** - 21, 643 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 18, 688 (+1) **სოფიო ქვაცაბაია** - 16, 801 (-) **ეკა გორგოძე** - 10, 844 (-3) **სოფიო მელიქიშვილი** - 9. მანანა შაფაქიძემ და სოფიო ქვაცაბაიამ კვლავ გააუმჯობესეს კარიერის მიღწევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თარიღი

**ჯონი რეხვიაშვილი.** დაიბადა 18.12.1942, ჭიორა, ონი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან: გურამ გედეხაური, მუხრან ვახტანგაძე, ალექსანდრე დოხტურიშვილი, ხვიჩა ბიჩინაშვილი და მანუჩარ კვირკველია. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. ღირსების ორდენის კავალერი.

### მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, დაბადებიდან 65 წელს ულოცავენ გამოჩენილ მწვრთნელს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორების და მონაწილეების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების აღმზრდელს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **ჯონი რეხვიაშვილს.**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი



საქართველოს ნაკრები თურქეთში გაემგზავრა

## თურქიას დებიუტი თურქეთში ექნება

ხელბურთელთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები თურქეთში გაემგზავნენ, სადაც საკონტროლო ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებენ მასპინძლებთან.

როგორც უკვე გაცნობეთ, ბერძნული მეორე ლიგის კლუბ „პოსეიდონის“ მოთამაშე მწვრთნელი **გიორგი (გარი) თურქია** შაბათს უნდა ჩამოსულიყო თბილისში და ახალგაზრდული ნაკრები ჩაებარებინა. გარი უკვე საქართველოშია და რამდენიმე ვარჯიშიც ჩაუტარა ახალგაზრდულს. როგორც საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გვითხრა, ჯერჯერობით თურქიასთან მხოლოდ სიტყვიერად არიან შეთანხმებულები. ახალი წლის შემდეგ კი ოფიციალურ კონტრაქტს გაუფორმებენ, როდესაც ხელბურთის ფედერაციის საგაისო ბიუჯეტი დამტკიცდება.

გარი თურქიას ნაკრებში მუშაობის გამოცდილება, ჯერჯერობით მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ახლახან, „ჩელენჯ ტროფის“ თბილისური ეტაპის წინ, ეროვნული ნაკრების აწ უკვე ყოფილ თავკაც **მამუკა მჟავანაძეს** ეხმარებოდა საწვრთნელ პროცესში.

თუმცა, გარი წლების განმავლობაში საბერძნეთში თამაშობს და ბოლო ხანს სერიოზულად მოჰკიდა ხელი სამწვრთნელო საქმის შესწავლას, ამ პროფესიით აპირებს კარიერის დამთავრების შემდეგ მუშაობას და ვფიქრობთ, მისი გამოცდილება უდავოდ წაადგება ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს.

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თურქიას დებიუტი თურქეთში შედგება, გაზაფხულზე კი გუნდს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ელის.

დასასრულ, ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. გუნდის თავკაცმა **იმედო ფხაკაძემ** 16 ხელბურთელი წაიყვანა თურქეთში. ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე 30 ხელბურთელი ვარჯიშობდა, რომლებიც ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გადანაწილდნენ.

აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ნაკრებში გამოიძახეს გერმანიის მეოთხე ლიგაში მოთამაშე მეკარე **არჩილ გარიშვილი.** ასევე დიდი ხნის შემდეგ, გუნდს უბრუნდება ესპანეთის მესამე ლიგაში მოასპარეზე **გიორგი გვაზავა,** ოღონდ იგი თურქეთში ჩასვლას ვერ მოახერხებს და გუნდს ნაახალწლევს შეუერთდება, „ჩელენჯ ტროფის“ ფინალისთვის მოსამზადებელ ბოლო ეტაპზე. ფხაკაძეს გუშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე გადაწყვეტილი იმედი, რომ თურქეთში ჩასვლას მოახერხებდა სამი წამყვანი ლეგიონერი - **ვლადიმერ რუსია, რეზო ჭანტურია და რატი მსხვილიძე.** სამაგიეროდ, ნაკრებს თურქეთში აუცილებლად დაუხვდება იქვე მოთამაშე კიდევ ორი ლეგიონერი - **შოთა გრიშიკაშვილი და გიორგი ნატროშვილი.**

**კობა ხატისაშვილი**

ლეგიონერი

## პრინციპული გამარჯვება

ხანგრძლივი ნაგებათა სერიის შემდეგ, როგორც იქნა მოგების გემო გაიხსენა საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ლიდერის, **სერგო დათუკაშვილის** „ლიუბეკმა“.

გერმანული ბუნდესლიგის 16-ე ტურში, ლიუბეკელებმა „მინდენს“ უმასპინძლეს. აღნიშნული მატჩის მოგება დათუკაშვილის მეჩვიდმეტეადგილოსან გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში, „მინდენს“ ქულებით გაუთანაბრდებოდა და ცოტას ამოისუნთქავდა.

ესოდენ პრინციპულ მატჩში, ლიუბეკელები მაქსიმალურად მობილიზებულნი აღმოჩნდნენ და ფაქტობრივად, პირველ ტაიმშივე გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი, რომელიც 16:8 მოიგეს. ისინი არც მეორე ტაიმში მოდუნებულან, სხვაობა შეინარჩუნეს და საბოლოოდ, 33:25 იმარჯვეს.

საკმაოდ კარგად ითამაშა დათუკაშვილმა, რომელმაც 8 გოლი შეაგდო. იგი ამ მაჩვენებლით მოედანზე მყოფთაგან მეორე იყო 10 გოლის გამტან თანაგუნდელ **ტომიჩის** შემდეგ. ამას გარდა, ქართველი გამთამაშებელი ზედმეტი თავგამოდების გამო, ორჯერ გააძევეს მოედნიდან ორი წუთით.

სერგოს 16 მატჩში 98 გოლი აქვს გატანილი, მეექვსე ადგილზეა და 3 ბურთით ჩამორჩება მეორეადგილოსან კონრად ვილჩინსკის („ფუქსე“). შემცირდა სხვაობა დათუკაშვილსა და პირველადგილოსან არნე ნეიმაიერს შორისაც. ნეიმაიერი მინდენელია და „ლიუბეკს“' მხოლოდ 1 გოლი გაუტანა. შესაბამისად, ჩვენებურს მის დაწევამდე 11 გოლიღა აშორებს.

**კობა ხატისაშვილი**

სპორტი და ბიზნესი

## მესხის ექსკლუზივი...



ცნობილ სპორტსმენთა უმრავლესობა, კარიერის დასრულების შემდეგ ბიზნესში ცდის ხოლმე თავს და, როგორც წესი, წარმატებებს ამ ფრონტზეც აღწევს. საქარველშიც მოიძებნებიან ამგვარი ბიოგრაფიის მქონენი, თუმცა ისეთივე სიმაღლეებისთვის რომ მიეღწიათ ბიზნესში, როგორსაც სპორტულ ასპარეზზე აჩვენებენ, ძალიან ცოტას თუ გავიხსენებთ. ყველაზე ნათელი მაგალითი **კახა კალაძეა,** რომელსაც აქტიური სპორტული კარიერა ჯერაც არ დაუსრულებია და უკვე სოლიდურ ბიზნესმენადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ლეილა მესხი კარგა ხანია, ჩოგბურთს აღარ თამაშობს, მაგრამ დღემდე სპორტში რჩება - საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას და მისივე სახელობის საჩოგბურთო აკადემიას ხელმძღვანელობს. აკადემიის გაძღოლაც ბიზნესია, მაგრამ მაინც სპეციფიკური, თანაც შედარებით მარტივი სქემის: ჰყიდი იმ პროდუქციას, რაც ყველაზე კარგად იცი - ჩოგბურთს ასწავლი მსურველს. როგორც ჩანს, საჩოგბურთო აკადემიამ გაამართლა და ქალბატონ ლეილას სხვაგვარი, უფრო რთული და ფართო ასპარეზისკენ უბიძგა: სპორტული ინვენტარის მწარმოებელ, მსოფლიოში ცნობილ იტალიურ ფირმას „ლოტოს“ ხელმძღვანელობას დაუკავშირდა და ამ ფირმის პროდუქციის საქართველოში გავრცელების ექსკლუზიური უფლება მიიღო.

კვირას, თბილისში, სავაჭრო ცენტრ GTC-ში „ლოტოს“ საფირმო მაღაზიის პრეზენტაცია შედგა. საღამოზე ქვეყნის ცნობილ სახეთაგან მრავალი მობრძანდა - პოლიტიკოსებიც, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებიც;-ცხადია, მრავლად იყვნენ სპორტული სამყაროს წევრებიც. აღსანიშნავია, რომ „ლოტო“ საქართველოში რამდენიმე წელია მუშაობს და საკუთარ პროდუქციას ჰყიდის, მაგრამ კონკრეტულ მსურველთან - ნაკრებ გუნდებთან თუ კლუბებთან ინდივიდუალური კონტრაქტის საფუძველზე აწვდიდა პროდუქციას. „ლოტოს“ საფირმო მაღაზია პირველად გაიხსნა ჩვენს ქვეყანაში.

**ქალბატონ ლეილას მაღაზიის გახსნა მივულოცეთ და მცირე ინტერვიუც ვთხოვეთ.**

- ცნობილ იტალიურ ფირმა „ლოტოსთან“ თანამშრომლობა, ვფიქრობ, გაამართლებს და ქართულ ბაზარზე მაღალი ხარისხის პროდუქცია შემოვა. ჩვენ ამ ფირმის დისტრიბუციის ექსკლუზიურ უფლებას ვფლობთ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში სხვა ვერ შეძლებს „ლოტოს“ პროდუქციის გავრცელებას და საფირმო ნიშნის გამოყენებას. პროდუქცია ძალიან მაღალი ხარისხისაა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საკმაოდ დაბალი ფასებით გამოირჩევა. ასორტიმენტიც მრავალფეროვანია, რაც მყიდველს ფართო არჩევანს აძლევს. დასაწყისი საიმედოა, - უკვე რამდენიმე ათეული ნივთი გაიყიდა და ვხედავ, რომ აქ მობრძანებული სტუმარი ძალიან კმაყოფილია. უახლოეს გეგმაში გვაქვს თბილისში კიდევ ერთი მაღაზიის გახსნა; გვსურს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში - ძირითადად დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ავამოქმედოთ საფირმო მაღაზიები.

**ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ დახლებზე „ლოტოს“ ნიშნით დამშვენებული არა მხოლოდ სპორტული ტანისამოსი ძევს, არამე ზამთრის ქურთუკებიც, ჯემპრებიც და პირადი მოხმარების სხვა აუცილებელი ნივთიც. ბუნებრივია, კოლექცია სეზონური და მუდმივად განახლებადი იქნება.**

ზვიად შათირიშვილი

ტაილანდური კრივი

## ვერცხლი და ბრინჯაო ტაილანდიდან



ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში 27 ნოემბერს დაიწყო და 8 დეკემბერს დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ტაილანდურ კრივში დიდებსა და ახალგაზრდებს შორის. მსოფლიოს ჩემპიონატზე 100-მდე ქვეყნის 1500-ზე მეტი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, თავად ტურნირი კი ტაილანდის მეფის 80 წლისთავს მიეძღვნა.

საქართველოდან მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი სპორტსმენი გაემგზავრა – **დათო ჯავახია, ცოტნე ჯავახია** და **ლაშა ორბელაძე.** მათგან ყველაზე კარგად ლაშა ორბელაძემ (51 კგ წონითი კატეგორია) იასპარეზა, ვინაც ახალგაზრდებში მეორე ადგილისა და ვერცხლის მედლის მოპოვება შეძლო. ასევე ახალგაზრდებში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად ცოტნე ჯავახიას (67 კგ წონითი კატეგორია).

დიდებში საქართველო დათო ჯავახიამ (71 კგ) წარმოადგინა, რომელმაც მართალია საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა, მაგრამ მის წონით კატეგორიაში 8 საუკეთესოს შორის მოხვდა. მსოფლიოს ჩემპიონატს დაესწრნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, რომლებმაც ბანკოკში საგანგებო კრება ჩაატარეს და კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ოლიმპიურ სახეობებად გადაქცევაზე იმსჯელეს და ის გეგმები დასაახეს, რომლის მიხედვით, მომდევნო 3-4 წელიწადში ეს სახეობები ოლიმპიურ თამაშებს უნდა შეუერთდეს.

მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ, საქართველოს კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **გოჩა ჯავახიამ** და საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ** 17 დეკემბერს სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართეს.

**კახა ბასილია (საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტი):** - ქართველმა სპორტსმენებმა ტაილანდში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს და ეს რა თქმა უნდა, აღსანიშნავი ფაქტია. კიკბოქსინგი საქართველოს საბრძოლო კონფედერაციის მიერ იმ 4 სახეობაშია შეყვანილი, რომელიც ჩვენი ძირითადი პრიორიტეტი იქნება 2008 წლიდან. კიკბოქსინგთან ერთად ესაა უშუ, კარატე და ტაეკვონდო.

სპორტის დეპარტამენტთან ერთად მუშავდება პროექტი, რომლის თანახმად 2008 წლიდან არაოლიმპიურ სახეობებში წარმატებული სპორტსმენის მიღწევა გათანაბრდება ოლიმპიური სახეობის სპორტსმენის წარმატებასთან და ეს ძალიან მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ჩვენი სამომავლო განვითარებისათვის. ვფიქრობ, არასწორია ამ შემთხვევაში სპორტის სახეობების ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებად დაყოფა, მთავარია კონკრეტული შედეგი. რომელსაც სპორტსმენი მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე აღწევს. არადა, შედეგი, რასაც ჩვენი კონფედერაციის ქვეშ გაერთიანებული სპორტსმენები აჩვენებენ, ნამდვილად გამოსარჩევია.

**გოჩა ჯავახია (საქართველოს კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი):** - მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ სამი სპორტსმენით გამოვედით, არადა უფრო მეტნი რომ ვყოფილიყავით, შედეგებიც უკეთესი იქნებოდა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო განვვითარდეთ. ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია საქართველოს წარმატება მოვუტანოთ და ამას ვადასტურებთ კიდეც.

ტაილანდში ვერცხლის მედალი მოიპოვა ლაშა ორბელაძემ, ხოლო ბრინჯაოს ცოტნე ჯავახია დაეუფლა. ორბელაძემ ფინალში გასვლამდე სამი ბრძოლა მოიგო და მხოლოდ ფინალში მოეცარა ხელი. ცოტნე ჯავახია ნახევარფინალში გამოეთიშა ოქროს მედლისათვის ბრძოლას, დათო ჯავახიამ კი მეოთხედფინალამდე მიაღწია.

100 ქვეყნის 1500 სპორტსმენს შორის 2 მედლის მოპოვება 3 კაციანი ნაკრებით მართლაც საუკეთესო მაჩვენებელია.

ბანგკოკში მსოფლიოს ჩემპიონატს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ჩემპიონატის მსვლელობისას პრესკონფერენცია ჩატარდა, სადაც ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ოლიმპიურ სახეობებად ჩამოყალიბებაზე ისაუბრეს.

**გიორგი [illegible]ანიშვილი**
**სპორტის დეპარტამენტის პრესცენტრი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რაგბი** ლეგიონერები



გია ლაბაძე

# ფეიქრიშვილის დებიუტი



ანტონ ფეიქრიშვილი

სარაგბო ევროთასების გათამაშებაში ჯგუფური ეტაპის მეორე წრის პირველი შეხვედრები გაიმართა. E ჯგუფში **გოდერძი შველიძისა და დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი", რომელიც აქამდე ლიდერობდა, სტუმრად ეწვია ინგლისურ „ვოსფს" და მინიმალური ანგარიშით 24:25 დამარცხდა. თამაშში ქართველ მორაგბეებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ამავე ჯგუფში ირლანდიურმა „მანსტერმა" შინ დაამარცხა უელსის „ჰლანეჰლი" 22:13 და ლიდერობა იგდო ხელთ. შემდეგ ტურში ვულკანები სწორედ „მანსტერს" მასპინძლობენ და შემდეგ ეტაპზე გასასვლელი შანსის შესანარჩუნებლად აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ. მეოთხედფინალში გადიან ]გუფების გამარჯვებულები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი.

**E ჯგუფი.** მანსტერი-14 ქულა, ვოსფსი-13, კლერმონი-10, ჰლანეჰლი-4: **A ჯგუფი.** ნიუპორტი (უელ)-ბენეტონი (იტ) 22:24, პერპინიანი (საფ)-ლონდონ აირიში (ინგ) 23:6. ლონდონ აირიში-14 ქულა, პერპინიანი-13, ნიუპორტი-7, ბენეტონი-5. **B ჯგუფი.** ოლსტერი (ირ)-ოსფრიზი (ინგ) 8:16, გლოსტერი (ინგ)-ბურგუენი (საფ) 51:27. გლოსტერი-19 ქულა, ოსფრიზი-13, ბურგუენი-5, ალსტერი-1. **C ჯგუფი.** კარდიფი (უელ)-სტად ფრანსე (საფ) 31:21, ბრისტოლი (ინგ)-ჰარლიქვინზი (ინგ) 20:7. ბრისტოლი-12 ქულა, კარდიფი-12, სტად ფრანსე-9, ჰარლეკინზი-2. **D ჯგუფი.** ბიარიცი (საფ)-გლაზგო (შოტ) 21:14, ვიადანა (იტ)-სარასენზი (ინგ) 26:34. სარასენზი-15 ქულა, ბიარიცი-13, გლაზგო-11, ვიადანა-2. **F ჯგუფი** ედინბურგი(შოტ)-ლენსტერი (ირ) 29:10, ტულუზი (საფ)-ლესტერი (ინგ) 22:11. ტულუზი-14 ქულა, ლესტერი-9, ლენსტერი-8, ედინბურგი-5.

**ჩელენჯ კაპზე მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან, შემდეგ ეტაპზე გასვლის რეალურ შანსს ოთხი - „დაქსი", „ოში", „კასტრი" და „ბრივი" ინარჩუნებს.**

A ჯგუფში **მამუკა მაგრაქველიძის** „ოშმა" საკუთარ მოედანზე იტალიური „ოვერმაკი" მიიღო და 24:20 დაამარცხა. „ქირვანამ" თავიდან ბოლომდე ითამაშა და 50-ე წუთზე მატჩის არბიტრმა უხეში თამაშისთვის გაასინბინა. ამავე ჯგუფში ლიდერმა ინგლისის „ბასმა" შინ მოუგო ფრანგულ"ალბის" 59:15. ბასი-18 ქულა, ოში-10, ოვერმაკი-6, ალბი-4.

C ჯგუფში სტუმრად ტურნირის დებიუტანტი ესპანეთის „ელ სალვადორი" დაამარცხა **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" 40:8. ხინჩაგიშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ბრიველთა კონკურენტმა ინგლისურმა „ნიუკასლმა" კი შინ მშრალი ანგარიშით დაამარცხა ირლანდიური „ქონოთი" 39:0. ბრივი-15 ქულა, ნიუკასლი-15, ქონოთი-9, ელ სალვადორი-0.

D ჯგუფში ორი ქართული გუნდიდან უკეთესი მდგომარეობა აქვს **მამუკა გორგოძის** „მონპელიეს", რომელმაც შინ დაამარცხა იტალიური „პადოვა" 31:3. გორგოძე თამაშში მე-40 წუთიდან ჩაერთო. **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი" კი სტუმრად დამარცხდა ჯგუფის ლიდერ „სეილ შარმსთან" 10:32. კოპალიანი განაცხადში არ იყო. სეილ შარქსი-20 ქულა, მონპელიე-13, ბაიონი-6, პადოვა-1.

E ჯგუფში ერთმანეთის პირისპირ, ისე როგორც წინა ტურში **ძმები გიორგაძეების** გუნდები დადგნენ. ამჯერად მასპინძელი ირაკლის „დაქსი" იყო, თამაში კი აქვსენტის „კასტრმა" მოიგო მინიმალური ანგარიშით 16:15. ირაკლიმ თავიდან ბოლომდე ითამაშა, მისი უფროსი ძმა კი თამაშში 22-ე წუთიდან ჩაერთო. ამავე ჯგუფში იტალიურმა „კალვიზანომ" ინგლისურ „ლიდსს" სძლია 27:26. ლიდსი-15 ქულა, კასტრი-13, კალვიზანო-9, დაქსი-2. **B ჯგუფი** მონტობანი (საფ)-ბუქარესტი (რუმ) 34:6, პარმა (იტა)-ვურსტერი (ინგ) 16:66. ვურსტერი-19 ქულა, მონტობანი-11, ბუქარესტი-6, პარმა-2.

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში კვლავ **გია ლაბაძის** „ტულონის" ჰეგემონიაა. მე-8 ტურში ლაბომ და მისმა ვარსკვლავურმა კომპანიამ შინ გაანადგურეს ერთ-ერთი აუტსაიდერი „ლიმოჟი" 84:10. ლაბაძე ამჯერად სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო.

მე-8 ტურში კიდევ ერთი ქართველი ეზიარა პროფესიულ რაგბს. სტუმრად, **მახო ურჯუკაშვილის** „ორიიაკთან" მატჩში დებიუტი ჰქონდა „აჟენის" პირველხაზელ **ანტონ ფეიქრიშვილს**. მატჩი მასპინძლებმა მოიგეს 23:11. ფეიქრიშვილი თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო. ურჯუკაშვილი განაცხადში არ იყო.

ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანმა" შინ დაამარცხა **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი" 14:10. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საკუთარ მოედანზე დაამარცხა „ლიონი" **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა" 25:21. აშვეთია თამაშში 70-ე წუთიდან ჩაერთო. ასევე შინ მოიგო „ბორდოსთან" **იგორ ბარბაქაძის** „ტარბმა" 19:6. ბარბაქაძე განაცხადში არ იყო.

II დივიზიონი. VIII ტური. ტულონი-ლიმოჟი 64:10, ბეზიე-ბლანიაკი 27:15, ოიონაქსი-ლიონი 25:21, მონ დე მარსანი-ნარბონი 14:10, მეტრო რასინგი-გრენობლი 28:13, ტარბი-ბორდო 19:6, ორიიაკი-აჟენი 23:11, ლა როშელი-პო (გადაიდო).

1. ტულონი-35 ქულა, 2. მონ დე მარსანი-26, 3. მეტრო რასინგი-25, 4. ბეზიე-22, 5. აჟენი-21, 6. ორიიაკი-21, 7. ლა როშელი-21, 8. გრენობლი-20, 9. ოიონაქსი-18, 10. ლიონი-16, 11. პო-16, 12. ნარბონი-14, 13. ტარბი-12, 14. ლიმოჟი-12, 15. ბორდო-7, 16. ბლანიაკი-3.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ძიუდო**

# ბაკურიანი, სიწყნარე, სუფთა ჰაერი

კვირას საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბაკურიანში გაემგზავრა შეკრებაზე, რომლითაც საგაისო სეზონისთვის მზადება ოფიციალურად დაიწყო. მწვრთნელთა შტაბის განკარგულებაში ყველა ის სპორტსმენია, რომელმაც 26-27 იანვარს თბილისის მსოფლიო თასზე უნდა იჭიდაოს. მათ ნაკრების ყველა ის ლიდერი იახლეს, რომლებსაც ბოლო ხანებში ასვენებდნენ და სამომავლო ბატალიებისთვის ინახავდნენ. გადამწყვეტი მომენტიც დადგა - გუნდი საგაისო სეზონისთვის მზადებას შეუდგა და ლიდერთა დროც დადგა.

ეს შეკრება ფიზიკური მომზადებისთვისაა განკუთვნილი - იგი მხოლოდ სირბილს, ტრენაჟორებზე ვარჯიშს და მსგავს ძალისმიერ ელემენტებს დაეთმობა, ტატამზე გასვლა კი თითქმის გამორიცხულია. როგორც ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** გვითხრა, ბაკურიანში ამჟამად გვარიანი თოვლია და სწორედ ისეთი ატმოსფეროა, რასაც სავარჯიშოდ ინატრებდნენ - სუფთა ჰაერი და სიწყნარე... ახლა ჯერი თავად სპორტსმენებზეა.

თავად თბილისის ტურნირს რაც შეეხება, შეგახსენებთ, რომ იგი სალიცენზიო სტატუსისაა და, ამდენად, ძლიერი შემადგენლობა უნდა ჩამოვიდეს. თუმცა ამ თვალსაზრისით, კალენდარი ცოტა არახელსაყრელია - სეზონის პირველი ტურნირია და, სავარაუდოდ, ამ სიშორეზე ჩამოსვლას ბევრი დაცდას და მოგვიანებით ევროპულ სალიცენზიო შეჯიბრებებში ჩართვას ამჯობინებს. ეს ტურნირი მოგვიანებით რომ ტარდებოდეს, მაშინ ათლეტებს არც ასე გადადების შანსი ექნებათ და გაცილებით მეტიც ჩამოვა. ამას ისიც ემატება, რომ იანვარში ტურნირის ხარჯებიც იზრდება. მაგალითად, გათბობისა, რაც ფედერაციას დამატებით ტვირთად აწვება. მაგრამ რაცაა, ამაზე წუწუნი არ ღირს - ჯერ თავად მსოფლიო თასის სტატუსია პრესტიჟული და მერე - სალიცენზიო სიებში მოხვედრა. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მოინდომეს ბევრად განვითარებულმა ქვეყნებმა ტურნირის წართმევა, რასაც საბაბად „ნოემბრის მოვლენები" დაუდეს - აქაოდა, საქართველოში ჩასვლა საშიშიაო, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლებამ უკვე გასცა უსაფრთხოების გარანტიები და ჩვენს შეჯიბრებას სხვაგან გადატანის საფრთხე არ ემუქრება. სავარაუდოდ, ნაახალწლევს მდგომარეობის ადგილზე გასაცნობად ძიუდოს ევროპული კავშირის პრეზიდენტი **სერგეი სოლოვეიჩიკიც** გვეწვევა, თუმცა იგი იმთავითვე გადატანის წინააღმდეგი იყო.

**სროლა**

# ორი ვერცხლი, სალუქვაძე და ქადაგიძე

ჩვენი ტყვიის მსროლელები ამ დღეებში ბაქოში რომ იმყოფებოდნენ საერთაშორისო ტურნირზე, უკვე მოგეხსენებათ. ეს გახლდათ აკადემიკოს ილია ბუნდიავინის მემორიალი, რომელსაც 20-წლიანი ისტორია ჰქონია, მაგრამ ქართველები პირველად მონაწილეობდნენ.

ქალთა ტურნირი მასპინძელთა ლიდერმა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა და ოლიმპიურმა პრიზიორმა **ირადა აშუმოვამ** მოიგო 384 ქულით, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** კი მეორეზე გავიდა 380-ით. ამდენივე ქულა დააგროვა, მაგრამ მესამეზე დარჩა კიდევ ერთი მასპინძელი **ნიგიარ ბაგიროვა**. სამწუხაროდ, **ნინო უჩაძე** და **თამილა ასათიანი** მონინავეთა შორის ვერ მოხვდნენ.

სამაგიეროდ, იყოჩაღა **ლევან ქადაგიძემ**, რომელიც 561 ქულით მეორეზე გავიდა და სულ რაღაც ორი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულ **რუსლან ლიუნიოვს**.

დღეს თბილისში აზერბაიჯანელი მსროლელები, ოღონდ მხოლოდ აშუმოვა და ლიუნიოვი ჩამოვლენ. 20-21 დეკემბერს სალუქვაძის ტირში თბილისის ღია ჩემპიონატი გაიმართება და სტუმრებიც იმ ტურნირში იასპარეზებენ.

**ირაკლი თავაძე**

**ძალოსნობა**

# კახიაშვილის ტურნირი ქუთაისში

14-15 დეკემბერს ქუთაისის ძალოსნობის დარბაზში გაიმართა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის **კახი კახიაშვილის** სახელობის ტურნირი ძალოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 8 ქალაქის 82- მა სპორტსმენმა. 2007 წელს ქუთაისმა ძალოსნობის 6 ტურნირს უმასპინძლა და ეს იყო წლის ბოლო შეჯიბრება. ქუთაისელთა მთავარი მწვრთნელი **მალხაზ ლომთაძე** შედეგებით კმაყოფილი დარჩა. მისი თქმით პროგრესი სახეზეა, რაც რამდენიმე ძალოსნის მიერ პირადი რეკორდის გაუმჯობესებაში აისახა. შედეგები გააუმჯობესეს **რაულ ცირეკიძემ, გიორგი ლომთაძემ** და **პაატა გეგეშიძემ**. ტურნირის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულ იქნა რაულ ცირეკიძე, რომელსაც 10-ე კომპლექსური სკოლის მიერ დაწესებული სპეციალური თასი გადაეცა. სხვა გამარჯვებულებმა კი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დაწესებული პრიზები მიიღეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები და პრიზიორები გახდნენ.

| 45კგ. | |
|---|---|
| 1. შოთა მიშველაძე (ქუთაისი) | 53+62 |
| 2. თორნიკე თოდაძე (საჩხერე) | 44+58 |
| 3. ნიკა ჯანელიძე (ქუთაისი) | 43+53 |

| 50კგ. | |
|---|---|
| 1. გიორგი საჯაია (ზუგდიდი) | 60+70 |
| 2. გიგა კაპანაძე (საჩხერე) | 48+65 |
| 3. ზურაბ ბერიძე (საჩხერე) | 45+60 |

| 56 კგ. | |
|---|---|
| 1. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი) | 92+120 |
| 2. ზურაბ თავაძე (ქუთაისი) | 80+120 |
| 3. ზაზა გაგედავა (ქუთაისი) | 62+70 |

| 62 კგ. | |
|---|---|
| 1. პაჟა ქავთარაძე (ხელვაჩაური) | 93+119 |
| 2. გიორგი რიგაკონინი (თბილისი) | 98+114 |
| 3. ლაშა ქამუშაძე (საჩხერე) | 85+100 |

| 69 კგ. | |
|---|---|
| 1. გექა კახიძე (ქუთაისი) | 103+135 |
| 2. შალვა ლორთქიფანიძე (თბილისი) | 102+131 |
| 3. ალეკო მამიაშვილი (წყალტუბო) | 103+130 |

| 77 კგ. | |
|---|---|
| 1. პაატა გეგეშიძე (ქუთაისი) | 133+155 |
| 2. ირაკლი ცანავა (ზუგდიდი) | 120+142 |
| 3. კახა გალდავაძე (ქუთაისი) | 120+140 |

| 85 კგ. | |
|---|---|
| 1. დავით გოგია (ზუგდიდი) | 125+160 |
| 2. კახა ჭილაძე (ქთაისი) | 116+146 |
| 3. ზაალ კვიციანი (ზუგდიდი) | 100+125 |

| 94კგ. | |
|---|---|
| 1. რაულ ცირეკიძე (ქუთაისი) | 157+185 |
| 2. ალუდა მანაგაძე (ქუთაისი) | 145+170 |
| 3. ილიკო ჯალალონია (ზუგდიდი) | 125+147 |

| 105კგ. | |
|---|---|
| 1. ალეკო აკოფიანი (რუსთავი) | 140+160 |
| 2. გოგა ფიფია (ქუთაისი) | 120+145 |

| +105კგ. | |
|---|---|
| 1. გიორგი მაჭავარიანი (აჭარა) | 170+180 |
| 2. თორნიკე კოკაია (აფხაზეთი) | 150+170 |
| 3. ლევან მამისაშვილი (თბილისი) | 140+160 |

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამთო თხილამურები

### მსოფლიო თასი

# პერსონის დუბლი

გასულ უქმეებამდე შვედ **ანია პერსონს** მსოფლიო თასის მიმდინარე სეზონში ერთი ეტაპიც არ ჰქონდა მოგებული, მაგრამ შვეიცარიის სამთო კურორტ სენ მორიცში ზედიზედ ორი ჩქაროსნული რბოლა მოიგო და აბსოლუტურ კლასიფიკაციასაც სათავეში მოექცა.

მსოფლიოს შვიდგზის და ოლიმპიური თამაშების სლალომის ერთგზის ჩემპიონმა, ჯერ დაშვების რბოლა მოიგო, შემდეგ კი სუპერტგიგანტშიც საუკეთესო შედეგი აჩვენა. სუპერგიგანტში მან მხოლოდ 0.04 წამით აჯობა მეორეზე გასულ კანადელ **ემილი ბრაიდონს**, ვისთვისაც ეს მსოფლიო თასზე ნაჩვენები საუკეთესო შედეგია. აღსანიშნავია, პერსონმა დაშვება 0.08-წამიანი უპირატესობით მოიგო. რბოლა მესამე ადგილზე დაასრულა ავსტრიელმა **რენატე გიოჩლმა**, ვისთვისაც ეს ამ სეზონში მესამე საკვარცხლბეკო ფინიშია, რაც მისთვის წარმატებად ვერანაირად ვერ ჩაითვლება.

*"საოცარია, ჯერ კიდევ გუშინ, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ როგორმე ფინიშამდე მიმეღწია. კორვილიას ტრასა ერთ-ერთი ურთულესია კალენდარში და როცა სეზონს საშუალოზე დაბალ დონეზე ატარებ, ამ ტრასაზე გამარჯვება შეგიძლია დაივიწყო. გუშინაც და დღესაც, რამდენიმე შეცდომა დავუშვი, მაგრამ წონასწორობა არ დამიკარგავს და როგორც აღმოჩნდა, ყველაზე სწრაფიც ვყოფილვარ"*, - განაცხადა პერსონმა, ვინც შარშან, შვედეთის ორეში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ოქროს სამი მედალი მოიპოვა (დაშვებაში, სუპერგიგანტსა და კომბინაციაში).

პერსონისთვის ეს კარიერაში მსოფლიოს თასზე მოპოვებული 37-ე გამარჯვებაა. ამასთან, მსოფლიო თასის ზედიზედ ორი ეტაპი მეშვიდედ მოიგო. ბოლოს ამგვარი მიღწევა მას ორი წლის წინ, იტალიის სან სიკარიოში ჰქონდა. მაშინ მან ჯერ სუპერგიგანტი მოიგო, შემდეგ კი დაშვებაშიც (კარიერაში პირველი) გამარჯვება მოიპოვა.

სენ მორიცში მოპოვებული ზედიზედ ორი გამარჯვებით, პერსონს აბსოლუტურ კლასიფიკციაში 383 ქულა დაუგროვდა და მან ლიდერობა იგდო ხელთ. შვედს მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება ბროლის დიდი გლობუსის შარშანდელი მფლობელი, ავსტრიელი **ნიკოლ ჰოსპი**. აბსოლუტურის გარდა, პერსონი სუპერგიგანტის ჩათვლაშიც ლიდერია.

აღსანიშნავია, რომ ამ ორი რბოლისთვის საფრანგეთის ვალ დ'იზერს უნდა ემასპინძლა, მაგრამ უთოვლობის გამო, იქ ეტაპების ჩატარება შეუძლებელი გახდა.

მამაკაცმა მოთხილამურეებმა კი იტალიის ალტა ბადიაში გადაინაცვლეს, სადაც გიგანტური სლალომის რბოლა ფინელი **კალე პალანდერის** გამარჯვებით დასრულდა. პალანდერმა ლიდერობა პირველი ცდის შემდეგ იგდო ხელთ და მიუხედავად იმისა, რომ მეორე ცდაზე ათეულის მიღმა დარჩა, ორი ცდის ჯამში მაინც საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა. მას 0.42 წამით ჩამორჩა ასტრიელი **ბენი რაიხი**, მესამეზე კი, ბევრისთვის მოულოდნელად, შვეიცარიელი **მარკ ბერთო** გავიდა.

*"ძალიან ბედნიერი ვარ. ეს ტრასა ძალიან მომწონს და მიხარია, რომ მასზე კვლავ შევძელი გამარჯვება. აქ სამიოთხი კვირის წინ ვივარჯიშე, ამ გამარჯვებას კი არ ველოდი. მითუმეტეს, რომ მეორე ცდაზე უამრავი შეცდომა დავუშვი. მოკლედ, გახარებული და გაკვირვებულიც ვარ"*, - განაცხადა 30 წლის ფინელმა, ვინც ამავე ტრასაზე გიგანტური სლალომი შარშანაც მოიგო, მაგრამ მას შემდეგ მსოფლიო თასზე ერთი ეტაპიც არ ჰქონდა მოგებული. ცნობისათვის, ალტა ბადიაში გიგანტრ სლალომზე პირველი გამარჯვება მან 2003 წელს მოიპოვა.

პალანდერივით, მეორე ცდა გააცუდა რაიხმაც. თუ ფინელს მეორე ცდაზე მე- 11 შედეგი ჰქონდა, ავსტრიელი მე-15 შედეგს დასჯერდა. პირველ ცდაზე კი ოდნავ ჩამორჩა ფინელ კონკურენტს.

*"ეს ტრასა მეც ძალიან მომწონს, მაგრამ მასზე ჯერ გამარვჯება არ მომიპოვებია და ძალიან მინდა, სანამ სპორტიდან წავალ, ერთხელ მაინც მივაღწიო მიზანს"*, - განაცხადა რაიხმა, ვინც ამ მეორე ადგილით, აბსოლუტურში ლიდერობა განიმტკიცა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

#### ალტა ბადია (იტალია). კაცები. გიგანტური სლალომი

1. კალე პალანდერი (ფინეთი) 2:30.92 (1:15.05, 1:15.87); 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:31.34 (1:15.21, 1:16.13); 3. მარკ ბერთო (შვეიცარია) 2:31.37 (1:16.13, 1:15.24); 4. ჯონ კუჩერა (კანადა) 2:31.46 (1:15.25, 1:16.21); 5. ტედ ლიგეტი (აშშ) 2:31.50 (1:16.73, 1:14.77); 6. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 2:31.58 (1:15.92, 1:15.66); 7. მარკუს ლარსონი (შვედეთი) 2:32.08 (1:16.28, 1:15.80); 8. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) 2:32.44 (1:17.47, 1:14.97); 9. ანდრე მირერი (შვედეთი) 2:32.47 (1:17.02, 1:15.45); 10. ჯიმი კოხრენი (აშშ) 2:32.48 (1:17.31, 1:15.17)...

#### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 521; 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) 453; 3. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 356; 4. ბოდე მილერი (აშშ) 306; 5. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 302; 6. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 286; 7. კალე პალანდერი (ფინეთი) 280; 8. ტედ ლიგეტი (აშშ) 275; 9. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 237; 10. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 234...

#### სენ მორიცი (შვეიცარია). ქალები. სუპერგიგანტი

1. ანია პერსონი (შვედეთი) 1:15.06; 2. ემილი ბრაიდონი (კანადა) 1:15.10; 3. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:15.28; 4. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1:15.29; 5. მარია რიში (გერმანია) 1:15.30; 6. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:15.33; 7. ნადია შტიგერი (შვეიცარია) 1:15.38; 8. ტინა მაზე (სლოვაკეთი) 1:15.43; 9. მარტინა შილდი (შვეიცარია) 1:15.48; 10-11. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:15.57; 10-11. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:15.57...

#### აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ანია პერსონი (შვედეთი) 383; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 379; 3. მარლის შილდი (ავსტრია) 354; 4. მარია რიში (გერმანია) 309; 5. ლინდსი ვონ-კილდოუ (აშშ) 274; 6. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 250; 7. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 248; 8. ბრიტ იანიკი (კანადა) 247; 9. ჯულია მანკუზო (აშშ) 244; 10. დენიზე კარბონი (იტალია) 235...




პერსონი აბსოლუტურის ლიდერი გახდა

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 4:2**

0:0, 3:1, 1:1

**გოლები:** 0:1 მ. რიჩარდსი-15 (ლუპული-15, რ. ჯონსი-11), 1:1 მადენი-9 (რახუნეკი-6, კლარკსონი-5), 2:1 მადენი-10 (ლანგენბრუნერი-11, ვიშნევსკი-2), 3:1 ეშემი-4 (პარიზე-20, ზაიაცი-10), 3:2 ბრიერი-15 (ნუბლი-11, მ. რიჩარდსი-23), 4:2 ლანგენბრუნერი-5 (მადენი-11).

**რეინჯერსი-ფინიქსი 1:5**

0:1, 0:4, 1:0

**გოლები:** 0:1 ჯ. პერო-1 (იორკი-4, ჯოვანოვსკი-16), 0:2 კარჩილო-5 (ჯ. პერო-1, ვინიკი-5), 0:3 ვრბატა-13 (ნ. კაპანენი-9, ტიარნკვისტი-2), 0:4 სიოსტრიომი-8 (ბალარდი-6, ვრბატა-11), 0:5 ჯ. პერო-2 (დოუნი-16, ჯოვანოვსკი-17), 1:5 ჟირარდი-5 (გომესი-19, დრური-14).

**სენტ ლუისი-კალგარი 3:5**

1:1, 2:2, 0:2

**გოლები:** 0:1 იგინლა-22 (ლენგკოუ-18, ჰუსელიუსი-16), 1:1 ე. მაკდონალდი-5 (სალვადორი-8, კარია-20), 1:2 ჰუსელიუსი-14 (კონროი-9, იგინლა-24), 2:2 ბოიესი-19 (კარია-21, ე. მაკდონალდი-13), 3:2 სტემპნიაკი-6 (მაკკლემანი-4), 3:3 ლენგკოუ-13 (ჰუსელიუსი-17), 3:4 იგინლა-23 (ჰუსელიუსი-18, ა. ოკუანი-12), 3:5 ლენგკოუ-14 (იგინლა-25, ჰუსელიუსი-19).

**ჩიკაგო-ფლორიდა 1:3**

1:1, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ოლეში-5 (ბოუმისტერი-6, მაკლინი-2), 1:1 ბოლანდი-1 (ტ. რუუტუ-8, სოპელი-8), 1:2 ზედნიკი-9 (დვორაკი-5, მონტადორი-5), 1:3 ბოუმისტერი-4 (ო. იოკინენი-16, ბ. ალენი-5).

**ანაჰაიმი-სან ხოსე 1:2 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 რაიანი-2 (უეიტი-8, ბერტუცი-6), 1:1 ტ. მიტჩელი-5.

**ბულიტები გაიტანეს:** ბერტუცი (ანაჰაიმი), პაველსკი (სან ხოსე), პერი (ანაჰაიმი), მარლო (სან ხოსე), ჯ. ტორნტონი (სან ხოსე).



### ტურის მოვლენები

- "ნიუ ჯერსიმ" საკუთარ მოედანზე ზედიზედ მეათედ დაამარცხა "ფილადელფია". უკანასკნელად, მფრინავებმა "დევილზის" მოედანზე 2004 წლის 9 მარტს გაიმარჯვეს.
- "ფილადელფიამ" ზედიზედ მესამედ წააგო, რაც ამ სეზონში პირველად მოხდა.

■ ■ ■

- "ფინიქსმა" ბოლო ექვს მატჩში მეოთხედ გაიტანა ოთხ შაიბაზე მეტი.
- "რეინჯერსი" შინ ზედიზედ მესამედ დამარცხდა. ამ გუნდმა ბოლო 6 მატჩში მეოთხე თამაში წააგო.
- "რეინჯერსმა" ბოლო 4 წაგებულ შეხვედრაში 20 გოლი გაუშვა.
- ნიუიორკელთა ფორვარდმა **იარომირ იაგრმა** ამ სეზონში მეორე კბილი დაკარგა - პირველ პერიოდში მას იდაყვი ჩაარტყა **სიოსტრიომმა**.

■ ■ ■

- "კალგარის" პირველმა შემტევმა ტრიომ (**ჯერომ იგინლა, კრისტიან ჰუსელიუსი, დაიმონდ ლენგკოუ**) 12 ქულა დააგროვა.
- "ფლეიმზმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო სტუმრად. უკანასკნელად ასეთი წარმატებული სერია "კალგარის" 1988 წლის ნოემბერში ჰქონდა.
- კრისტიან ჰუსელიუსმა ბოლო 2 მატჩში 10 ქულა (4+6) დააგროვა.

"სენტ ლუისის" რიგებში დებიუტი ჰქონდა ორი დღის წინ, "ანაჰაიმიდან" გადასულ **ენდი მაკდონალდს**. ფორვარდმა გოლი და შედეგიანი პასი მიითვალა.

- "კალგარის" მწვრთნელი **მაიკ კინენი** NHL-ის ისტორიაში მეექვსე მწვრთნელია, ვინც კარიერაში მე-600 გამარჯვებას მიაღწია. მანამდე მსგავსი შედეგი დააფიქსირეს **სკოტი ბოუმენმა** (1244 მოგება), **ელ არბორმა** (781), **დიკ ირვინმა** (692), **პეტ ქუინმა** (657) და **ბრაიან მიურეიმ** (607).

■ ■ ■

- "ფლორიდას" მეკარემ **ტომაშ ვოკოუნმა** ზედიზედ მეორე მატჩში შეძლო 40-ზე მეტი დარტყმის მოგერიება. შაბათს, "დეტროიტის" წინააღმდეგ ის 46 დარტყმას გადაელობა, ამჯერად კი, 44 გასროლა მოიგერია.
- "ფლორიდამ" ბოლო 5 მატჩში მესამედ მოიგო.
- "ჩიკაგო" ზედიზედ მეორედ, ბოლო 7 მატჩში კი, მეექვსედ დამარცხდა.

■ ■ ■

- "ანაჰაიმის" რიგებში დაბრუნდა გასული სტენლის თასის საუკეთესო მოთამაშე **სკოტ ნიდერმაიერი**. მან საერთო ჯამში ყინულზე 24 წუთი გაატარა.
- "სან ხოსემ" სტუმრად ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო.

## სხვადასხვა

#### ჩოგბურთი

### შტეპანეკმა ჰინგისი ვაიდიშოვაში გაცვალა

უახლოეს მომავალში გაიმართება ჩეხი ჩოგბურთელების - **რადეკ შტეპანეკისა** და **ნიკოლ ვაიდიშოვას** ქორწილი. წყვილმა განცხადება ამერიკის ქალაქ ბრადენტონში შეიტანა, სადაც 18 წლის ვაიდიშოვა ცხოვრობს. გაზეთ Bradenton Herald-ის ინფორმაციით, ჩეხების განცხადება 10 დეკემბრით არის დათარიღებული.

ვაიდიშოვამ წლევანდელი სეზონი მე-12 ჩოგანის რანგში დაასრულა. წელს მან ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალს მიაღწია, ხოლო უიმბლდონსა და როლან გაროსზე მეოთხედფინალში ითამაშა.

შტეპანეკს კარიერაში ATP-ის ორი ტურნირი აქვს მოგებული, მათ შორის ერთი (ლოს ანჯელესში) - წლევანდელ სეზონში. "დიდი სლემის" ტურნირებზე მისი საუკეთესო შედეგია - 2006 წელს, უიმბლდონის მეოთხედფინალში გასვლა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სულ ცოტა ხნის წინ, შტეპანეკი მსოფლიოს პირველ ჩოგანზე, **მარტინა ჰინგისზე** აპირებდა დაქორწინებას. მაგრამ ჩეხი და შვეიცარიელი მოულოდნელად დაშორდნენ ერთმანეთს. ჰინგისმა უკრაინელ მილიარდერთან გააბა რომანი, შტეპანეკს კი, ვაიდიშოვასთან ქორწილი ელის.

### ანენი ზაფხულიდან არ აგებს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ჟუსტინ ანენი** არც ამხანაგურ თამაშებში თმობს პირველობას. ახალი სეზონის მზადების ციკლში, ბელგიელმა მონაწილეობა მიიღო შარლერუას საჩვენებელ ტურნირში, რომლის სახელწოდებაა Sixth Women's Tennis Trophy. ფინალში ანენმა რუსი **ანა ჩაკვეტაძე** დაამარცხა - 6:4, 6:2. აღსანიშნავია, რომ პირველ ჩოგანს შარშან, უიმბლდონის ნახევარფინალში ფრანგ **მარიონ ბარტოლისთან** დასანანი წაგების შემდეგ, მეტოქეებისთვის არცერთი მატჩი არ დაუთმია.

Sixth Women's Tennis Trophy-ის პირველ დღეს, ანენმა კიდევ ერთი რუსი, **ნადია პეტროვა** სამ სეტში - 6:4, 1:6, 6:4 დაამარცხა, ხოლო როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინალში ჩაკვეტაძეს სძლია. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონე** დაამარცხა - 6:4, 6:3.

### იანკოვიჩი ტელეშოუში გადაიღეს

სერბული ჩოგბურთის ვარსკვლავმა **ელენა იანკოვიჩმა** სატელევიზიო შოუში მიიღო მონაწილეობა. პროექტი კომპანია Reebok Entertainment-ის მიერ არის ორგანიზებული, შოუს სახელწოდებაა Framed და მასში მონაწილეობას იღებენ ის სპორტსმენები, რომლებიც კონტრაქტით არიან დაკავშირებულნი "რიბოკთან".

*"პროექტის იდეა ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით იმ ასპექტში, რომ ეს ჩემთვის სრულიად ახალი საქმიანობაა. Framed-ის გადაღებებისას, საშუალება მომეცა ჩემი თაყვანისმცემლებისთვის საკუთარი ისტორია მომეყოლა. კორტზე საკმაოდ ექსპანსიური ვარ, მაგრამ გულშემატკივრები მთელს სურათს ვერ ხედავენ. შოუ გახსნის ფანჯარას ჩემს ცხოვრებაში და საშუალებას მოგცემთ გაიგოთ, ვინ ვარ მე სინამდვილეში"*, - განაცხადა გადაღებების შემდეგ WTA-ის მესამე ჩოგანმა.

#### რალი

### გრონჰოლმს ლატვალა შეცვლის

მომავალ სეზონში, ფინელ **მარკუს გრონჰოლმს** "ფორდ ფოკუსის" საჭესთან მისი თანამემამულე **იარი-მატი ლატვალა** შეცვლის. როგორც იცით, გრონჰოლმმა ამ სეზონის შემდეგ კარიერის დასრულების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. ფინელმა 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მეორე ადგილზე დაასრულა.

გრონჰოლმი "ფორდის" პირველი პილოტი და ახლა, ეს სტატუსი ავტომატურად 22 წლის ლატვალას პარტნიორს, კიდევ ერთ ფინელ **მიკო ჰირვონენს** ერგება.

#### კალათბურთი

### ალენი ხვალ დაბრუნდება

"ბოსტონ სელტიქსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **რეი ალენმა** ზედიზედ მეორე მატჩი გამოტოვა. როგორც იცით, "სიეტლის" ყოფილ მცველს მარჯვენა ფეხის ტრავმა აწუხებს. როგორც კლუბის ექიმები ვარაუდობენ, ალენი მწყობრში ოთხშაბათს ჩადგება და "დეტროიტ პისტონზის" წინააღმდეგ ითამაშებს.

*"ის სამშაბათს განაახლებს ვარჯიშებს. დარწმუნებით იმის თქმა, რომ ალენი "დეტროიტთან" მატჩში დაგვეხმარება, არ შეიძლება, მაგრამ ექიმებს ამის დიდი იმედი აქვთ"*, - ამბობს ბოსტონელთა დამრიგებელი **დოკ რივერსი**.

ალენმა ტრავმა 14 ნოემბერს, "შარლოტთან" მატჩში მიილო, მაგრამ პარასკევამდე აგრძელებდა თამაშს.

#### ფორმულა 1

### ფორს ინდია მალე აირჩევს

როგორც იცით, ფორმულა 1-ის ახალი გუნდი "ფორს ინდია" მეორე პილოტის ძიებაშია. საჯინიბომ ხერესის ტესტებზე რამდენიმე კანდიდატი გამოსცადა და საბოლოოდ, სია ორ პილოტამდე დავიდა.

მომდევნო კვირას, "ფორს ინდია" საბოლოო არჩევანს შემდეგ ორ პილოტს შორის გააკეთებს. ესენი არიან: ესპანელი **როლდან როდრიგესი** და იტალიელი **ჯანკარლო ფიზიკელა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვადასხვა

### ჰოკეი

## ევროპა NHL-ის წინააღმდეგ

ევროპის ექვსი ქვეყნის ფედერაცია ჰოკეის ეროვნულ ლიგასთან დღეს მოქმედი შეთანხმების გადახედვას აპირებს. ჩეხეთი, შვედეთი, ფინეთი, გერმანია, რუსეთი, სლოვაკეთი და შვეიცარია არ ეთანხმებიან NHL-სთან გაფორმებული ხელშეუკრულების ბევრ პუნქტს - იტყობინება ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი.

ევროპელებს სურთ, შეზღუდონ ოკეანის გაღმა წასული ჰოკეისტების ასაკი. ცნობისთვის, ამ ზაფხულს NHL-ში სათამაშოდ 59 მოთამაშე გაემართა, თუმცა მხოლოდ ექვსმა შეძლო NHL-ის კლუბებში მოხვედრა. დანარჩენები კი, ძირითადად აშშ-სა და კანადაში დარჩნენ და დაბალ ლიგაში დაიწყეს თამაში.

## ტორონტომ ძირითადი მცველი დაკარგა

სერიოზული დანაკლისი განიცადა "ტორონტო მეიპლ ლივზმა". გასულ უიქ ენდზე, "მონრეალ კანადიენსთან" მატჩის დროს, კანადელთა ძირითადმა მცველმა **ბრაიან მაკკეიბმა** სამ ადგილას გაიტეხა მარცხენა ხელი. ინციდენტი მესამე პერიოდში მოხდა, როცა "კანადიენსის" ბელარუსმა ფორვარდმა **ანდრეი კასტიცინმა** 32 წლის მცველის წინააღმდეგ ძალისმიერი ილეთი გამოიყენა, რის შემდეგაც მაკკეიბი ბორტს მიენარცხა და ყინულზე დაეცა.

წინასწარი ინფორმაციით, ტორონტოელი 6-8 კვირა დაისვენებს. ამ სეზონში მაკკეიბმა 27 მატჩი ჩაატარა და 12 ქულა (4+8) დააგროვა.

### ორთაბრძოლები

## ტრაგედია სან პაულუში

კვირას, სან პაულუს ციხის ერთ-ერთ საკანში მკვდარი იპოვნეს ჯიუ-ჯიცუს ბრაზილიელი ოსტატი **რაიან გრეისი**. ეს უკანასკნელი ციხეში რამდენიმე საათის შესული იყო.

33 წლის გრეისი პარასკევს, გვიან ღამით მას შემდეგ დააპატიმრეს, როცა მან მანქანა გაიტაცა, კედელს შეასკდა და შემდეგ, მოტოციკლის გატაცებაც სცადა.

გარდაცვლილი ბრაზილიაში ჯიუ-ჯიცუს ერთ-ერთი დამაარსებლის, **კარლოს გრეისის** შვილიშვილი იყო. კარლოსისა და მისი ძმის, **ხელიოს** დაახლოებით 40 შვილი და შვილიშვილი სპორტის ამ სახეობის მიმდევრები არიან და ისინი მთელს მსოფლიოში ჯიუ-ჯიცუს პროპაგანდას ეწევიან.

## ცურვა

ევროპის ჩემპიონატი

# შვედებმა თავიანთი რეკორდი განაახლეს

უნგრეთის ქალაქ დებრეცენში, მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატის (მოკლე აუზში) მეოთხე დღეს მსოფლიოს ერთი რეკორდი განახლდა და რამდენიმე მოულოდნელი შედეგიც დაფიქსირდა. რეკორდი შვედმა მამაკაცებმა 4x50 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში დაამყარეს. მოულოდნელობა კი ის იყო, რომ ფრანგმა **ლორ მანოდუმ** 200 მეტრზე თავისუფალ სტილში, წინა დღიდან გადმოტანილი ფინალი წააგო.

4x50 მეტრზე თავისუფალით ესტაფეტაში რეკორდი ისედაც შვედებს ეკუთვნოდათ. ის მათ შარშან, ჰელსინკიში ასპარეზობისას დაუმყარებიათ, ახლა კი, თითქმის იმავე შემადგენლობით, კიდევ ერთხელ გამოიჩინეს თავი და ევროპულ ოქროსაც დაეუფლნენ. მათი კვარტეტის მეღუზე და მთავარი "დამრტყმელი ძალა" კი **სტეფან ნისტრანდი** გახდა, ვინც წინა დღეს, 100 მეტრზე თავისუფალში, მოულოდნელი მარცხი იწვნია ფრანგი **ალენ ბერნარისგან**. მის გარდა, რეკორდსმენ კვარტეტს შეადგენდნენ: **პეტერ სტიმნე, მარკუს პიეჰლი** და **პერ ნიულინი**. ცნობისათვის, წინა რეკორდის დამყარებისას, ნიულინის ნაცვლად **იონას ტილს** უასპარეზია.

შვედ მოცურავეთა ნაკრებს კიდევ ერთი ოქრო შესძინა ვეტერანმა **ჟოზეფინ ლილჰაგემ**. სწორედ მან აგემა მანოდუს მოულოდნელი მარცხი, რაც ფაქტობრივად, ჩემპიონატის ყველაზე დიდი მოულოდნელობა გახდა. სტარტიდან მანოდუ კი დაწინაურდა, მაგრამ ბოლო მონაკვეთზე შვედმა მნიშვნელოვნად გაზარდა ტემპი და ფინიშთანაც მიასწრო თავის ავტორიტეტულ მეტოქეს. თანაც, მსოფლიო რეკორდამდეც ცოტა დააკლდა.

*"სტარტამდე ვიმედოვნებდი, რომ ლორს სერიოზულ კონკურენციას გავუწევი, მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი, თუ ფინიშთან პირველი მე ვიქნებოდი. მე საკუთარ გრაფიკს მივყვებოდი და იმედი მქონდა, რომ ევროპის რეკორდს დავამყარებდი. რეკორდს ვერ შევწვდი, თუმცა გავიმარჯვე და ამით უბედნიერესი ადამიანი ვარ"*, - განაცხადა ლილჰაგემ.



ლილჰაგემ მანოდუს დამარცხება შეძლო

დებრეცენის ჩემპიონატის კიდევ ერთი გამორჩეული ვარსკვლავი რუსი **იულია ეფიმოვა** გახდა, რომელმაც შინ ოქროს სამი მედალი გაიყოლა. სამივე მედალი მან ბრასის სტილით ცურვაში მოიპოვა და თანაც, ორ დისტანციაზე ევროპის (მოკლე აუზის) რეკორდსმენიც გახდა. ჩემპიონატის მეოთხე დღეს მან 100 მეტრზე ბრასი მოიგო. რუსმა თინეიჯერმა დისტანცია წუთსა და 04.95 წამში გაცურა, რაც ევროპის ახალი რეკორდია.

*"ბედნიერი ვარ, რომ ეს მედლები რეკორდული შედეგებით მოვიგე. მაგრამ ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. დებრეცენში გამოსვლით დავრწმუნდი, რომ ოლიმპიადისთვის ჩემი მზადების პროცესი წარმატებულია. ახლა ჩემი მიზანი პეკინის ოლიმპიადაზე გამარჯვება და იქ მსოფლიო რეკორდებზე იერიშის მიტანა იქნება"*, - განაცხადა ეფიმოვამ, ვინც პირველი ორი ოქრო 50 და 200 მეტრზე ბრასში მოიპოვა. ამასთან, უფრო გრძელ დისტანციაზე ევროპის რეკორდიც დაამყარა.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ქალთა შორის 50 მეტრზე თავისუფალი სტილის ფინალური გაცურვა, რომელშიც პირველობისთვის ჰოლანდიელმა **მარლეენ ფელდჰუისმა** და გერმანელმა **ბრიტა შტეფენმა** იბრძოლეს. მათი პირველი ფინალური დაპირისპირება, 100 მეტრზე თავისუფალში შედგა და ის გერმანელი მოცურავის გამარჯვებით დასრულდა. ამჯერად კი ნიდერლანდელმა, ვინც ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენია, რევანშის აღება შეძლო. სტარტიდან ორივე მოცურავე გვერდიგვერდ მიცურავდა. ლიდერი ხელის ყოველ მოსმაზე იცვლებოდა, საბოლოოდ კი ფელდჰუისმა მეტოქეს ფინიშთან სულ რაღაც 0.03 წამით მიასწრო.

დაბოლოს, ადგილობრივი მაყურებელი ევროპის რეკორდით და ოქროს მედლის მოპოვებით გაახარა უნგრელმა **დანიელ დიურტამ**, რომელმაც 200 მეტრზე ბრასში, დაძაბულ პაექრობაში აჯობა იტალიელ **პაოლო ბოსინის**. არადა, მთელი გზა მას მდევრის როლში უწევდა ყოფნა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ჩოგბურთი

ვარსკვლავები

# ფედერერი სამპრასს აქებს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** აცხადებს, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი **პიტ სამპრასი** ახლაც რეიტინგის მოწინავე ხუთეულში იქნებოდა, ჩოგბურთიდან რომ არ წასულიყო.

შეგახსენებთ, რომ ამ ორმა ვარსკვლავმა წინა თვეში აზიური საჩვენებელი ტური მოაწყო, რომლის დროსაც, აზიის სამი ქვეყნის ქალაქებში (კორეის სეული, მალაიზიის კუალა ლუმპური და ჩინეთის მაკაუ) მათ თითო შეხვედრა ჩაატარეს. ამ სამი შეხვედრიდან, პირველი ორი ფედერერის გამარჯვებით დასრულდა, მესამეში (მაკაუში) კი მცირე უპირატესობა სამპრასის მხარეს იყო. ამ შეხვედრებში, სამპრასმა თავისი ჩვეული, უმძლავრესი მოწოდებით (210 კმ/სთ-იანი) მეტოქის ალტაცება გამოიწვია.

*"მისი პირველი მოწოდების წაკითხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ის რომ ახლაც თამაშობდეს, რეიტინგის პირველ ხუთეულში აუცილებლად შევიდოდა. მას საერთოდ არ ეტყობოდა, რომ ჩოგბურთიდან ხუთი წლის წინ წავიდა"*, - ამბობს ფედერერი, ვისაც დიდი სლემის ორი ტიტულიღა აკლია, რომ სამპრასის მიღწევა (14 სასლემო ტიტული) გაიმეოროს.

სამპრასმა თავისი სპორტული კარიერა მას შემდეგ დაასრულა, რაც 2002 წლის აშშ-ის ღია პირველობა მოიგო. ეს მის კარიერაში მოპოვებული მე-14 სასლემო ტიტულია.

ახლახანს ფედერერი შვეიცარიის საუკეთესო სპორტსმენად, ზედიზედ მეოთხედ დაასახელეს. მას ეს წოდება 2003, 2004 და 2006 წლებშიც აქვს დამსახურებული. ამჯერად, მას ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენის წოდებისთვის ბრძოლაში კონკურენცია გაუწიეს მსოფლიოს ჩემპიონმა საგზაო (დროზე ინდივიდუალურ) ველორბოლაში, **ფაბიან კანჩელარამ** და მარათონელმა მორბენალმა **ვიქტორ რიოტლინმა**.

სხვათა შორის, შვეიცარიის სპორტის ისტორიაში, ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენის წოდება ოთხჯერ პირველად სახელოვანმა ველომრბოლმა **ტომი რომინგერმა** მოიპოვა. შვეიცარიელმა მაესტრომ მილოცვები მიიღო ჩოგბურთის ისეთი გრანდებისგან, როგორებიც არიან სამპრასი, **როი ემერსონი** და **ბიორნ ბორგი**.

*"ძალიან სასიამოვნოა, როცა ასეთი გრანდებისგან მილოცვებს ღებულობ. მომდევნო სეზონში ჩემი მთავარი სამიზნე პიტის რეკორდის გამეორებაა. მან თავად წამახალისა და მითხრა, რომ ძალიან ესიმოვნება, თუ ამას შევძლებ. ახლა ყველა ამ რეკორდზე მელაპარაკება, ჩემთვის კი მთავარი ისაა, რომ ტრავმა არ მივიღო და მოტივაცია შევინარჩუნო"*, - ამბობს ფედერერი, ვისზეც ბორგი ამბობს, რომ ის ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავი გახდება.

## კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი-გ. სტეიტი 109:87**

23:22, 35:13, 29:32, 22:20

**დეტროიტი:** პრინსი (23 ქ), ბილაპსი (19 ქ. 6 მ), მაკდაესი (14 ქ. 11 მ), ჰემილტონი (13 ქ. 6 პ), მაქსიელი (11 ქ), აფლალო (11 ქ).

**გოლდენ სტეიტი:** ბარნსი (15 ქ. 6 მ. 5 პ), ს. ჯექსონი (13 ქ), კროშირი (12 ქ), რაიტი (10 ქ).

**ტორონტო-ბოსტონი 77:90**

17:27, 19:23, 18:21, 23:19

**ტორონტო:** ბოში (17 ქ. 13 მ. 5 პ), ჰემფრიზი (12 ქ. 9 მ).

**ბოსტონი:** პირსი (18 ქ. 6 მ), გარნეტი (16 ქ. 8 მ. 6 პ), რონდო (14 ქ), ჰაუსი (11 ქ), პოუსი (10 ქ. 7 მ), ტ. ალენი (10 ქ. 5 მ).

**დენვერი-პორტლენდი 105:116**

25:30, 24:31, 24:31, 32:24

**დენვერი:** აივერსონი (38 ქ), ენტონი (19 ქ), მარტინი (14 ქ. 4 დ), კლეიზა (11 ქ), კემბი (4 ქ. 7 მ. 9 პ).

**პორტლენდი:** როი (26 ქ. 11 პ), ფრამი (20 ქ), აუთლო (17 ქ), ჯონსი (14 ქ. 7 მ), ბლეიკი (12 ქ), ჯეკი (10 ქ), პრჟიბილა (6 ქ. 11 მ).

**ლეიკერსი-კლიპერსი 113:92**

29:15, 28:29, 25:32, 31:16

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (32 ქ. 8 მ), უოლტონი (15 ქ), ბინუმი (14 ქ. 9 მ. 6 დ), ვუიაჩიჩი (14 ქ), ოდომი (12 მ), რადმანოვიჩი (6 ქ. 6 პ).

**კლიპერსი:** მაგეტი (27 ქ. 7 მ. 6 ჩ), კამანი (18 ქ. 16 მ), დევისი (10 ქ), დიკაუ (10 ქ).




## TV სპორტი

**18 დეკემბერი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
19:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:20 ევრო 2008. ჟურნალი.
21:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:05 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

10:15 სპორტკლუბი.
11:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:28 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
13:21 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
15:10 სპორტდოსიე. თევზაობა.
15:37 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-იუვენტუსი.
17:24 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. ოლიმპია-მონტეპასკი.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ნიუკასლი.
20:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:05 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:37 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-კოლორადო.
01:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
03:30 სპორტდოსიე. თევზაობა.
04:00 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ოტავა (LIVE).
06:38 ფეხბურთი. Barca TV.
06:46 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:37 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
13:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. პოკლიუკა. სლოვენია.
15:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. პოკლიუკა. სლოვენია.
16:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
17:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. ტელფორდი.
19:15 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. ეგვიპტე-2006.
20:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 სუმო.
22:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 პროფესიული კრივი. ავსტრია.
00:00 პროფესიული კრივი. საფრანგეთი (LIVE).
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
03:00 ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა. ლონდონი. ბრიტანეთი.
04:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. პარალელური სლალომი. შვეიცარია. რუსეთი.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
19:00 ავტოსპორტი. ერთა თასი. ბრიტანეთი.
20:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
21:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VII ტური. ნიმბურკი (ჩეხეთი)-ბოლონია (იტალია) (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
23:00 მულტისპორტი.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VII ტური. ტრევიზო (იტალია)-პო ორტეზი (საფრანგეთი) (LIVE).
01:15 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VI ტური. ბოლონია (იტალია)-დინამო (რუსეთი) (LIVE).
02:15 ახალი ამბები.
02:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
03:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| კიოლნი-კაიზერი | 2:1 |



ჰოკეი

## ყალბი კროსბი

"პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერის **სიდნი კროსბის** პოპულარობა ყველანაირ საზღვრებს სცილდება. ამ ფაქტის გამოყენება გადაწყვიტეს ახალგაზრდა ვარსკვლავის თანაგუნდელებმა და კროსბის გულშემატკივრებს გაეხუმრნენ.

ტორონტოში, "პინგვინების" ვარჯიშს 12 ათასი მაყურებელი დაესწრო: ყველას სიდნის ხილვა სურდა და ვარჯიშის შემდეგ, ჰოკეისტი "ხალხში" გავიდა. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გაირკვა, რომ გულშემატკივართა სიყვარულით ბოროტად სარგებლობდა "პიტსბურგის" ტრავმირებული ფორვარდი **მაქსიმ ტელბოტი**, რომელმაც გასახდელში კროსბის მაისური ჩაიცვა.

*"ეს ჩვენი მეკარის, მარკ-ანდრე ფლერის იდეა გახლდათ, - ძლივს იკავებდა სიცილს ტელბოტი. - დიდი მხიარულობა იყო. ყველა მე მომვარდა, მხარზე ხელს მითათუნებდა და ავტოგრაფებს მთხოვდა. მაგრამ, როცა ტრიბუნას ვტოვებდი, უკნიდან კითხვა გავიგონე: "ვინ იყო ეს ბიჭი?!"*

## რუუტუ შეცდომით დაიჭირეს

"ჩიკაგო ბლექ ჰოქსის" ჰოკეისტი **ტუომო რუუტუ** შტატ ილინოისის ქალაქ ბენსენვილში დააპატიმრეს. პოლიციამ ის ქურდობაში ექვმიტანილად სცნო. მოკლე დაკითხვისა და ავტოგრაფების დარიგების შემდეგ, 24 წლის ფინელი ფორვარდი პოლიციამ შინ გაუშვა.

როგორც აღმოჩნდა, რუუტუ შეცდომით დააპატიმრეს, ვინაიდან ის გარეგნობით ძალიან ჰგავდა რეალურ დამნაშავეს. თავად ფინელმა ამ ინციდენტს "სახალისო" უწოდა.

## ფლერი ქველმოქმედ გიჟობს

"კალგარი ფლეიმზისა" და კანადის ნაკრების ლეგენდარული ფორვარდი **ტეო ფლერი** რეალიტი-შოუს ჟანრში საკუთარი ტელეპროექტის დაწყებას აპირებს. სავარაუდოდ, პროგრამაში ნაჩვენები იქნება თავად ფლერის, მისი მეუღლის და ორი ძმის ცხოვრება - ისინი ერთად არიან დაკავებული საოჯახო ბიზნესით, რომელიც სამშენებლო საქმეს შეეხება.

*"დარწმუნებული ვარ, რომ ხალხს გიჟი ვგონივარ. მაგრამ, თავის დროზე, როცა NHL-ში თამაში გადავწყვიტე, მაშინაც ყველას შეშლილი ვეგონე, თუმცა მაინც შევძელი წარმატების მიღწევა. ორი წლის წინ ცოლი მოვიყვანე და მისი დიდი მადლობელი ვარ, რადგან ის ჩემს გიჟურ იდეებს მხარს უბამს. ხანდახან ვფიქრობ კიდეც, ხომ არ მოვაწერო "კალგარისთან" კონტრაქტს ხელი მატჩის შემდეგ ბულიტების შესრულებაზე - მე ხომ ეს საქმე დღესაც კარგად გამომდის"*, - აცხადებს ფლერი.

თავის დროზე, ჰოკეისთვის ზედმეტად ტანდაბალი ფლერი მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა. ბოლო წლებში, მის კარიერას დაღი დაასვა ალკოჰოლთან დაკავშირებულმა პრობლემებმა.

ოლიმპიზმი

## დიდი ჩინური გადასახლება

ოლიმპიადისთვის მზადებასთან დაკავშირებით, ჩინეთის მთავრობა საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან ყოველდღიურად 13 ათას (!) ადამიანს ასახლებს. ასეთ ინფორმაციას ავრცელებს საცხოვრებელზე უფლებების საერთაშორისო ცენტრის დამკვირვებელთა ჯგუფი.

ექსპერტთა შეფასებით, უშუალოდ ოლიმპიადის დაწყების წინ, იძულებით გადაადგილებულ და გადასახლებულ მოქალაქეთა რიცხვი 1.5 მილიონ ადამიანს მიაღწევს.

თუმცა პეკინის სამშენებლო კომიტეტის დირექტორი **სიუ ჟენჯიანი** თვლის, რომ ეს ციფრები აშკარად გადაჭარბებულია. მისი სიტყვებით, ყოველწლიურად მხოლოდ 40 ათასი ადამიანია იძულებული სხვაგან გადავიდეს საცხოვრებლად, თანაც, მათ სრულიად ადეკვატურ კომპენსაციას სთავაზობენ.

მოტოსპორტი

## ქველმოქმედი როსი

მოტოგრან-პრის კლასში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, იტალიელმა **ვალენტინო როსიმ** საქველმოქმედო ინტერნეტ-აუქციონზე თავისი საბრძოლო ჩაფხუტი 13 496 ევროდ გაყიდა. ნივთის საწყისი ფასი 1 ევრო იყო. მიღებული თანხა ქალაქ გენუაში ბავშვთა ჰოსპიტალს გადაეცემა.

ჩაფხუტის ახალი მფლობელის ვინაობა არ დასახელებულა, თუმცა ცნობილია, რომ როსიმ თავად გადასცა მას გაყიდული ნივთი.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში საფირმო გულის გამოსახულებით, AGV-ის სულ სამი ჩაფხუტი არსებობს. ერთი კომპანია Yamaha-ს მუზეუმში ინახება, მეორე როსიმ ამა წლის ივნისში, "მუგელოზე" იტალიის გრან-პრის დასრულების შემდეგ ხალხში გადააგდო, ხოლო მესამე კი, როგორც გითხარით აუქციონზე გაიყიდა.



# რა ღირს კოსმოსში მგზავრობა?

*დასაწყისი იხილეთ N292, 293*

## ალპინისტთა ელიტური კლუბი

დღეს, ალპინიზმში ყველაზე დიდ მიღწევად არა ევერესტის დაპყრობა, არამედ შვიდივე კონტინენტის უმაღლეს მწვერვალებზე ასვლა ითვლება. ეს დაახლოებით ისეთივე წარმატებაა, როცა ჩოგბურთში "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირს მოიგებ. არსებობს კიდეც არაოფიციალური კლუბი - Seven Summits, სადაც შეტანილია იმ ალპინისტთა გვარები, რომლებმაც შვიდი წარმატებული ასვლა განახორციელეს. მაგრამ აქ არსებობს ერთი პრობლემა. ალპინისტებში ეჭვს არ იწვევს ექვსი მწვერვალის ლეგიტიმურობა. ესენია: აზიური ევერესტი (8848 მეტრი), სამხრეთამერიკული აკონკაგუა (6942), ჩრდილოამერიკული მაკკინლი (6195), აფრიკული კილიმანჯარო (5963), ევროპული იალბუზი (5633) და ანტარქტიდის ვინსონის მასივი (4897). კამათობენ მეშვიდე მწვერვალზე. თითქოს ლოგიკურია, რომ ასეთად უნდა ჩაითვალოს ავსტრალიაში კოსტიუშკოს პიკი. მაგრამ პროფესიონალი ალპინისტებისთვის ის არასერიოზული წინაღობაა (2228 მეტრი). სამაგიეროდ, ინდონეზიაში არის მთა, სახელად "პირამიდა კარსტენსი" - ის მაღალიცაა (4884) და ასასვლელად საკმაოდ რთულიც. ამიტომაც, ალპინისტები წინადადებით გამოდიან ეს მთა ავსტრალაზიის ნაწილს მიაკუთვნონ: მართალია, გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს მთლად გამართლებული არ არის, სამაგიეროდ, სწორია სპორტული თვალსაზრისით. Seven Summits-ში სიტუაციიდან გამოსავალი იპოვნეს. იქ ადგენენ სამ სიას: ისინი, ვინც დაიპყრო შვიდივე მწვერვალი პიკ კოსტიუშკოს ჩათვლით, ისინი, ვინც აირჩია მთა კარსტენსი და მესამე ჯგუფი, ვინც რვავე მთაზე ავიდა. პირველ ორ სიაში 74-74 ადამიანია, მესამეში - მხოლოდ 37.

რაც ყველაზე საინტერესოა, ამ პრესტიჟული კლუბის წევრებისთვის ევერესტზე ასვლა ნაკლებად პრესტიჟულია, ვიდრე სხვა ორი მწვერვალის დაპყრობა. მათთვის უფრო რთულია ორ გაცილებით დაბალ მთაზე ასვლა. ამბობენ, რომ ალიასკაზე მდებარე მაკინლიზე გზას ართულებს უძლიერესი ქარი, აგრეთვე ჰაერში ჟანგბადის ნაკლები შემცველობა (ჯომოლუნგმაზე ნაკლებიც კი). ვინსონი სამხრეთი პოლუსიდან სულ რაღაც 1000 კილომეტრით არის დაცილებული, ამიტომაც იქ ბუნებრივია, ძალიან დაბალი ტემპერატურა და ქარები იცის.

გარდა ამისა, კლუბში მოხვედრა ძნელი მარტო ამ მიზეზებით არ არის. შვიდივე მწვერვალზე მოგზაურობა უდიდეს თანხებს მოითხოვს. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ პირველად ყველა მათგანი დაიპყრო არც ისე ცნობილმა ალპინისტმა, სამაგიეროდ ცნობილმა ამერიკელმა მილიარდერმა **დიკ ბასმა**. თავისი კოლექციის შეგროვება მან 1985 წლის 30 აპრილს დაასრულა.

თუმცა კლუბ Seven Summits-ში პიონერად მაინც კანადელ პეტ მოროუს თვლიან. მას ფული ნაკლები ჰქონდა. მოროუმ აღიარა, რომ მორიგ მწვერვალზე ასვლა მისთვის უფრო ადვილია, ვიდრე თავისი ახალი ექსპედიციისთვის მორიგი სპონსორის მონახვა. მაგრამ საბოლოო ჯამში, მან 1982 წელს აიღო სტარტი და ოთხ წელიწადში დაასრულა თავისი ეპოპეა. თანაც, კოსტიუშკოს ნაცვლად, ის კარსტენსზე ავიდა, რამაც კანადელის გმირობა უფრო დასაფასებელი და წონიანი გახადა.

Seven Summits-ში შესასვლელად ყველაზე დიდი დრო ამერიკელ **ერიკ სიმონსონს** დასჭირდა. 1974 წლის 10 ივლისს ის მაკინლიზე ავიდა, ბოლოს კი, პიკი კოსტიუშკო 2005 წლის 5 აპრილს დაიპყრო. ყველაზე სწრაფად კონტინენტის უმაღლეს მწვერვალებთან ურთიერთობა გარკვიეს ახალმა ზელანდიელებმა - **რობ ჰოლმა, გარი ბოლმა** და **პიტერ ჰილარიმ (ედმუნდ ჰილარის** ვაჟი) - ეს მათ შვიდ თვეში მოახერხებს. Seven Summits-ში სხვა რეკორდებსაც აფიქსირებენ. მაგალითად, შვიდივე მწვერვალის ყველაზე ახალგაზრდა დამპყრობია იაპონელი **აცუსი იამადა** (ცნობისთვის, ის პირამიდა კარსტენსზეც ავიდა და პიკ კოსტიუშკოზე), რომელიც კლუბის წევრი 23 წლის ასაკში გახდა. ყველაზე ხნიერი იყო ამერიკელი **შერმან ბული** (64 წლის). Seven Summits-ს ერთი უნიკალური წევრიც ჰყავს. 2002 წლის სექტემბრისთვის, შვიდივე მწვერვალი დაიპყრო ბრმა ამერიკელმა **ერიკ ვეიჰენმაიერმა**.

## ტურისტები ევერესტზე

ევერესტის სამხრეთი ფერდობიდან (სწორედ იმით, რომლითაც ედმუნდ ჰილარი ავიდა მწვერვალზე) ტურისტის რანგში მთის დაპყრობა სავსებით შესაძლებელია. დედამიწის ყველაზე მაღალ წერტილზე ყოველწლიურ ტურებს უზრუნველყოფს სააგენტო Himalaya Expeditions Nepal. 10-15 კაციან ჯგუფში მოხვედრის მსურველებს, არანაირი სპეციალური მომზადება არ სჭირდებათ - ამოწმებენ მხოლოდ მათ ჯანმრთელობას.

რა თქმა უნდა, უკეთესია გქონდეს მაღალ მთებზე ასვლის გამოცდილება: წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია რისკი იმისა, რომ უკან ვერ დაბრუნდე. ჯგუფი კატმანდუში, სასტუმრო Vaishali იკრიბება, სადაც სამი დღის განმავლობაში მუშავდება 60-დღიანი ექსპედიციის გეგმა. მე-11 დღეს ჯგუფი ფერდობზე ტურისტებისთვის სპეციალურად შექმნილ ბაზამდე მიდის. შემდეგ, 12-დან და 50 დღის განმავლობაში, ალპინისტები და მათი თანმხლებები მხოლოდ კარვებში ცხოვრობენ. ექსპედიცია სექტემბერში იწყება და ნოემბერში მთავრდება. ასვლა თითო ადამიანზე 27 500 დოლარი ღირს. ამ თანხაში შედის ყველა ხარჯი იმ მომენტიდან, როგორც კი მოგზაური კატმანდუში ჩავა. გარდა ამისა, საჭიროა დამატებითი 10 ათასი დოლარის შეტანა ნეპალის ბიუჯეტში.

იმათთვის, ვისაც რისკის ეშინიათ, არსებობს მეორე ტური - "ევერესტის პანორამა". ამ შემთხვევაში ტურისტები მწვერვალზე არ ადიან, არამედ მისი ფერდობების სხვადასხვა წერტილებიდან ტკბებიან მთის ცქერით. ამ ჯგუფის წევრები ნელი ტემპით მიემართებიან თანამედროვე სასტუმროდან. ხუთკაციან ჯგუფზე მოდის ერთი მზარეული, სამზარეულოში ორი-სამი დამხმარე, ორი ადგილობრივი მცხოვრები-თარჯიმანი და რვა-ათი მტვირთავი. კარგ ფიზიკურ ფორმაში მყოფ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია 14-დან 27 სექტემბრამდე ასეთი მოგზაურობა 1450 დოლარად. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ვებ-გვერდზე - www.himexnepal.com. სააგენტოს ტელეფონებია: (977-1) 545 900 (ნეპალში), (34-91) 715 5983 (ესპანეთში), (31-0) 235 313 882 (ჰოლანდიაში).

## საინტერესო ფაქტები ევერესტის შესახებ

**პირველი ასვლა** - 1952 წლის 29 მაისი: ედმუნდ ჰილარი (ახალი ზელანდია) და თენსინგ ნორგეი (ნეპალი)

**მარტო პირველი ასვლა** - 1980 წლის 20 აგვისტო: რეინჰოლდ მესნერი (იტალია)

**ქალის პირველი ასვლა** - 1975 წლის 15 მაისი: იუნკო ტაბეი (იაპონია)

**ჟანგბადის გარეშე პირველი ასვლა** - 1978 წლის 8 მაისი: რეინჰოლდ მესნერი და პეტერ ჰაბელერი (ავსტრია)

**მწვერვალიდან ყველაზე სწრაფი დაშვება** - 1996 წლის 24 მაისი: ჰანს კამერლანდერი (იტალია) - 16 საათი და 45 წუთი

**თხილამურებით პირველი დაშვება** - 2000 წლის 10 ივლისი: დავო კარნიჩარი (სლოვენია)

**ყველაზე ახალგაზრდა დამპყრობი** - 2001 წლის 22 მაისი: ტემბა ტშერი (ნეპალი) - 15 წლის

**ყველაზე ხნიერი დამპყრობი** - 2001 წლის 25 მაისი: შერმან ბული (აშშ) - 64 წლის

**პირველი ბრმა დამპყრობი** - 2001 წლის 25 მაისი: ერიკ ვეიჰენმაიერი (აშშ)

**ყველაზე ტრაგიკული წელი** - 1993: 98 წარმატებული ასვლა და 15 სასიკვდილო შემთხვევა

**ალპინისტების სიკვდილიანობის ყველაზე ხშირი მიზეზი** - ზვავი (ფატალური შემთხვევების მესამედი)

**ყველაზე სახიფათო ადგილი** - მყინვარი კხუმბუ: 19 სასიკვდილო შემთხვევა

**მწვერვალზე ალპინისტების ყველაზე დიდი რაოდენობა** - 1993 წლის 10 მაისი: 40 ადამიანი



ლელო

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა